გარი ჩაფიძე

არატრადიციული გაკვეთილები

თბილისი, 2014

„არატრადიციული გაკვეთილები“ მწერლისა და მეცნიერის, პროფესორ გარი ჩაფიძის იმ მეტად საინტერესო ნაშრომთა ჩამონათვალს ეკუთვნის, რომელსაც ჭეშმარიტად გაითავისებს პედაგოგთა სპექტრის მრავალათასიანი აუდიტორია. პროფესორი, პირადი პედაგოგიური აღზრდის სრულფასოვნებით გადმოგვცემს განათლების აუცილებლობით შექმნილ წინამდებარე სახელმძღვანელოს, რომელიც ერთნაირად საინტერესოდ კითხვადია როგორც პედაგოგების, ასევე სტუდენტებისა და მშობლებისათვის.

რედაქტორი დარიკო ონიანი,
აკადემიკოსი

ISBN 978-9941-0-6082-3

ბავშვი – ოჯახში, ეს ენით უთქმელი ბედნიერებაა, ფუფუნებაა, დიახ აღუწერელია ის სიხარული, რაც ბავშვის დაბადებას მოაქვს. შეუდარებელია ის, რასაც შვილის სიყვარული ჰქვია. მაგრამ, სიხარულსა და სიყვარულზე მაღლა დგას მშობლების, ახლობლების, პედაგოგების, მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობის გრძნობა მოზარდის მიმართ.

კრიალოსნებივით იმარცვლება დღეები, თვეები, წლები. ასევე შეუმჩნევლად მატულობს ჩვენი – უფროსების შიში, წუხილი, შფოთი... ვფიქრობთ მათ ხასიათზე, მიდრეკილებებზე, ლტოლვებზე, მათ მომავალზე. და, ეს ხომ ბუნებრივია! განა არსებობს მშობელი ან აღმზრდელი, ამ ყოველდღიური ზრუნვა–რუდუნების გარეშე?

მამას სურს თავის ვაჟში ხორცი შეისხას იმ ვაჟკაცურმა თვისებებმა, რაც თავად მას იდეალურად მიაჩნია; დედასაც აქვს თავისი იდეალი! არ უნდა დაგვავიწყდეს არც ბებია და ბაბუა, მამიდები და ბიძები, ბიცოლები, უფროსი ასაკის ბიძაშვილ–მამიდაშვილები, მეზობლები, თანატოლები, დაბოლოს, ოლიმპოს წვერზე მდგომი... მასწავლებელი!

რა ქნას „მრავალი ბატონის მსახურმა“ ბავშვმა, რა გზას დაადგეს? მისგან თითქოს ყველა ერთს მოითხოვს: „მოიქეცი კარგად!“ მაგრამ ბავშვი გრძნობს: ეს მაგიური სიტყვა „კარგი“ ყველას სხვადასხვაგვარად ესმის, ის, რაც „კარგია“ დედისთვის, თურმე „ცუდი“ ყოფილა ბებიისთვის; ყოველ ცისმარე უკიჟინებენ: „არ იცრუო!“ მაგრამ რა

გამოვიდა? სიმართლე, რომელიც მან თქვა, მეზობელს სულაც არ მოეწონა; ხშირად ჭკუას არიგებენ: „თუ ცუდად მოიქცევა, უფროსებს დროულად შეატყობინე!“ ასეც მოიქცა. თანაკლასელები მასწავლებელთან დააბეზღა, იმან მართალია საქციელი მოუწონა, მაგრამ სამაგიეროდ კლასელებმა სამუდამოდ შეიჯავრეს, „ენატანია“ შეარქვეს... ასეც ხდება ბავშვი არც დედას აწყენინებს და არც ბებიას, მასაც ეამაყება ასეთი შვილი; ხუთოსანია, ამხანაგებს არ აბეზღებს, აღმზრდელებს, პირიქით, არჩევანს მოუწონებენ! ერთი სიტყვით, როგორც პედაგოგი პრაქტიკოსები იტყვიან, „სანიმუშო ყოფაქცევის ახალგაზრდაა“.

რატომ ხდება ასე?

არ შეიძლება ეს მოვლენა უბრალოდ აიხსნას: მავანი და მავანი ბეჯითი, ჭკვიანი, დამჯერი ბავშვია, ხოლო მეორე – ზარმაცია, უჭკუო და ჯიუტი.

საჭიროა შესწავლილ იქნა სწორედ ის, თუ რატომ არიან ზოგნი ისეთნი, ზოგნი ასეთნი. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ ყალიბდება პიროვნება, როგორ ითვისებს ინდივიდი იმ ზნეობრივ ნორმებსა და ღირებულებებს, რაც ამა თუ იმ საზოგადოებაში აუცილებლად არსებობს და მისაღებია. თუ პედაგოგი დაეხმარება მოზარდს აითვისოს ჩვენი საზოგადოებისათვის მისაღები სოციალური ნორმები და ღირებულებანი, მაშინ აღზრდის პროცესში არსებული ბევრი სიძნელე მოიხსნება და ახალგაზრდაც შეძლებს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტოდ მონახოს თავისი ადგილი ცხოვრებაში

და იოლად გადალახოს თვითდამკვიდრების პროცესი ცხადია, ღირსეულ მოქალაქედ ადამიანის ჩამოყალიბებაში პრიორიტეტი პედაგოგიკის მეცნიერებას ეკუთვნის. იგი ეძიებს ახალ გზებსა და საშუალებებს, აორგანიზებს და აკონტროლებს სწავლა–აღზრდის რთულ პროცესს, ოღონდ ამ საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეში იყენებს სხვადასხვა მეცნიერების, კერძოდ, ფილოსოფიის, სოციალური ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ბიოლოგიისა და სხვათა თეორიულ მონაპოვრებს.

თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერულ–ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, პედაგოგიკის წინაშე მდგარ პრობლემათა შორის წინა პლანზე წამოიწია სოციალიზაციის პრობლემის კვლევა–ძიება, რომელიც თავისი აქტუალურობის მიუხედავად, ნაკლებადაა შესწავლილი.

„სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდი შეითვისებს ცოდნის განსაზღვრულ სისტემას, ნორმებსა და ღირებულებებს, რომელთა საშუალებითაც იგი ფუნქციონირებს როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და გულისხმობს როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას (აღზრდა), ისე სპონტანურ პროცესებს".

სოციალიზაციის თეორიის ვალია დაადგინოს, თუ რა სოციალურ ფაქტორთა გავლენით ყალიბდება პიროვნების ესა თუ ის თავისებურება, ხასიათი, მისწრაფებები, მიდრეკილებები, ღირებულებანი და სხვა, განსაზღვროს ამ პროცესის მე-

ქანიზმები სხვადასხვა სტადიებზე და მისი მოსალოდნელი საზოგადოებრივი შედეგები.

ბიოლოგიური წანამღვრები, მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად ადამიანის ორგანიზმს პიროვნებად ვერ აყალიბებენ. ახალშობილის ორგანიზმს მხოლოდ პოტენციური მონაცემები აქვს, რომელსაც საზოგადოება აღზრდის საშუალებით ადამიანის სპეციფიკურ თვისებებად ავითარებს და აყალიბებს.

ინდივიდის სოციალიზაციის პროცესს პროფესორი მ. დიომინი განიხილავს, როგორც საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ნიჭის გაფურჩქვნას ბიოლოგიური მონაცემების საფუძველზე. ადამიანის განვითარება გამოდის როგორც სოციალიზაციის შედეგი, ე. ი. ხდება ინდივიდის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსის თანდათანობითი შეთვისება.

სოციალიზაციის პროცესზე ყურადღებას ამახვილებს პოლონელი სოციოლოგი იან შჩეპანსკი, რომლის თვალსაზრისით, ამ პროცესის არსი ინდივიდის მიერ ცოდნისა და კულტურის ათვისებაა, რისი წყალობითაც ადამიანი იღებს შესაძლებლობას, გაიგოს ეს კულტურა და მის ჩარჩოებში შეგნებულად იმოქმედოს. ამ პროცესის საშუალებით კულტურა აყალიბებს საზოგადოების ახალ წევრებს, ასწავლის მათ, როგორ მოიქცნენ, რა გააკეთონ...

ადამიანის სოციალიზაციის კვლევისადმი ამგვარი მიდგომა გულისხმობს, რომ სოციალიზაციის პროცესის აქტიური მხარე არის არა უშუალოდ

ინდივიდი, არამედ საზოგადოება. საზოგადოების სოციალიზაციის პროცესის სუბიექტად აღიარება გამართლებულია იმითაც, რომ ყოველ ინდივიდს დაბადებისთანავე ხვდება სოციალური გარემო, როგორც არსებული რეალობა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ინდივიდზე იმთავითვე, ხოლო საზოგადოებაზე ინდივიდი ზეგავლენას ახდენს მოგვიანებით, პიროვნებად მისი გახდომის შემდეგ, მაგრამ როგორ? თუკი ახალშობილს სოციალური გარემო თავიდანვე არასრულფასოვნებით აღზრდის? – „ხალხური შემოქმედების ისეთი ძეგლები, როგორიცაა ანდაზები, ზღაპრები... ხალხური პედაგოგიკის პირველი და ბრწყინვალე ნიმუშია...“ – გვასწავლის კონსტანტინე უშინსკი, სინამდვილეში კი... როგორც ჩანს, დღევანდელ გლობალიზაციაში, ამ ზღაპრებმაც დაჰკარგეს ძირითადი აზრი, თვითონ განსაჯეთ: – ყველა ზღაპარში ხომ ბოროტებასთან ბრძოლაში სიკეთე იმარჯვებს: თუ კეთილი ხარ, გამარჯვება შენია! ხელის გაუნძრევლად შეიძლება მიაღწიოს კეთილმა სასურველ შედეგს! – ასე გვმოძღვრავენ ბავშვობაში და ამით ბოროტებასთან საბრძოლველად არ გვამზადებენ, რეალურ ცხოვრებაში სხვაგვარადაა, – დიახ ბოროტებასაც ჰყავს თავისი გმირები... გამარჯვებისთვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლისთვის მომზადება... ეს ჩვენ არ გვასწავლეს, ამიტომ ცხოვრებას ბავშვობიდანვე ზედაპირულად ვხედავთ! ბოროტია ყარაბას–ბარაბასი, ბურატინო კი კეთილი... ამიტომაც ბურატინომ სულ რომ არაფერი გააკეთოს ბარაბასთან

დასაპირისპირებლად მაინც გაიმარჯვებს, კეთილია და ამიტომ... ასეა ვითომ?! „ჩიტი და მელია“ ასე ჰქვია ერთ ქართულ ზღაპარს: – დედა ჩიტი, იმის შიშით, რომ მსუნაგმა მელამ ხე არ მოჭრას და არ შეჭამოს თავის ბარტყებითურთ, ჯერ ერთ შვილს ჩამოუგდებს მელას, მერე მეორეს და ბოლოს მესამეს... თვითონ კი გადარჩება, სადაა ლოგიკა?! დედა ჩიტმა ყველა ბარტყი გაწირა საკუთარი სიცოცხლისათვის? – და შემდეგ, უკვე სკოლის საშუალო ასაკის ჯგუფში, პათეტიკურად გვიკითხავენ უკვდავი – ვაჟას გენიალური ლექსს:

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა...“

და დედასთან აიგივებენ ყველაფერს, რაც ყველაზე კარგი და ტკბილია: – დედას უძღვნიან ათი–ათასობით ლექსს და სიმღერას... პედაგოგიკის მოვალეობა, მარტო მეცნიერული მწვერვალების დაუფლება კი არაა, არამედ იმის შესწავლა, თუ როგორია რეალური ცხოვრება... რატომ არის კორუფცია? მექრთამეობა? აღებ–მიცემობა? – უამრავი შეკითხვაა ამ მხრივ და ვეძებთ საწყისს, არადა გვავიწყდება საწყისთა–საწყისი: – ისევ ზღაპარი, „რწყილი და ჭიანჭველა“ – მართალია მეგობრის გადასარჩენად იბრძვის მეგობარი, მაგრამ როგორია მის მიერ გასავლელი „კორუფციასთან“ წილნაყარი გზა?!

ცხოვრება ურთულესი ფენომენია, მოზარდს ამ მხრივ აღმზრდელობით დაწესებულებებთან ერთად, საზოგადოება და ძირითადად ოჯახი აყალი-

ბებს, ამიტომ მშობლებმა განსაკუთრებული რუდუნებით უნდა შეძლონ ბავშვის საზოგადოებასთან ინტეგრაცია და მისი აღზრდა დაბადებამდე ბევრად ადრე უნდა დაიწყონ...

დიახ, აღზრდა მუცლადყოფნის პერიოდიდანვე იწყება, რამეთუ გულისცემისთანავე ჩამოყალიბების სრულფასოვნებას განიცდის ბავშვი, ამიტომაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ნაყოფის მოცილებას, აბორტს! და მიმაჩნია, რომ ნაყოფი ჩანასახშივე ვაღიაროთ სრულფასოვნად, ხოლო მისი ხელყოფის, განადგურების შემთხვევაში მშობელს დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი განაჩენი, ვინემ განზრახმკვლელობა: – „ადამიანი–ადამიანისთვის მგელია!“ – დიახ, მოზრდილმა ადამიანებმა შეიძლება მართლაც ჩაიდინონ მკვლელობის ტოლფასი, შესატყვისი დანაშაულები, მაგრამ რა დაგიშავათ სრულიად უცოდველმა ბავშვმა, რომელიც თქვენი სისხლის და ხორცის ნაწილია და მისი გულის რიტმული ცემა, თქვენი სიცოცხლის გაგრძელების ტოლფასია...

ამერიკაში პირველად მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამით მოვხვდი, ნიუ–იორკში, სმიტების ოჯახში დავბინავდი, ოჯახის უფროსი ჯორჯი გინეკოლოგი გახლდათ, მას საკუთარი კლინიკა ჰქონდა, აბორტებს აკეთებდა და უზარმაზარი შემოსავლების პატრონიც იყო... მის კლინიკაში, ამერიკაში ყოველი ჩასვლისას, შევივლიდი ხოლმე, ამ ორიოდე წლის წინაც ვეწვიე, არ დამიხვდა,

კლინიკა დახურული იყო... ტელეფონით დავუკავშირდი, მეტად აღფრთოვანდა ჩემი სტუმრობით და სახლში მიმიწვია... მერე ვიდეოფირზე აღბეჭდილი აბორტის პროცესს ერთად შევცქეროდით – ამის ნახვის შემდეგ დავხურე კლინიკა! – მითხრა ჯორჯმა და უფალს ვინ იცის უკვე მერამდენედ თხოვა პატიება იმ წლების გამო, როდესაც გინეკოლოგიურ კლინიკას თავკაცობდა... ეკრანზე კი პატარა ემბრიონი უმწეოდ დარბოდა საშვილისნოს ერთი კედლიდან მეორეზე თვითგადარჩენის ინსტიქტით, მაგრამ უკვე კაცის ხელით სასიკვდილოდ განწირული ყოველგვარი დანაშაულის გარეშე... მერე შოთა ნიშნიანიძის ძახილი გამახსენდა:

– „რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პაწია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა საშოში მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა.
არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი, –
სიცხიანს, მწუხარს კულულზე გკოცნი.
მაგ ბავშვურ შუბლსაც გიკოცნი მორცხვად,
გაბუსხულ ტუჩსაც, ბავშვურად ლამაზს...
ახლა სული ვარ და უფალს ვლოცავ –
შენს გადარჩენას ვულოცავ მამას.
მადლობა უფალს, რომ არ დაგღუპა,
არ დამიობლა ძმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს

ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები.
როგორ მინდოდა, მეც მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო!"
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.
ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.
ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ, გგონივარ სუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,
მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა..."

სოციალიზაციის პრობლემა, იქცევს რა მკვლევართა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას, მოითხოვს ცნების არა მხოლოდ მკაფიო განსაზღვრებას, არამედ მოსაზღვრე ცნებათა სისტემასთან თანაფარდობის გარკვევასაც. ეს საჭიროდ მიგვაჩნია იმიტომაც, რომ ტერმინ „სოციალიზაციას", მიუხედავად მისი ფართო გავრცელებისა, დღემდე არ მოუპოვებია ერთი მნიშვნელობა. იგი ჯერ კიდევ არ არის ცნების სახით ჩამოყალიბებული და მწვავე საპოლემიკო საკითხად ითვლება.

სოციალიზაციის მოსაზღვრე ცნებებად მიგვაჩნია „განვითარება", აღზრდა", „მომწიფება", „ფორმირება", „ზრდა", „ასაკი" და სხვა, რომლებსაც ხშირად ერთმანეთში ურევენ ან კიდევ სინონიმებად წარმოიდგენენ.

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ „სოციალიზაციისა“ და „აღზრდის“ ცნებები. ჩვენს პედაგოგიკურ ლიტერატურაში აღზრდა იხმარება ამ სიტყვის ვიწრო და ფართო მნიშვნელობით. ვიწრო მნიშვნელობით იგი აღნიშნავს აღმზრდელობითი პროცესის სუბიექტის (სპეციალური საზოგადოებრივი ინსტიტუტების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების) მიერ ადამიანზე (ობიექტზე) მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ზემოქმედებას, ინდივიდისადმი სოციალური გამოცდილების, ცოდნის, ქცევის, ნორმებისა და ა. შ. გადაცემას საზოგადოებაში მიღებული იდეალების შესატყვისად და მისი განვითარების მიზნით. აქ ყურადღება გამახვილებულია ზემოქმედების პროცესის მიზანმიმართულებაზე, გეგმაზომიერებაზე; ფართო მნიშვნელობით „აღზრდა“ გულისხმობს საზოგადოებრივი გამოცდილების ათვისების მიზნით ადამიანზე საზოგადოებრივ კაშვირთა მთელი სისტემის ზემოქმედების პროცესს. ამ შემთხვევაში ზემოქმედების სუბიექტად შეიძლება მთელი საზოგადოება, მთელი ცხოვრება მოგვევლინოს, ხოლო, რაც შეეხება ზემოქმედებას, მას შეიძლება სტიქიურობის ელემენტიც ახლდეს. თუ „აღზრდას“ ვიხმართ პირველადი მნიშვნელობით, მაშინ „სოციალიზაცია“ განსხვავდება ამ პროცესისაგან, ხოლო თუ კი მეორე მნიშვნელობით – მათ შორის განსხვავება თითქმის წაიშლება.

საზოგადოებაში ყველა ინფორმაცია როდია იზოლირებული. კოლექტიური სუბიექტის (საზო-

გადოების) წარსულის გამოცდილება, რაც ასახულია ტრადიციებში, ჩვეულებებსა და დაუწერელ ნორმებში, სათანადო ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, მის პიროვნულ ხასიათზე. სხვადასხვა შინაარსი აქვთ ტრადიციებს, ჩვეულებებსა და სხვ. ისინი თავისთავად შეიძლება წარმოადგენდნენ ცხოვრების შეგნებულად ორგანიზებულ ფორმებსაც. ამავე დროს, შეიძლება ატარებდნენ ძველის, უკვე მიუღებელი ცხოვრების ფორმებსაც.

ინფორმაციის როგორც პირველი (მიზანმიმართული), ისე მეორე (სტიქიური) ნაკადი აქტიურ ზეგავლენას ახდენს ინდივიდზე, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ობიექტად ითვლება, ხოლო სოციალური გარემო – სუბიექტად. სოციალური გარემოთი ინდივიდის ეს დეტერმინება ფიქსირდება „ფორმირების“ ცნებით.

სოციალიზაციასთან ახლო მდგომი ცნება „ზრდა“ ასახავს ორგანიზმის იმანენტური მონაცემების რეალიზაციის პროცესს, რომელიც მიმდინარეობს გარემოს ხელსაყრელი გავლენისა და გარემოსა და ორგანიზმის ურთიერთმოქმედების შედეგად. სოციალიზაციასთან მჭიდრო კავშირშია „ასაკის“ ცნება. იგი უნივერსალური ბიოლოგიური და სოციალური კატეგორიაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებაში.

ადამიანის მთელ სასიცოცხლო ციკლს ძირითადად ყოფენ ბავშვობის, ახალგაზრდობის, სიმწიფისა და მოხუცებულობის ასაკებად, რომელშიც

იგულისხმება მისი ბიოლოგიური, ფსიქიკური და სოციალური განვითარების რთული სტადიები. ეს სტადიები ხშირად არ ემთხვევიან ერთმანეთს. ბიოლოგიური ასაკი აფიქსირებს ორგანიზმის განვითარების სომატურ თვისებებს, ფსიქიკური – ინდივიდის ფსიქიკურ განვითარებას, ხოლო სოციალური კი იმას, თუ რა ადგილი უჭირავს მოცემულ საზოგადოებაში მოცემულ ასაკობრივ ჯგუფს.

ამასვე უკავშირდება „მოწიფულობის" ცნება. მეცნიერებაში განასხავებენ მოწიფულობის ორგვარ მნიშვნელობას: ბიოლოგიურსა და სოციალურს. მოზარდთა ბიოლოგიური (სქესობრივი) მომწიფება, როგორც სამედიცინო სტატისტიკური გამოკვლევები მოწმობენ, ამჟამად ხდება 4–5 წლით ადრე, ვიდრე გასულ საუკუნეში.

„სოციალიზაციის" ცნება, ჩვენი აზრით, ასახავს საზოგადოებრივი არსების (ინდივიდის) პიროვნებად გახდომისა და მისი შემდგომი სრულყოფის პროცესს. ე. ი. თავის თავში მოიცავს ადამიანის პიროვნებად ფორმირების პროცესს. იგი იწყება ბავშვის დაბადებიდან და გრძელდება მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

ამგვარად, სოციალიზაცია ყველას ერთნაირად როდი ესმის, მაგრამ შეიმჩნევა ერთი საერთო აზრი – ინდივიდი საზოგადოებაში (სასწავლო–აღმზრდელობით პროცესში თუ ისე, სტიქიურად) ითვისებს ზნეობრივ ნორმებს, ღირებულებებს, ჩვეულებსა და ტრადიციებს, რის შედეგადაც იგი პიროვნებად ყალიბდება.

ბავშვის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისება, სკოლის წარჩინებით დამთავრება და კონკურსებში გამარჯვებაც კი მოსწავლის სოციალიზაციის კრიტერიუმად არ გამოდგება. თეორიულად კარგად განსწავლული ბავშვების უმრავლესობა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებული სულაც არ არის. მათ ბიოლოგიურ მომწიფებას სოციალური მომწიფება 10–12 წლით ჩამორჩება, რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის არა მარტო ახალგაზრდებს და მათ აღმზრდელებს, არამედ მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს.

მოზარდს სოციალური მომწიფებისადმი ბუნებრივი მოთხოვნილება, ლტოლვა აქვს. იგი პოტენციურად მზად არის ბიოლოგიური მომწიფებიდან 3–4 წლის შემდეგ საზოგადოებაში შესაბამისი ადგილი დაიკავოს და გარკვეული სოციალური როლი შეასრულოს.

ვიყენებთ თუ არა პედაგოგიურ პრაქტიკაში მოზარდის ამ მოთხოვნილებას? იქნებ ჩვენდაუნებურად ხელოვნურად ვზღუდავთ, ვამუხრუჭებთ სოციალიზაციის პროცესის ბუნებრივ მსვლელობას ზედმეტი მეურვეობითა და ბავშვთა მეტისმეტი „თეორიული განსწავლულობით?“

თუ გავითვალისწინებთ სასწავლო პროგრამებსა და მოსწავლეთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, დავადგენთ, რომ ჩვეულებრივმა ბავშვმა (მხედველობაში არა გვაქვს ერთობ ნიჭიერები) გაკვეთილების მომზადებისათვის უნდა დახარჯოს დროის ბიუჯეტის დიდი წილი და ის თავისუფა-

ლი დრო. რაც სოციალიზაციას უწყობს ხელს, მას ფაქტიურად აღარ რჩება. წლების განმავლობაში მოსწავლის ფსიქიკა მობილიზებულია მხოლოდ ერთი მიმართულებით – მოასწროს გაკვეთილების სწავლა, მოამზადოს დავალებები. ეს მდგომარეობა ახალგაზრდას თავისებურ დაღს ასვამს: იგი თეორიულად კია განსწავლული, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზად არ არის, უჭირს თვითდამკვიდრება, უცხო ადამიანებთან ურთიერთობანი, შრომით კოლექტივებთან ადაპტაცია. ამის გამო (პირველ ხანებში მაინც) ახალგაზრდას ნეგატიური ემოციები ეუფლება. ეს გახლავთ: საკუთარ თავში დაურწმუნებულობის განცდა, გულგატეხილობა, კონფლიქტი მშობლებსა და აღმზრდელებთან...)

– „აღმზრდელმა, – წერდა კ. უშინსკი – თუ მას სურს ადამიანის ბედნიერება, უნდა აღზარდოს ის არა ბედნიერებისათვის, არამედ მოამზადოს შრომისათვის, ცხოვრებისათვის...“

აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა და ქცევა, რამეთუ ფსიქიკური მდგომარეობის გამოვლინებებზე მთლიანადაა დამოკიდებული მოზარდებთან ურთიერთობის ფორმები:

შიშის ფენომენი დიდი ხანია მოაზროვნეთა ყურადღების ცენტრშია, „შიშზე საშინელი არაფერია“ (სრანსის ბეკონი), „შიში ადამიანს ხან ფეხებზე ფრთებს გამოაბამს, ხან მიწაზე დააკრავს“ (მიშელ მონტენი), „შიში მორიელია, საკუთარ თავს

გესლავს“ (პერსი შელი), „შიშის პრობლემა – საკვანძო პუნქტია, სადაც იკვეთება სულიერი ცხოვრების საიდუმლო“ (ზ. ფროიდი). ბავშვის შემთხვევაში შიშს ბევრი სიტუაცია იწვევს, რაც დაკავშირებულია დასჯასთან, დამუქრებასთან, ძლიერ, უჩვეულო გამღიზიანებელთან, უცხო სახესთან და ა. შ.

არა თავისთავად საგანი ან მოვლენა აშინებს ბავშვს, არამედ მათზე წარმოდგენა. მან შეიძლება უშიშრად გაიწიოს ცეცხლის, გველის თუ ლომისაკენ, მაგრამ შიშისაგან ატირდეს მათხოვრის დანახვაზე.

მშობლიური სიყვარული. ბავშვი საშინლად იტანჯება შიშისაგან, როდესაც ეჩვენება, დედა–მამას არ ვუყვარვარო. ყოვლად დაუშვებელია ბავშვს მიტოვებით დავემუქროთ. ასეთი რამ არც ხუმრობით და არც სერიოზულად არ შეიძლება. პატარასთვის მშობლების გარეშე დარჩენა მთელ დედამიწაზე მარტოდ ყოფნის ტოლფასია. ბავშვს იმისაც კი შეიძლება შეეშინდეს, როცა საწოლში გაელვიძება და დედას ვერ დაინახავს. მან შეიძლება გაიფიქროს: „იქნებ მიმატოვეს?“

ბავშვი როცა სათამაშოებით ერთობა ან ტოლებთან თამაშობს, დროდადრო გარბის სამზარეულოში, სადაც დედა ეგულება. შეხედავს მას და ისევ უკან გამორბის კმაყოფილი სახით. კიდევ უკეთესია თუ ამ დროს დედა გაუღიმებს, მოეფერება. თუ ბავშვმა დაინახა, რომ დედა შეწუხებულია, ბუზღუნებს ან ტირის, ეს მას ძლიერ აშინებს. მან

შეიძლება თვითონაც ტირილი დაიწყოს და დედას ხელში აყვანა მოსთხოვოს. დედამ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს და ბავშვს დამშვიდებულადაც მოაჩვენოს თავი.

3 წლის ნანა შედის სამზარეულოში და ხედავს, რომ დედა დანით რაღაცას ჭრის და თან ცრემლები ჩამოსდის. მას შეეშინდა, დაიწყო ზლუქუნი და დედას ხელში აყვანა სთხოვა. დედა ეშურებოდა სადილის დამზადებას და ხახვის ჭრისას ცრემლები წამოუვიდა. იგი ცდილობდა ბავშვი თავიდან მოეცილებინა. ნანა კიდევ მეტად გაჯიუტდა, დედამ კი მოფრების მაგივრად კიდევ უფრო შეაშინა: — წადი, მომცილდი, თორემ ამ დანას ყელში გამოვისვამ და დედა აღარ გეყოლება.

ეს ისეთი საშინელი დარტყმა იყო ბავშვის ფსიქიკისათვის, რომ 30 წლის შემდეგაც ზარავდა ამის გახსენება.

ბავშვს მუდამ აქვს დედ–მამასთან ყოფნის და მათი სახის ყურების სურვილი. ბავშვი შეიძლება მშობელს კალთაში უჯდეს, მას კი სხვა მხარეს ჰქონდეს სახე მიბრუნებული. ბავშვი ცდილობს მას სახე თავისკენ მიაბრუნებინოს.

მამა თამუნას კისერზე შემომჯდარს ასეირნებდა პარკში. იგი დროდადრო თავს დაღუნავდა, რათა მამისთვის სახეში შეეხედა.

ამ ვითარებას მშობელი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს. ამიტომ არაა სასურველი ბავშვს დავემალოთ ან წასვლით დავემუქროთ.

თუ მაინც შეიქმნა ისეთი ცხოვრებისეული სი-

ტუაცია, რომ იძულებული ხართ შვილი დროებით დატოვოთ, ამ განშორებისათვის იგი წინასწარ კარგად უნდა შევამზადოთ. როცა ეს არ იციან და გართულებებს ერიდებიან, მშობლები ბავშვის დაძინების შემდეგ ან მისი არყოფნისას მიდიან სახლიდან, ხოლო მიზეზის ახსნას ბებოს ან ძიძას ავალებენ.

დედა საოპერაციოდ აპირებდა დაწოლას, მაგრამ ბავშვს ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდნენ. დანიშნულ დღეს მან სანოვაგის ჩანთა აიღო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მაღაზიაში გადიოდა. შინ მხოლოდ სამი კვირის შემდეგ დაბრუნდა.

ვიდრე დედა შინ არ იყო, ბავშვი სრულიად მოეშვა. აღარც მამის ალერსი ჭრიდა და არც მისი ახსნა–განმარტებები. მას დაემართა უმადობა, ხშირად ტიროდა, საათობით ფანჯარასთან იყო აკრული და ქუჩაში დედის გამოჩენას ელოდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი აუცილებელ განშორებას უკეთ იტანს, თუკი ადრევე შემზადებულია ამისათვის. განშორების ვითარება უმჯობესია მხოლოდ სიტყვებით კი არა, ბავშვისათვის ცნობილი თამაშის ენითაც ავუხსნათ.

დედამ წინასწარ უთხრა ლიას საავადმყოფოში დაწოლის შესახებ და მასთან ერთად სათამაშოების საშუალებით გაითამაშა სცენა: დედა სამკურნალოდ მიდის, რომ კარგად გახდეს. ლია კი ფიქრობს, სად არის ჩემი დედიკო? დედიკო კი ამ დროს საავადმყოფოშია. ლია ტირის და ეძებს, დედა კი არ ჩანს. იგი არც სამზარეულოშია, არც

საძინებელში, არც სასადილო ოთახში. ლიას დედა ენატრება. დედაც სულ ლიაზე ფიქრობს, ძალიან უყვარს და ენატრება. ბოლოს დედიკო კარგად ხდება. ლიას ძალიან უხარია, რომ დედიკო შინ დაბრუნდა და კარგადაა.

განშორების და ბედნიერი დასასრულის ეს სცენა მათ კიდევ რამდენჯერმე, გაიმეორეს. ჯერ ყველა თოჯინას მაგივრად დედა ლაპარაკობდა, შემდეგ ეს თვით ლიამ გააკეთა. როცა „ექიმს“ ან „ექთანს“ მიმართავდა, თან სთხოვდა კარგად მიეხედათ დედიკოსთვის და შინ მალე გამოეშვათ.

საავადმყოფოში დაწოლის წინა დღეს ლიამ დედას სთხოვა, კიდევ ერთხელ ეთამაშათ. ბავშვი თამაშში აქტიური იყო და ბოლოს თქვა: – ნუ გეშინია, დედა, მე დაგელოდები და რომ დაბრუნდები, აქ დაგხვდები.

დედამ საწოლთან დიდი სურათი დაკიდა, რომელზეც დედა–შვილი ერთად იყვნენ გადაღებული. როცა ლია მოიწყენდა, იგი სურათს შეხედავდა, რაც დედის სიყვარულს ახსენებდა. ამ ვითარებამ ბავშვს ადვილად გადაატანინა უდედობა.

საკუთარი შვილების სიყვარული აუცილებელია, მაგრამ დაუშვებელია ავადმყოფობამდე მისული გრძნობები და ბავშვისგანაც მოვითხოვდეთ ყოველთვის მხურვალე გამოვლენას. ბავშვის სიყვარულის დაკარგვის შიშით მშობლები უსუსურობას ავლენენ, ისიც ულმობლად სარგებლობს ამით და ნამდვილ შინაურ ტირანად იქცევა.

ბევრია ისეთი ბავშვი, მშობელს რომ ემუქრე-

ბა, აღარ მეყვარებიო. ისინი შეუგნებლად ყოველ ფეხის ნაბიჯზე შანტაჟს უწყობენ მშობლებს. აქ ხაგზასმით უნდა აღინიშნოს: ტრაგედია ის კი არ არის, რომ ბავშვი ემუქრება მშობელს აიძულებს მორეჩილებას, არამედ ის, რომ მშობელს ეშინია ამ მუქარისა. ბავშვს სურს ჰყავდეს არა მშიშარა მშობელი, არამედ ძლიერი და თანამგრძნობი. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ გაგებით შევხვდებით პატარას ქმედებას. უნდა გვახსოვდეს, რომ მას ჩვეულებრივ სიარულს სირბილი ურჩევნია. მათი აზრით, ხეები იმიტომ არსებობს, რომ ზედ აძვრე, სარკე კი იმიტომ, რომ შიგ საკუთარ გამოსახულებას დაეჯღანო. გაგებით უნდა შევხვდეთ ბავშვის ოცნებებსა და პატარა–პატარა გამოგონებებს და შევეცადოთ ყოველგვარ ემოციას შესაბამისი გამოსავალი მოვუნახოთ. მათ უნდა მივცეთ „საძაგელი" ნახატების ხატვის უფლება. ნუ დაუშლით, რომ სამიზნე – მტერს ისრები დაუშინოს, შუაზე გაჭრას საზიზღარი ადამიანის გამოსახულება, არივ–დარიოს სათამაშოები, თქვას უწმაწური ლექსები.

რა თქმა უნდა, ყველაფრის დაშვება არ შეიძლება. ამიტომ მთავარია მოვახერხოთ, რათა შევზღუდოთ საქციელი ისე, რომ სურვილებს წინ არ აღვუდგეთ. ბავშვს უნდა მივცეთ შესაძლებლობა გამოხატოს თავისი გრძნობები, დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები, ხოლო მოქმედება სხვა კალაპოტში მივუშვათ. ამაში დაგვეხმარება ბავშვის განცდების განსაზღვრა, გაანალიზება.

– დღეს რაღაცაზე გაბრაზებული ხარ... – ეუბნება დედა გიოს.

– ჰო, გაბრაზებული ვარ.

– ვინ გაგაბრაზა?

– შენ.

– რაშია საქმე, ამიხსენი.

– ბაღში სასეირნოდ მარტო ვაჟა წაიყვანე, მე კი შინ დამტოვე.

– ამიტომ გაბრაზდი? ალბათ იფიქრე, დედას ჩემზე მეტად ვაჟა უყვარსო.

– დიახ.

– ზოგჯერ მართლაც ასე გეჩვენება, არა?

– ჰო, რა თქმა უნდა.

– იცი რა, როცა იგრძნობ, რომ ამის გამო ბრაზი მოგდის, მითხარი ხოლმე.

ამ დროს დედამ გაუღიმა გიოს, მიიხუტა და მოეფერა. ბავშვს ძლიერ ესიამოვნა.

ოთხი წლის თენგომ კატისთვის კუდის მოჭრა განიზრახა, რათა ენახა „შიგნით რა იყო“. დედამ ეს საქციელი ბუნების საიდუმლოებათა წვდომის სურვილით ნაკარნახევად მიიჩნია, მაგრამ კატის ხელის ხლებაზე უარი უთხრა: – ვიცი, რომ გაინტერესებს, მაგრამ ცოცხალი კატის ასე გაჭრა ცოდვაა. მაგას სჯობს წიგნში მოვძებნოთ ისეთი ნახატი, სადაც ჩანს თუ შიგნით რა არის.

დედ–მამის ჩხუბი. მშობლებს შორის კინკლაობამ შესაძლოა პატარაში გამოიწვიოს შეშფოთება და სინდისის ქენჯნა. შეშფოთებას იწვევს იმის შიში, რომ მშობლებს რაღაც ემართებათ, ე. ი. მას

ემართება რაიმე ცუდი. სინდისის ქენჯნის მიზეზი კი თვით მისი რეალური ან გამოგონილი დანაშაული გახლავთ. ბავშვებს ჰგონიათ, რომ ოჯახური აყალ–მაყალის მიზეზი მათი საქციელი და თვით მათი არსებობაცაა.

მშობლების ჩხუბისას ბავშვებს არ ძალუძთ ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. ისინი რომელიმე მხარეს დგებიან, რაც ძალზე სავალალოა. თუკი ბიჭუნა მამას ემხრობა, გოგონა კი დედას, მათი რეაქცია მშობლის ქცევის, მათი ხასიათის, პრინციპებისა და შეხედულებების უარყოფაში იჩენს თავს. ასეთ დროს ბიჭი დედას გაურბის, გოგონა კი მამას. ამან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ბავშვს საწინააღმდეგო სქესის ყველა წარმომადგენლის მიმართ ეჭვი და ზიზღი გაუჩნდეს.

როცა მშობლები იძულებულნი არიან ერთმანეთს ბავშვის სიყვარულსა და კეთილგანწყობაში შეეცილონ, ამისათვის ზემოქმედების არაპედაგოგიური საშუალებებს მიმართავენ – გულის მოგებას, პირმოთნეობას, სიცრუეს. ასეთ პირობებში ბავშვი ორპირი, გრძნობაგაორებული იზრდება. ისიც იწყებს მშობელთა ერთგულების ექსპლუატაციას, მაბეზღარობას, შანტაჟის მოწყობას, ჭორაობას.

– თუ ბურთს არ მიყიდი, მამას ვეტყვი, რომ შენ კაცებს ელაპარაკებოდი, – ემუქრება ბავშვი დედას.

– როდის ველაპარაკებოდი? შენ ხომ იცი, რომ ეს არ ყოფილა, – თავს იმართლებს გამწარებული დედა.

– კი, არ ყოფილა, მაგრამ მე თუ ვეტყვი, მამა დაიჯერებს და გეჩხუბება. ამიტომ ჯობია ბურთი მიყიდო.

სიკვდილის შიში. უფროსებისთვისაც კი სიკვდილი ხშირად ტრაგედიაა. ბევრს მასზე ფიქრიც კი აშინებს და გამოუცნობად მოვლენადაც კი მიაჩნია. ბავშვისათვის ეს პროცესი არა მხოლოდ იდუმალებითაა მოცული, არამედ დიდ საშიშროებასაც შეიცავს. მას არ შეუძლია გააცნობიეროს სიკვდილის გარდაუვალობა. მასში შიშს იწვევს, რომ დედ–მამასაც კი არ შეუძლია გარდაცვლილს სიცოცხლე დაუბრუნოს. ამის გამო ბავშვის სულში უნდობლობა, საკუთარი ძალებისადმი ეჭვი, სასოწარკვეთილება ისადგურებს. ცრემლებისა და პროტესტის მიუხედავად საყვარელი ლეკვი ან ძვირფასი ბებო უკან არ ბრუნდება. ამიტომ იგი თავს მიტოვებულად გრძნობს. ჰგონია, არავის ვუყვარვარო.

ზოგი მშობელი ცდილობს, ბავშვს თავიდან ააცილოს სიკვდილთან დაკაშვირებული ტკივილი და მწუხარება: თუ პატარა საყვარელი თევზი ან კნუტი მოუკვდა, მაშინვე ჩუმად ახალს უყიდიან იმ იმედით, რომ ბავშვი ამ ცვლილებას ვერ შენიშნავს.

როგორი დასკვნა შეიძლება გამოიტანოს ბავშვმა ასეთი საქციელიდან? – საყვარელი არსების დაკარგვა დიდი არაფერია. ან სიყვარულში ერთგულება ჩირადაც არ ღირს.

არ შეიძლება ბავშვს ტანჯვის, გლოვის უფლება

წავართვათ. მას შეუძლია და უნდა იგრძნოს კიდეც დაკარგვის სიმწარე. ეს ხომ მასში ადამიანობას აღვიძებს და ხასიათს უკეთილშობილებს.

8 წლის გიას სამი თვის ძმა გარდაეცვალა. მან დასაწყისში ნახა მშობლების საოცარი გლოვა, შემდეგ კი გასვენებამდე იგი მოწყვიტეს ამ სიტუაციას და ნათესავთან დატოვეს. მან ეს ვითარება მტკივნეულად მიიღო და მშობლებისადმი წყენა დიდხანს გაჰყვა. შედეგი უფრო სავალალო იქნებოდა, ეს რომ ექვს წლამდე ასაკში ყოფილიყო.

უკეთესია, როცა ბავშვები ჩვენთან ერთად იზიარებენ ოჯახის სიხარულსა და მწუხარებასაც, რაც ერთნაირად გარდაუვალია ცხოვრების გზაზე. თუკი ბავშვს უმალავენ ახლობლის გარდაცვალებას, იგი საკუთარ თავში ეძებს აფორიაქების მიზეზს, რომელსაც სახელს ვერ უძებნის. ამის გამო შეიძლება თავის თავსაც დააბრალოს მომხდარი, ამიტომ თავს გრძნობენ შორს როგორც მიცვალებულის, ისე ოჯახის ცოცხალი წევრებისაგან.

უპირველეს ყოვლისა, ბავშვს უნდა დავეხმაროთ დანაკარგის გაცნობიერებასა და მწუხარების და შიშის გამოხატვაში. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს მისი დამშვიდება და ნუგეშისცემა. მშობელი უნდა შეეცადოს, ბავშვს სიტყვებით გამოახატინოს მწუხარება. საყვარელი ბებოს გარდაცვალებისას ასეთი რამ შეიძლება ვუთხრათ: – მასაც როგორ უყვარდი. არც კი გჯერა, რომ აღარ არის, არა? ხომ ძალიან კარგად გახსოვს?

ამგვარი საუბარი ბავშვს მიახვედრებს, რომ უფ-

როსები თანაუგრძნობენ, ესმით მისი შიშის და მწუხარების მიზეზი. ბავშვი აუცილებლად დაინტერესდება – მტკივნეულია თუ არა სიკვდილი, მიცვალებულები ცოცხლდებიან თუ არა, მოკვდება თუ არა თვითონ, დაიხოცებიან თუ არა მშობლები. პასუხები მოკლე და სწორი უნდა იყოს: სიკვდილის შემდეგ არავითარ ტკივილს არ გრძნობენ, მიცვალებულები აღარ ცოცხლდებიან, მოხუცების სიკვდილი ბუნებრივი მოვლენაა.

ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანებს მიცვალებულის შიში აქვთ. ეს განცდა აუცილებლად ბავშვობიდანაა გამოყოლილი, ამიტომ უნდა გავუცნობიეროთ ბავშვს, მიცვალებული საშიშროებას არ წარმოადგენს, მათ არავითარი ვნების მოყენება არ შეუძლია, რაც შეეხება სამწუხარო ამბის ბავშვისათვის გაცნობას, ამ დროს უნდა გამოვხატოთ მისადმი სიყვარული, თბილი ალერსი, რის გამოც იგი თავს უფრო მშვიდად იგრძნობს. ასეთი მდგომარეობა გაცილებით უკეთ მოქმედებს, როცა თვით მშობლები მშვიდად ღებულობენ გარდაუვალ მწუხარებას. ეს უკეთ მოქმედებს, ვიდრე სიტყვებით ახსნა.

იაპონიაში ექვს წლამდე ასაკის ბავშვმა, საერთოდ არ იცის რა არის სიტყვა – არა! – მისი არსი და მნიშვნელობა, რამეთუ მას არაფერს უკრძალავენ, არადა ყოველგვარი აკრძალვა ბავშვისათვის საშიშროებასთანაა დაკავშირებული. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, ხშირად ხომ არ ვამბობთ „არ შეიძლება!" ამ ფრაზის ყოველი წარმოთქმა

ჩვენს ბავშვებს ყურში გამაყრუებელი ზარის ხმად ჩაესმით, რაც გაუსაძლისი ხდება. ამიტომ ბრაზდებიან, ტირიან, ყვირიან, პროტესტს გამოთქვამენ და ხშირად უფრო ჯიუტობენ. ასეთ დროს მშობელიც თითქოს ბავშვს ეჯიბრება, უფრო გაავებული გაჰყვირის „არას“ და „არ შეიძლებას“.

ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვი მთლიანად საკუთარი სურვილების ტყვეობაში იმყოფება. მას უჭირს მოთხოვნილების შეკავება ან თუნდაც მცირე ხნით გადავადება. ამის მართვას წლები ესაჭიროება, ხოლო ამ ვადის შემცირებას უფრო ხშირად გამოუსწორებელი შეცდომა მოსდევს. აკრძალვა ამუხრუჭებს ქცევას და არა მოთხოვნილებას. თუ ბავშვი აკრძალულს აღარ აკეთებს, მშობელს დადებითი ეფექტი ჰგონია, სინამდვილეში კი შეიძლება ჩამოუყალიბდეს ავადსახსენებელი კომპლექსი „მინდა – არ შეიძლება“, რაც სულიერი აშლილობის საწყისია.

რა ვქნათ ასეთ შემთხვევაში, აღარ გამოვიყენოთ „არა“ და „არ შეიძლება„? სასურველია მათ მაგივრად პოზიტიურის გამომხატველი სიტყვების გამოყენება, ბავშვისათვის სიტუაციის ახსნა. არ ვარგა ბავშვს დავუყვიროთ „არ შეიძლება სათამაშოს გატეხვა!“ უმჯობესია მას ვუთხრათ, რომ სათამაშოს გატეხვა შეიძლება, მაგრამ მერე აღარ ექნება და გული დასწყდება. ასევე, რომ მისი გაბრაზების მიზეზი სულაც არაა სათამაშო და მასზე ჯავრის ამოყრა უშედეგოა.

თუ აუცილებელი გახდა ჩვენი უკმაყოფილების გამოხატვა, არ უნდა ვაქციოთ ეს რაღაც სასწაულ მოვლენად უმჯობესია ბავშვს მივმართოთ გულის ტკენის ფორმით: – რა სამწუხაროა, რომ შენ ეს გააფუჭე, ალბათ ახლა თვითონაც განიცდი. ამით ჩვენ მოვიპოვებთ მის კეთილგანწყობას და ისიც შეეცდება ნაკლებად შეგვეწინააღმდეგოს.

აკრძალვა ისეთი ფორმით უნდა გამოვთქვათ, რომ ბავშვს ღირსება არ შევულახოთ, არ გავაწბილოთ, არ გამოვიწვიოთ. ყოველივე ამას ბავშვის უარყოფითი განცდა მოსდევს.

პატარა ანა დედასთან ერთად მაღაზიაში შევიდა. სანამ დედა საყიდლებით იყო დაკავებული, გოგონა სათამაშოების განყოფილებაში თოჯინებით ერთობოდა და რამდენიმე კიდევაც შეარჩია თავისთვის. შემდეგ დედასთან მიირბინა და ჩუმად ჰკითხა: – რომელი თოჯინა წავიყვანოთ სახლში?

დედას ახალი კაბა ეყიდა, ფული დაეხარჯა და ამიტომ გაღიზიანებულმა მიმართა ბავშვს: – იმდენი თოჯინა გაქვს, სად წავიღო არ ვიცი! რასაც დაინახავ, ყველაფერი გინდა!

აქ დედამ შეცდომა დაუშვა და ბავშვიც შეურაცხყოფილი დარჩა.

თუ ბავშვი ისეთ რამეს გთხოვთ, რისი შესრულებაც არ შეგიძლიათ, ის მაინც უნდა აგრძნობინოთ, რომ გესმით მისი. მაგალითად, დედას შეეძლო ანასთვის ეთქვა: – ალბათ როგორ გინდა, რომ ეს ლამაზი თოჯინა შინ წამოიყვანო. მესმის შენი,

მაგრამ ახლა ფული არა მაქვს. თუ გინდა გასაბერ ბუშტს ან კევს გიყიდი.

აკრძალვები სხვადასხვაგვარად შეიძლება განვსაზღვროთ:

ა) მშობლები აღიარებენ, რომ მსგავსი სურვილი სრულიად ბუნებრივია: „გვესმის, რომ ძალიან გინდა დღეს კინოში წასვლა“.

ბ) ისინი გარკვევით კრძალავენ რომელიმე მოქმედებას: „მაგრამ დღეს არ შეგვიძლია წაგიყვანოთ, რადგან სამუშაო დღეა“. იქვე აძლევენ სურვილის შესრულების ალტერნატივას: „შაბათს ან კვირას წაგიყვანთ“.

გ) ეხმარებიან ბავშვს გამოხატოს თავისი უკმაყოფილება ამ აკრძალვის გამო: „შენ, რა თქმა უნდა, ეს არ მოგწონს. ალბათ, გირჩევნია, რომ ჩვენს ოჯახში ასეთი წესი არ იყოს. როცა გაიზრდები, შეეცდები შვილები ყოველდღე კინოში ატარო“.

ბავშვს უკეთესია ვუთხრათ: „ძილის დროა“, ვიდრე „დაწექი, დაიძინე, შენ ჯერ პატარა ხარ“. ასევე უმჯობესია: „საბავშვო გადაცემები ამოიწურა“, ვიდრე – „გეყოფა ტელევიზორის ყურება, ახლავე გამორთე“.

აკრძალვები უფრო მშვიდად აღიქმება, როცა საგნის ფუნქციაზე მივუთითებთ: „სკამზე სხედან, კი არ დგანან“, ვიდრე – „ახლავე ჩამოძვერი სკამიდან“.

აკრძალვა შეიძლება გამოხატულ იქნას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ჟესტით, მიმიკით, მოძრა-

ობით. თუ ბავშვი რაიმეს კეთების დროს მშობლის მკაცრ გამოხედვას ან მკვეთრ ჟესტიკულაციას მოკრავს თვალს, ეს მისთვის აკრძალვის ტოლფასი შეიძლება გახდეს. იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ ჩვენი უნებლიე მოძრაობითაც. მშობელს პატარა მუხლებზე ეჯდა. ამ დროს მან მოშარდვა დაიწყო რასაც მოჰყვა მშობლის მიერ მისი გვერდზე გადაწევა. ამ მოძრაობამ შარდის შეკავება გაომიწვია, რამდენადაც მშობლის მოქმედება ბავშვმა აკრძალვად მიიჩნია.

ეს ისეთი შემთხვევაა, როცა თითქოს უწყინარ ქმედებას შეიძლება ფსიქიკური ტრავმა მოყვეს. რამდენადაც მოშარდვა ბავშვისათვის სასიამოვნო ქმედებაა, ხოლო მისი აკრძალვა შიშის მომგვრელი, ზოგჯერ ასეთ შეკავებას შეიძლება მოყვეს „მოთხოვნილება + შიში" კომპლექსის ფორმირება.

აკრძალვა შეიძლება გარემოს გარკვეული მოწყობითაც იყოს განპირობებული. თანამედროვე ბინაში გამოკეტილი მრავალი ბავშვი იმით იტანჯება, რომ თავისი მოტორული აქტივობის გამოვლენის საშუალებას ვერ პოულობს. ოთახები ვიწროა, არის ავეჯის და ჭურჭლის გატეხვის საშიშროება. აქედან გამომდინარეობს აკრძალვები: ვერ იხტუნავებს, ვერ ირბენს, ბურთს ვერ ითამაშებს. მსგავსი აკრძალვები, ჩვეულებრივ, ბავშვის ცხოვრებაში ადრეული ასაკიდანვე იჭრება. იგი ხელ–ფეხშეკრულია აკვანში თუ საწოლში და არა აქვს მოძრაობის საშუალება, რაც ფუნქციური ტენდენციების ჩახშობას იწვევს. ოდნავ წამოზრ-

დილს აშინებენ ფანჯრის რაფაზე ასვლისას, კიბეებზე ფორთხვისას და ა. შ. ხტუნვასა და სირბილს მოკლებული ბავშვი დაძაბულია. ეს დაძაბულობა სულ უფრო იზრდება და შიშში გადადის. ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად ბავშვს უნდა ჰქონდეს მოძრავ თამაშებში მეტი ჩართვის საშუალება. შესაძლებლობის ფარგლებში მას უნდა გამოეყოს სპეციალური ოთახი, კუთხე ბინაში ან ადგილი ეზოში, სადაც თავისუფლად იმოძრავებს.

ბავშვის აგრესია მძიმე გამოცდის წინაშე აყენებს მშობლებს, ქმნის დაძაბულობას ურთიერთობაში. ამ დროს მშობლის მხრიდან სიმკაცრის გამოჩენა უკუშედეგს იძლევა. პირიქით, საჭიროა მეტი ალერსი და ყურადღება ბავშვის მიმართ.

აგრესიულობა თავს იჩენს ძალიან ადრეულ ასაკში ძუძუთა ბავშვის თავგანწირული ტირილი გაბრაზების და აღშფოთების გამოხატულებაა. მიზეზი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მას რაღაც დაუშალეს. ბავშვს მუდმივად უწევს რაიმე სურვილის ჩაკვლა. ამის საპასუხოდ იგი მოგვიწოდებს მიშველებისაკენ, შემდეგ კი თანდათან გადადის თავგანწირულ პროტესტზე. იგი ყალიბდება დაუკმაყოფილებლობის, აკრძალვის, შიშის გამო. აგრესიად, ჩვეულებრივ, ითვლება ბრძოლის, აღშფოთების, ჭირვეულობის გამოხატულება, რომლის საპირისპიროდ მიჩნეულია მორჩილება, კარჩაკეტილობა და სხვ. პირველი უფრო დადებით მოვლენად ითვლება, მეორე კი – აშკარად უარყოფითად. რეალურად ორივე ფორმა აგრესიის გამოვლინებას

წარმოადგენს და განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში იგი გარეთ მიიმართება, მეორეში კი – შიგნით. ყველა შემთხვევაში აგრესიულობის გამოვლენა ფსიქიკური აშლილობის მაჩვენებელია. უკეთესია მას გარგამოვლენის ფორმა ჰქონდეს, რამდენადაც კარგი ინდიკატორია და ზომების მიღებისაკენ მიგვითითებს.

მშობელს, როგორც წესი, უყვარს შვილი, მაგრამ ყოველთვის ისე, როდი გამოხატავს ამას, რომ ბავშვს ეჭვი არ შეეპაროს. მაგალითად, როცა დედა ბავშვს ტანს ბანს, შეიძლება ზედმეტი გულმოდგინებით მოწმინდოს ცხვირი. ამან შეიძლება ბავშვში უსიამოვნო გრძნობა გამოიწვიოს და დედის მხრიდან ძალადობად აღიქვას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არაიშვიათად ბავშვი ჩვენში სიყვარულთან ერთად იმედგაცრუებას და სასოწარკვეთილებასაც კი აღძრავს. ამ გრძნობებს ჩვენდაუნებლიედ სიყვარულზე ნაკლებად როდი ვავლენთ. ზოგ მშობელს წესად აქვს ქცეული იმოქმედოს მკაცრი კანონებით პრინციპით – „მტრულად გაზარდე, რომ მოყვრად გამოგადგეს“. ამ დროს ბავშვი ჩვენში ხედავს უკეთურს, დესპოტს, რომელიც ეწინააღმდეგება მას სურვილების დაკმაყოფილებაში, ნორმალურად ცხოვრებაში. ეს აუცილებლად გამოიწვევს მის გაბოროტებას, აღძრავს მასში აგრესიას.

ბავშვმა შეიძლება პირდაპირ მშობლისადმი გამოხატოს აგრესია ან შიშის გამო ეს ვერ გამოავლინოს და საკუთარი თავისკენ მიმართოს იგი.

ხშირად აქვს ადგილი აგრესიის გადატანას. მაგალითად, ბავშვი, რომელსაც დედამ კანფეტი არ მისცა, წიხლისკვრით იცილებს თავიდან სათამაშოს. იგი ვერ ბედავს, რომ დედის მიმართ გამოხატოს გულისწყრომა და ამიტომ აგრესია უფრო უწყინარ ობიექტზე გადააქვს. როცა თავიანთ გაბრაზებას მშობლებისადმი ბავშვები აშკარად გამოხატავენ, შემდგომში ამას ნანობენ. მშობლები მისთვის ძლიერები, ავტორიტეტულები არიან და თუ მათგან მუქარა და დასჯაც მიუღიათ, უკვე აქვთ პატივისცემის და მორჩილების გრძნობა. ამ შემთხვევაში აგრესიის გამოხატვა ბავშვისათვის საშიში ხდება. მას ეშინია, ერთი მხრივ, დასჯის და, მეორე მხრივ, მშობლების მხრიდან სიყვარულის და მზრუნველობის დაკარგვის. ამის გამო აგრესია მიმართულებას იცვლის – გადადის ან სხვა ობიექტზე ან საკუთარ თავზე. რამდენადაც სხვა ობიექტებზე აგრესიის გამოვლენასაც უშლიან, ბავშვს ერთი გამოსავალიღა რჩება – დაადანაშაულოს საკუთარი თავი და მთელი გულისწყრომა მასზე მიმართოს.

აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო მძაფრდება, როცა აგრესიის არა თუ გამოვლენა, არამედ მასზე ფიქრიც კი საშიში ხდება. ამ ვითარების ტრაგიკულობა იმაში გამოიხატება, რომ ყველაზე მეტად თვით ბავშვი ზარალდება. იგი დამდურებულია მშობლებთან, კარგავს მეგობარ–ამხანაგებს, იყენებს ინტლექტუალური შესაძლებლობების მხოლოდ მინიმუმს და ცხოვრება უხდება ნერვი-

ული დაძაბულობის პირობებში. არაიშვიათად იგი ხდება მსხვერპლი უსაფუძვლო და გაურკვეველი შიშების. მდგომარეობა დროთაგანმალვობაში უარესდება, რამდენადაც ასეთი აგრესია ხდება ჩვეული და კონტროლს დაუქვემდებარებადი.

დაშინებით, დასჯით აგრესიის აღკვეთა შეუძლებელია. ეს მითუმეტეს ეხება შიგნით მიმართულ აგრესიას. მთავარია ბავშვისადმი ყურადღების გამოჩენა, ალერსი. მან თავი უნდა იგრძნოს საყვარელ და სასურველ ადამიანად, თუნდაც ეს ხდებოდეს მშობლების მხრიდან მნიშვნელოვანი დათმობის ფასადაც.

აგრესიასთან ერთად, ეჭვი, გაურკვევლობის განცდა ფსიქიკური აშლილობის მუდმივი თანამგზავრია. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება, ყველაზე მწვავედ კი დედ–მამასთან და და–ძმასთან ურთიერთობაში. ბავშვი საშინლად ღიზიანდება, როცა დედა და მამა ერთმანეთს ეფერებიან და არა მას. ასეთივე განცდას იწვევს დედ–მამის მიერ მისი პატარა დის თუ ძმის მიალერსება.

რაც არ უნდა ტაქტიანად შევამზადოთ ბავშვი ოჯახის ახალი წევრის შემომატებასთან დაკავშირებით, პატარას გაჩენა მასში მაინც იწვევს ეჭვიანობას და ტანჯვას. ბავშვი მაქსიმალისტია და ვერ იტანს სიყვარულის და ყურადღების გაყოფას. მას ჰგონია, რომ ის აღარ უყვართ. თავის მხრივ, ეჭვი, შური, ჯიბრი საშინლად ტანჯავს ბავშვს. დაუშვებელია ამ განცდების ძალით აღკვეთა ან

უგულვებელყოფა, რადგან ისინი ყველაფრის მიუხედავად მაინც ჩნდება.

როცა ბავშვს მომავალ და–ძმაზე ვესაუბრებით, პირველ რიგში მის მიმართ ჩვენი სიყვარული უნდა გამოვხატოთ: – ჩვენ ისე გვიყვარხარ, ისეთი კარგი ბიჭი ხარ, რომ გადავწყვიტეთ კიდევ ერთი შენნაირი შვილი მოვიყვანოთ. შენ მას ძალიან ეყვარები, ყოველთვის გეთამაშება და ყველაფერს გაგიგონებს. შენც ძალიან შეგიყვარდება ის.

პატარას დაბადება ბავშვის სიმშვიდეს საფრთხეს უქმნის და ამას ვერსად გავექცევით. მთავარია შევამციროთ ის ზემოქმედება, რომელსაც ბავშვის გუნება–განწყობილებაზე ეს უსიამოვნო ახალი ამბავი მოახდენს. მშობლის არასწორი ქცევა დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, რაც მას შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეს. ამის მაგალითია ერთი მოზრდილი პაციენტის მოგონება: – როცა ზაზა დაიბადა, მამამ მის საწოლთან მიმიყვანა და მითხრა, რომ ახლა საუკეთესოდ უნდა მოვიქცე, რამდენადაც მყავს ძმა და ერთადერთი შვილი აღარა ვარ. შენ მას უნდა უპატრონო, რადგან მასზე დიდი ხარ. ახლაც მახსოვს ის წითელი ბავშვი, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვეჯიბრებოდი, რომ მასზე უკეთესი ვყოფილიყავი, მისი არსებობა კი ნამდვილ ჯოჯოხეთად გადამექცია.

აი, საპირისპირო მაგალითი იმის საჩვენებლად, თუ როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ასეთ შემთხვევაში, როცა ოთხი წლის ნინომ გაიგო, რომ დედას

ბავშვი ეყოლებოდა, სიხარულისაგან ადგილს ვერ პოულობდა. დედასთან საუბარში დასთან ცხოვრების იდილიურ სურათს ხატავდა, მაგრამ დედამ გოგონას ასეთ ცალმხრივ წარმოდგენას მხარი არ აუბა და უთხრა: – უმცროსი დაიკო მარტო სიხარულს კი არ მოგიტანს, იგი მზრუნველობასაც მოითხოვს. იტირებს, ყველაფერში ხელს შეგვიშლის, თავსაც მოგვაბეზრებს. უნდა დავბანოთ, ვაჭამოთ, მოვუაროთ. ზოგჯერ შეიძლება იფიქრო, დედას დავავიწყდიო და ეჭვიანობაც კი დაიწყო. თუ ასეთი რამ აზრად მოგივა, მაშინვე მითხარი. მე შენ ყოველთვის მიყვარდი და მეყვარება.

ბევრ მშობელს ბავშვთან ამგვარი საუბარი ზედმეტად მიაჩნია. ეს სწორი არაა და მეტიც შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მიმართება შეიძლება გვქონდეს უფრო მცირეწლოვანთანაც. მთავარი ზოგჯერ სიტყვები კი არა, არამედ ყურადღება და სითბოა, რასაც ბავშვის მიმართ გამოვიჩენთ. თუ ბავშვს დაარწმუნებთ, რომ კარგად გესმით მისი განცდები, მასაც ეხსნება შიში, მეტი ნდობით ეპყრობა მშობლებს და აღარც მათთან საუბარი გაუჭირდება. აქვე, უმჯობესია შვილს ნება დავრთოთ ხმამაღლა გამოხატოს საკუთარი გრძნობები, ვიდრე ჩუმად იტანჯებოდეს.

მოზარდთა არც თუ მცირე ნაწილის განცდის სფეროს წარმოადგენს დანაშაულის და არასრულფასოვნების განცდა.

ეს განცდები უდიდეს სატანჯველს უქმნის ადამიანებს. მათ ფორმირებას საფუძველი ბავშვო-

ბიდან ეყრება. ბავშვი ისე ევლინება ამ ქვეყანას, რომ ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს სიკეთესა და ბოროტებაზე. მათ შესახებ ცოდნას იგი სხვებთან ურთიერთობაში იძენს და ასე ყალიბდება ცივილიზებულ ადამიანად. ამ ცოდნის საფუძველზე მას უყალიბდება სინდისი, რასაც მეტნაკლებად ყოველი ადამიანი ფლობს.

ადამიანი, ჩვეულებრივ, გრძნობს პასუხისმგებლობას გარშემომყოფთა წინაშე, როცა ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართებით რაიმე შეცდომა დავუშვით, ვგრძნობთ სინდისის ქენჯნას. გამწვავების შემთხვევაში იგი ისეთივე მტანჯველი ხდება, როგორც დასჯა. ეს არის დანაშაულის განცდა, რაც სინდისის ემოციური გამძაფრებაა ღრმა ემოციურობის შემთხვევაში მან შეიძლება თავი იჩინოს სრულიად მოულოდნელი სახით. იგი შეიძლება აღმოცენდეს არა მარტო მას შემდეგ, როცა ადამიანმა რაიმე ცუდი ჩაიდინა, არამედ მაშინაც კი, როდესაც განზრახვის განხორციელება არ მომხდარა. ვთქვათ, ბავშვი გაბრაზებულია მშობლებზე და სურს სამაგიერო გადაუხადოს, მაგრამ რეალურად არაფერს სჩადის. თვით ამის გაფიქრებამ შეიძლება წარმოშვას დანაშაულის განცდა.

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას. სულიერი აშლილობის დროს დანაშაულის განცდა იმდენადაა გაძლიერებული, რომ ადამიანი თავის თავს აბრალებს სტიქიურ უბედურებასაც, ვინმეს გარდაცვალებასაც და ა. შ. ამ შემთხვევაში რაიმე კონკრე-

ტული სიტუაცია მხოლოდ საბაბია მისი განცდის გამძაფრებისა და არა დანაშაულის მიზეზი.

საკუთარი თავის ასე მკაცრად განსჯა იგივეა, რომ თავი მიიჩნიო ცუდ ადამიანად. აქ კი გულგატეხილობამდე და არასრულფასოვნების განცდამდე ერთი ნაბიჯია.

დანაშაულის განცდის თავიდან მოცილების მცდელობა წარმოშობს ქცევის ისეთ ფორმებს, რომელთაც გარეგნულად თითქოს საერთო არა აქვს ჩვენს შიშთან ცუდი არაფერი ჩავიდინოო. ესაა გადაჭარბებული სიფრხილე, ფარისევლობა, გაუბედაობა, ეჭვიანობა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ასეთი მოქმედებები: ადამიანი წამდაუწუმ ამოწმებს გამორთო თუ არა გაზი, დაუსრულებლად იბანს ხელებს, რაღაცას ეხება ან წიწკნის და ა. შ.

როცა მშობლები ხშირად იჩენენ ბავშვის მიმართ სიმკაცრეს, ავლენენ უკმაყოფილებას, მას უჩნდება სიყვარულის უკმარისობის განცდა. იმის გრძნობა, რომ იგი უყვართ, ფუფუნებად იქცევა და არა ნორმად. ზოგჯერ ბავშვს ზედმეტად ვაქებთ ან ვათამამებთ, ხშირად კი მის ცუდ საქციელზე ვაი–უშველებელს ავტეხთ. თუ შემთხვევით რამე გატეხა, მას დიდი ადამიანივით ვკიცხავთ, როცა ტყუილს ამბობს, ყვირილით გამოვთქვამთ საყვედურს. თუ ბავშვი დასთან ან ძმასთან კინკლაობს, ისე ვრეაგირებთ ამაზე, თითქოს იგი მსოფლიოში ერთადერთი ბავშვი იყოს, ვინც ასე იქცევა. ასეთ შემთხვევაში მას უჩნდება აგრესია

ჩვენს მიმართ, რომლის გამოვლენასაც კიდევ უფრო მკაცრად ვსჯით. ამით შეშინებული ბავშვი დაეჭვებას იწყებს, იქნებ მართლა ასეთი დამნაშავეა. იგი თანდათან იწყებს საკუთარი თავისადმი ნაკლები პატივისცემით მოპყრობას. ხდება საკუთარ თავში დაეჭვებული, გაუბედავი. იგი განიცდის შიშს რაიმე ინიციატივის გამოჩენის მიმართ, იჩენს გადამეტებულ სიფრთხილეს და გრძნობს იმის აუცილებლობას, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხადოს ბოდიში და იმართლოს თავი. ასეთ ვითარებაში დანაშაულის განცდა მას აიძულებს ბევრ რამეზე თავი შეიკავოს, რამდენადაც აქვს შესაძლო წარუმატებლობის შიში. ამ პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებაა. არასრულფასოვნების განცდა, როცა ადამიანი თავს სხვებზე ნაკლოვანად განიცდის ფიზიკურადაც, ინტელექტუალურადაც და ზნეობრივადაც. ახასიათებს საკუთარი მიღწევის შეუფასებლობა, ძალებში დაურწმუნებლობა.

თუ არსებობის მთავარი ფორმა დიდებისათვის შრომაა, ბავშვისათვის ეს არის თამაში. იგი ამით ემზადება მომავალი ცხოვრებისათვის. თამაშის დროს განსაკუთრებით კარგად ჩანს ბავშვის ფანტაზიორობა, როცა მოქმედება გადააქვს წარმოდგენილ სამყაროში.

რეალიზმზე ორიენტირებული მშობლები ხშირად შიშით უყურებენ შვილის ფანტაზიორობას და სვამენ კითხვას: რამდენად უარყოფითი მოვლენაა იგი?

წარმოსახვა, ფანტაზია არაა უარყოფითი მოვ-

ლენა. მას არ მოაქვს ზიანი. პირიქით, იგი სასიამოვნო განცდების მომტანია. სხვა საქმეა, როცა ბავშვი სრულიად წყდება რეალურ სამყაროს, წყვეტს ურთიერთობას უფროსებთან თუ თანატოლებთან და მხოლოდ შექმნილ ფანტასტიკურ სამყაროში იმყოფება. ამ შემთხვევაში ფანტაზია კი არაა უარყოფითი მოვლენა, არამედ ეს სულიერი აშლილობის მაჩვენებელია, რომლის გამოც გაურბის რეალურ ცხოვრებას. ადამიანები, საგნები და მოვლენები მისთვის არასანდო, საშიში ხდება.

ჩვეულებრივ, ადამიანი რაიმე საქმის გაკეთებამდე ჯერ წარმოდგენაში წყვეტს პრობლემას ბავშვიც თამაშისას სწორედ ამისთვის ემზადება. მაგრამ სულიერი აშლილობის შემთხვევაში სწორედ აქ იჩენს თავს არანორმალური მდგომარეობა. აქ ორგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ერთი ზემოთ აღწერილი შემთხვევა, როცა წარმოდგენა ფანტასტიკურ ფორმებს იძენს. სამი წლის ბადრი გვერდიდან არ იცილებდა სათამაშო ვეფხვს. იგი იმაზე ოცნებობდა, როცა ვეფხვი გაცოცხლდებოდა და მის დამცველად გადაიქცეოდა. შემდეგ ამ პროცესმა უფრო ფანტასტიკური სახე მიიღო – ვეფხვი და ბადრი საგმირო საქმეებს ჩადიან. როცა ბადრი გაიზარდა, მის წარმოდგენებში ყოველთვის მსგავსი მოვლენები ჭარბობდა. იგი ოცნებობდა კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინის გამოგონებაზე, თუმცა არავითარ ნაბიჯს არ დგამდა ამ მიმართულებით. იგი ასევე ფანტაზიორობდა, თუ

როგორ დახარჯავდა მილიონებს ხალხის კეთილდღეობაზე და ა. შ.

ფსიქიკური აშლილობისათვის დამახასიათებელი მეორე და უფრო მძიმე ფორმაა, როცა თვით წარმოდგენა, ფიქრი ხდება საშიში ასეთ დროს ბავშვი და დიდიც ცდილობს მუდამ რაიმე საქმიანობით იყოს დაკავებული, რომ საშიშმა ფიქრებმა არ შეაწუხოს, არადა ადამიანი ხომ მხოლოდ ფიქრია და მეტი არაფერი, როდესაც ფიქრობს კარგზე, – სულ კარგადაა, ფიქრობს ცუდზე და ცუდადაა... ამიტომაც კარგზე ფიქრი სჯობს ყოველთვის...

პარკში მისერნობდნენ ჯინსებიანი შოლტივით გოგო და შავსათვალიანი ჭაბუკი. ცარიელი სკამის წინ შეჩერდნენ და... ყველაფერი გადაავიწყდათ. იქვე მსხდომი ქალები შეიშმუშნენ: „დღისით, მზისით... სულ დაკარგეს სირცხვილ–ნამუსი. შინ მაინც იყვნენ!...“

შინაც იკოცნებიან... შვილიშვილთან ოთახში დაუკაკუნებლად ვერ შევსულვარ... თანაკლასელი ჰყავს ბატონო ჩემო, მეცადინეობენ... ამასწინათ შევიხედე, ჩაის ხომ არ ინებებთ–მეთქი და, კარგ რამესაც შევესწარი – იკოცნებიან. რომელში გგონიათ, მეშვიდეში... დავუჯექი მერე და ვუკითხავ – „მოკვდი, მაგრამ ნუ გასცემ კოცნას უსიყვარულოდ“... კისკისებს: „მერედა რა იცი, იქნებ გვიყვარს ერთმანეთიო“. ამის შემდეგ კარს ფირფიტა ჩამოჰკიდა – „გარეშეთათვის შესვლა აკრძალულია“. არა, ბატონო, მაგხელები რომ ვიყავით, სიყვარულზე არც გვიფიქრია.

ახლა – ფიქრობენ. ფიქრობენ უფროსკლასელები, სტუდენტები, ფიქრობენ გოგოები და ბიჭები ყველა ქვეყანაში.

ქორწინება გაახალგაზრდავდა. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში ორი ათეული წლის განმავლობაში საპატარძლოთა საშუალო ასაკმა 21–დან 19 წლამდე დაიწია, სასიძოთა ასაკმა კი 24 წლიდან 20–მდე დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაშიც.

რამდენი თავსატეხი გაგვიჩინა აქსელერაციამ! აქსელერაცია ხომ მარტო სისქე–სიმაღლეში წისვლას არ გულისხმობ – თავი და თავი ის გახლავთ, რომ სქესობრივი მომწიფება ახლა ოთხი–ხუთი წლით უფრო ადრე ხდება, ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ფსიქოფიზიოლოგიურ პრობლემათა მთელი კომპლექსი გადაადგილდა ასაკობრივ კიბეზე.

ვარგა თუ არა ადრეულ ასაკში დაქორწინება? თუ ზოგიერთ მოსაზრებას გავითვალისწინებთ – ურიგო არ უნდა იყოს: რაც უფრო ახალგაზრდაა ცოლ–ქმარი, მით უფრო ადვილად ეგუებიან ერთმანეთს; ეს დემოგრაფიული თვალსაზრისითაც კარგია – მეტი ბავშვი მოევლინება ქვეყანას.

მაგრამ ადრიანი ქორწინება, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრობლემაა. მართალია, მოზარდი ფიზიოლოგიურად განვითარებულია, მაგრამ მას წინ აქვს კიდევ ორი უმთავრესი ეტაპი – ფსიქოლოგიური და სოციალური მომწიფება. ამ დროს ამთავრებს ადამიანი განათლებას, ექმნება ფასე-

ულობითი ორიენტაცია და მატერიალურადაც დამოუკიდებელი ხდება.

ყველამ ვიცით, ცოლ–ქმრული ბედნიერება უღრუბლო როდია... ოჯახური სიძნელეების გადალახვისათვის საჭიროა, მეუღლის გამგები და თანამფლობელი იყო, მოთმენაც უნდა შეგეძლოს და დათმობაც, საოჯახო ბიუჯეტის ჭკვიანურად დაგეგმვაც უნდა იცოდე და ყაირათიანი ხარჯვაც – მოკლედ, ოჯახს უნდა გაუძღვე. ჩვენს ახალგაზრდა ცოლ–ქმართა უმეტესობას კი ნამდვილ მეოჯახეობამდე ბევრი უკლიათ. ამიტომაც არის – იყრებიან ხოლმე. ახალი გამოთქმაც კი გაჩნდა – „საცდელი ქორწინება“. ვერ შევეწყვეთ – განვქორწინდეთ. ხედავთ, ყველაფერი რა იოლი ყოფილა!

მაგრამ ყოფის მოწესრიგება საქმის მხოლოდ ნახევარია: არსებობს ოჯახური ცხოვრებისათვის ახალგაზრდების მომზადების კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც იმდენად დელიკატურია, რომ მასზე წერა, ცოტა არ იყოს, ჭირს. ეს გახლავთ – სქესობრივი აღზრდა და სქესობრივი ურთიერთობის კულტურა.

დასცილდა მიჯნები ბიოლოგიურ მომწიფებასა და იმ ასაკს შორის, როდესაც დასაშვებია ქორწინება. ამან კი მიგვიყვანა არა მარტო ადრეულ ქორწინებამდე, არამედ ადრეულ კავშირებამდეც. გერმანელმა მეცნიერებმა ვ. ფრიდრიხმა და კ. შტარკემ გამოიკვლიეს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალ–ვაჟნი სქესობრივ

ცხოვრებას არასრული ჩვიდმეტი წლიდან იწყებენ. 58 პროცენტმა აბიტურიენტებისა განაცხადა, რომ აქვთ ინტიმური ურთიერთობის გამოცდილება. ჩეხოსლოვაკელმა მეცნიერებმა გამოკითხეს დაახლოებით ორიათასი გათხოვილი ქალი – 20–40 წლის ასაკისა. გამოირკვა, რომ სქესობრივ ურთიერთობათა პირველი გამოცდილება 17 წლის ასაკიდან 14–15 წლამდე ჩამოსულა. სქესობრივი ლტოლვა განვითარებული ადამიანის ბუნებრივი თვისება გახლავთ, მეტი – მოუცილებელი თვისება, და მის წინააღმდეგ ენა ვის მოუტრიალდება! მაგრამ გუშინდელ გოგო–ბიჭებს ყოველთვის როდი შეუძლიათ მოთოკონ თავიანთი ლტოლვა, გააკონტროლონ თავიანთი ქცევა, უვიცობას სქესობრივ ცხოვრებაში კი ხშირად ფეხმძიმობა სდევს – არასასურველი ფეხმძიმობა. შემდეგ კი ახალგაზრდა უნუგეშო არჩევანის წინაშე დგება. ან იძულებითი ქორწინება, ან ბუში. ან აბორტი, რომლის იძულებითი ქორწინებისას, როგორც სოციოლოგები იტყვიან – „რისკის ფაქტორი" მაღალია მომავალში ნორმალური ცოლ–ქმრული ცხოვრების თვალსაზრისით. როგორც წესი, ასეთი კავშირი უდღეურია. მეორე ვარიანტი – ბავშვი ჩნდება არასრულ ოჯახში. მესამე ვარიანტი – აბორტი. ეს, ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა, როცა ქალი შეგნებულად დგამს ნაბიჯს, რომელიც მის ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. მთელ დედამიწაზე ყოველწლიურად 50–55 მილიონი აბორტი კეთდება. მათგან ლომის წილი კი პირ-

ველ ორსულობაზე მოდის. ბევრია მათ შორის არასრულწლოვანიც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აბორტების საერთო რაოდენობიდან 20 პროცენტი 18 წლის ასაკამდე გაუთხოვარ გოგოებზე მოდის. არადა, რამდენი არასასიამოვნო მოვლენა შეიძლება მოჰყვეს ამ, ერთი შეხედვით, უვნებელ ოპერაციას – გართულებები (25%), უნაყოფობა (16%), დაქვეითებული ნაყოფიერება, ნუთუ ყოველივე ამის მიზეზი, აქსელერაციაა? – სრულიადაც არა! ეს სოციალური მიზეზებია: – ურბანიზაცია, მეცნიერულ–ტექნიკური რევოლუცია, ძველი ფასეულობათა გადაფასება... გარდა ამისა ახლანდელი ახალგაზრდობა სახლში იშვიათად არის და ვინც არის, ისიც მხოლოდ კომპიუტერის სიყვარულით,თ უმცა კომპიუტერიზაცია ცალკე სასუბრო თემაა, რამეთუ მოზარდებში დანაშაულებრივი ფონის მატება, უშუალო კავშირშია კომპიუტერულ თამაშებთან, ბავშვებს ჰგონიათ რომ მათაც, ისევე როგორც მის კომპიუტერულ გმირებს, სამი და მეტი სიცოცხლე აქვთ, ამიტომაც არაფრად აგდებენ სიკვდილ–სიცოცხლის რაობას, ოჯახის გავლენა მათზე ნელ–ნელა მცირდება, მშობელს უჭირს თვალყური ადევნოს გოგონებისა და ვაჟების ქცევას, გარეშეებთან ურთიერთობა კი, პირიქით, ისევ კომპიუტერის დახმარებით, გაადვილებულია, მოკლედ, მოზარდთა დაახლოვება ახლა ბევრად უფრო ადვილია...

გარდა ამისა, თვით ზნე–ჩვეულებანიც იცვლება. თქვენ გგონიათ – წინათ სქესობრივი მორალი იმი-

ტომ იყო უფრო მკაცრი, რომ ჩვენი მამა–პაპანი თავიანთი ბუნებით იყვნენ ჩვენზე უბიწონი? არა, მათ შიში თრგუნავდათ – შიში ღვთის წინაშე, შიში „საქვეყნოდ გამოჭენებისა“, შიში ვენერიული სენისა და იმისა, თუ – „რა მოჰყვებოდა ამას“. ახლა? ახლა ღმერთის წინაშე შიში ამ მიმართებით შესუსტდა. ასევე ნაკლებად ეშინიათ ჭორების, სახელის გატეხის, ათვალისწუნებისა – თვითეულს შეუძლია თანამოაზრეთა წრე შემოიკრიბოს. სიტყვამ მოიტანა და, საზოგადოებრივი აზრიც ძველებურად შემართული აღარ არის ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციოლოგთა მონაცემებით მშობელთა 56 პროცენტი მშვიდად აღიქვამს თავიანთი არასრულწლოვანი ვაჟების ქორწინებამდე კავშირს, თვლიან რა ამას „დასაშვებად და ბუნებრივად“. ასეთივე სიმშვიდით უყურებენ ამ საკითხს ქალიშვილთა მშობლების 37 პროცენტი. არ იფიქროთ, უფროსებს ეს არ აწუხებდეთ, მაგრამ მათ ესმით ამ სფეროში თავიანთი ზეგავლენისა და ძალაუფლების შეზღუდულობა. მედიცინის წარმატებები კი ამცირებენ ალბათობას არასასურველი „შედეგებისას“. ამის გამო გოგონებსა და ვაჟებს შორის ურთიერთობა უფრო თავისუფალი გახდა, უფრო თავდახსნილი და – უფრო თავაშვებულიც. მეტი თავისუფლება კი მეტ სოციალურ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, ასე რომ, ლაპარაკია პრობლემაზე, რომელიც არა მარტო ინდივიდუალურ–ზნეობრივია, არამედ – სოციალურიცაა.

ამიტომაც შეისწავლიან მას სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

რა უნდა ვქნათ? დავხუჭოთ ყველაფერზე თვალები, ვიცხოვროთ ჩაურევლობისა და „სულ ერთიას“ პრინციპით? არადა, როგორი საქმეა – ბევრ ქვეყანაში არის სპეციალური სკოლები ფეხმძიმე მოსწავლეთათვის! ავკრძალოთ? მაგრამ რა აზრი აქვს ისეთი ბარიერების აღმართვას, რომელთაც ცხოვრების ტალღა მაინც წალეკავს? ცნობილი სიმღერისა არ იყოს – „მე კი ჩემი დედიკო კოცნის ნებას არ მაძლევს!“ – მერედა, უჯერებს კი ვინმე ამ დედიკოს? მით უმეტეს, რომ აკრძალული ხილი გემრიელია.

ერთი სიტყვით, აქ ადამიანს თავგზა დაებნევა; როგორც იტყვიან, „რა ქნას პეპელამ?“ – არც ნებაზე მიშვება შეიძლება და აკრძალვაც უაზრობაა. რომ არც ლანძღვა–თათხვა შველის საქმეს?! რა უნდა ვქნათ? ვასწავლოთ!

რაო, რაო, რა უნდა ვასწავლოთ – ეეს? – დიახ, ეს უნდა ვასწავლოთ, რამდენადაც სქესობრივი აღზრდა უპირისპირდება სქესობრივ უმეცრებას. მთელი ჩვენი ცხოვრება – რაღა თქმა უნდა, ოჯახურიც – სოციალურ–ბიოლოგიური პროცესია.

ყველაფერს განაპირობებს ჩვენი მორალი და, რაც უფრო ორგანიზებულია პიროვნება, მით უფრო წარმატებით შეუძლია მას მართოს თავისი გრძნობები, საქციელი.

რა თქმა უნდა, არის ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ხმამაღლა ლაპარაკი არ არის მიზან-

შეწონილი. მოზარდს იმის მიხედვით გამოუმუშავდება ამ საკითხზე წარმოდგენა, თუ სად, როგორ, რანაირი ინტონაციით მოვუთხრობთ მისთვის ამ ყვალაზე იდუმალსა და ბურუსით მოცულ მოვლენაზე. უტაქტო საუბარს მართლაც შეუძლია მოზარდში ცინიკური დამოკიდებულება აღძრას, მაგრამ ჩვენ ხომ ტაქტიანი საუბრის მომხრენი ვართ! ამიტომაც გახლავთ სწავლა აუცილებელი – უნდა გავუღვივოთ მოზარდს მოვალეობის გრძნობა, ჩავუნერგოთ პიროვნებათა შორის დამოკიდებულების მაღალი კულტურა, ვასწავლოთ მანამ, სანამ გოგონა ან ვაჟი დეზინფორმაციის მსხვერპლნი არ გამხდარან – სად ვასწავლოთ? პირველ ყოვლისა, შინ, მშობლიურ ჭერქვეშ. თავად გარემო, ის ზნეობრივი ატმოსფერო, რომელიც ოჯახში სუფევს, არის ჩვენი შვილების უპირველესი აღმზრდელი. მამა ყვავილს უძღვნის დედას – თითქოს არაფერია, მაგრამ ამ მაგალითზე ბიჭს პატივისცემის გრძნობა უღვივდება თავისი მომავალი მეუღლისადმი. ბარე უნდა, განა არ სურს ზოგიერთ მშობელს შვილისათვის სამაგალითოდ იქცეოდეს, მაგრამ... ზოგი მამა სვამს, ზოგიც ოჯახიდან სულაც ფეხამოკვეთილია, ისეც ხდება, რომ ოჯახში ეჭვიანობის მძაფრი სცენები იმართება... სხვებს საკუთარი მაგალითით აღზრდა შეუძლიათ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. „არა, ჩემო კარგო, – შიშით ხელებს ასავსავებდა ბარონესა, – არ შემიძლია, არ ვიცი, ამაზე საუბარი როგორ დავიწყო“... ეს მოპასანის „ცხოვრებიდანაა“.

ახლაც კი, ოცდამეერთე საუკუნეში ბევრი მშობელი ამ საკითხში თავს ასევე უმწეოდ გრძნობს; წინასწარ აკვიატებულსა და არასწორ მოსაზრებებს ხომ – ნუღარ იკითხავთ! მეცნიერებმა დაახარისხეს კიდეც მოსაზრებანი: ნეგატიური, როცა დედები ცდილობენ შთაუნერგონ ქალიშვილებს, რომ მამაკაცები ყველა ერთი მეორეზე უარესები არიან; ასკეტური – როცა ცდილობენ ბავშვები არ გააკარონ საპირისპირო სქესის თანატოლებს; მომხმარებლური – როცა ქალიშვილს გეშავენ, რათა სარფიანი ქმარი იშოვოს; მესაკუთრული – როცა მშობელი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ მუდამ ხელმძღვანელობდეს ქალიშვილის ქცევას; გულგრილი – „მივუშვათ და ცხოვრება თვითონ ასწავლის შავისა და თეთრის გარჩევას"; პანიკური – როცა ტყვიასავით უფრთხიან ბავშვის ყოველ „საჩოთირო" შეკითხვას. არა და, ასეთ შეკითხვებს მაინც ვერ გაექცევი და უთავბოლო პასუხი – „გაიზრდები და გაიგებ" – ვერაფერიშვილი მალამოა ჩვენი სატკივრისათვის. საქმეც ის გახლავთ, რომ შვილი უკვე წამოგვზრდია, ინფორმაციულ „წყურვილს" განიცდის და ეს წყურვილი რაც შეიძლება მეტი და მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან მიახლოებული ცოდნით უნდა მოვუკლათ.

ზოგი მშობელი არხეინად არის – ჯერ ადრეა ამ თემაზე საუბარიო. მერე კი დაფაცურდებიან, მაგრამ რად გინდა – დაუგვიანიათ! თავის დროზე შვილებს არაფერი უთხრეს – ჯერ ვერ გაგვიგებენო – და როცა უთხრეს შვილებმა მათი მართლაც არ

შეისმინეს, იმიტომ რომ უკვე გაუგიათ ეს, სხვათაგან გაუგიათ. საგანგაშო კი ის გახლავთ, რომ ამგვარ დელიკატურ, ფაქიზ საქმეში მათი პირველი დამმოძღვრავი მათივე თანატოლები არიან. ასობით ახალგაზრდა შეამოწმეს გერმანელმა სოციოლოგებმა, ეკითხებოდნენ „გეხმარებოდნენ თუ არა უფროსები, რათა გარკვეულიყავით სქესობრივ ურთიერთობათა საკითხებში და გაგეცნობიერებინათ იგი?“ გამოკითხულ ვაჟთა ოთხმოცმა ქალიშვილთა კი – სამოცმა პროცენტმა უპასუხა: „არა“

ახალგაზრდები ძირითადად მეგობრებისაგან იღებენ სექსუალურ ცხოვრებაზე ინფორმაციას, თანაც ეს ცნობები ხშირად მცდარია და ცალმხრივი.

– თანამედროვე ცხოვრება წარსულს სოციალურად მართებულად უნდა შევუდაროთ. ჩვენი წინაპრები, მაგალითად: ადვილად გადიოდნენ იოლად ელექტროენერგიის ავიაციისა და ტელევიზიის გარეშე, ჩვენ კი უამათოდ ცხოვრება არც წარმოგვიდგენია. სულ სხვა წარმოებაა, სხვა მანძილები... და სხვა გახლავთ მოთხოვნილება. საერთოდაც, ჩვენი ახალგაზრდობის დროს თუ რამეს არ გვასწავლიდნენ – განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამის ცოდნა საჭირო არ იყო?

ერთი შეხედვით, თითქოსდა პარადოქსია. გლეხის ბავშვებს წინათ არც კი სმენოდათ, რა ხილი იყო მეცნიერული სქესობრივი განათლება. ქორწინება კი მართლაც საკმაოდ მყარი გახლდათ.

მაგრამ იმ დროს უფროსების ცხოვრება ბავშვების თვალწინ მიმდინარეობდა – აი, საიდან „ხაპავდნენ“ ისინი ცოდნას. ამის გარდა, ძველად ყველა ერს თავისი ზნე–ჩვეულებანი ჰქონდა. ეს ადათ–წესები სქესობრივი აღზრდის ფუნქციასაც ასრულებდა. დღეისათვის ის ძველი ხალხური პედაგოგიკა მივიწყებულია, შემცვლელი კი სადღაა?

ინგლისში XIX საუკუნის დასაწყისში, მიუღებელი იყო სუფრაზე მოგეთხოვა ქათმის ბარკალი – თურმე, ნუ იტყვით, სიტყვა „ბარკალი“ უხერხულ ასოციაციას აღძრავდა. გერმანელი მწერალი განს ფალადა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში – „ჩვენთან შინ, შორეულ წარსულში“ – იგონებს: – ერთხელ თეთრმეტი წლისა სტუმრად ვეწვიეთ მოხუც დეიდას. სკამზე ვერ ვისვენებდი, ვცქმუტავდი და დედამ მითხრა – ფეხები დააყენე, ნუ აქანავებო. ამის გაგონებაზე დეიდას კინაღამ გულზე შემოეყარა: „„ნამდვილმა ქალბატონმა არც უნდა ახსენოს ეს – და მან თვალებით ჩემს ფეხებზე მიუთითა... – თუ მაინცდამაინც აუცილებელია, „კვარცხლბეკად“ მოიხსენიოს, ანდა – „საყრდენად“. განს, მოასვენე შენი კვარცხლბეკი, აი, ასე უფრო ზრდილობიანად ჟღერს“...

რა თქმა უნდა ინტიმური ცხოვრება მოითხოვს ტაქტიან დამოკიდებულებას, – აქ ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს ეთიკური კრიტერიუმიც, იგი ორგანულად უკავშირდება ახალგაზრდობის მომზადებას ქორწინებისა და საოჯახო ცხოვრებისათვის, უკავშირდება ახალი ტიპის პიროვნების

ჩამოყალიბებას, პიროვნებისა, რომლისთვისაც უცხო იქნება პრინციპი – „მე ყველაფრის უფლება მაქვს“. უფლება არ არსებობს მოვალეობის გარეშე. ამასაც უნდა სწავლება. ოღონდ – როდის, სად და როგორ?

„ვიბადებით სუსტები, გვესაჭიროება ძალა; ვიბადებით ბრიყვებად, გვესაჭიროება გონი. ყველაფერი, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია დაბადებიდან და რაც გვესაჭიროება, აღზრდით გვეძლევა“. შეუძლებელია არ დაეთანხმო ჟან ჟაკ რუსოს ამ ბრძნულ სიტყვებს. მაგრამ... კაცმა შეიძლება სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, სქესობრივი აღზრდის და განათლების ელემენტარული კურსის გავლა კი ვერსად მოახერხო. ჰოდა, რად გვიკვირს, რომ მშობლებმა არ იციან ამ მეცნიერების ყველა საიდუმლო. სკოლა კი მოვალეა იცოდეს. მაგრამ... ჯადოსნურ წრეში მოვექეცით – მასწავლებლებსაც ხომ ვიღაცამ უნდა ასწავლოს! მოუმზადებელი მშობლები... მოუმზადებელი მასწავლებლები... ბავშვები – აქსელერატები... ესეც თქვენი მრავალუცნობიანი განტოლება. როგორ უნდა ამოვხსნათ იგი, ან იხსნება კი საერთოდ?

ღვთის მადლით, იხსნება...

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში... სქესობრივი სწავლება დიდი ხანია ტრადიციაა... ასევე – „ქორწინების მომზადების სპეციალური კურსი“ – იკითხება გერმანიაში, უნგრეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხეთში, სლოვანეთში, კუბაში...

„მეუღლეობა“, ე. ი. ცოლ–ქმრული უღელი, არასოდეს ყოფილა ადვილად სატარებელი. ყოველთვის და ყველგან – ასე თუ ისე – ზრუნავდნენ ოჯახის სიმყარისათვის, ემზადებოდნენ ოჯახური ცხოვრებისათვის. ეს გასაგები გახლავთ ალბათ, არსად ისე მწარედ არ ისჯება ადამიანი, როგორც ცხოვრების ამ სფეროში მოუმზადებელი შესვლისათვის: დაკარგული ჯანმრთელობა, დამსხვრეული იმედები, უმამო ბავშვები...

ახალგაზრდათა მომზადება საოჯახო ცხოვრებისათვის ჩვენში საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანაა. წარმატებით რომ გატარდეს სახელმწიფოებრივი დემოგრაფიული პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, ოჯახში უნდა გავამყაროთ, ოჯახს უნდა აღმოვუჩინოთ ყოველმხრივი დახმარება.

მ. პრიშვინი წერდა: „სიყვარული უცნობი ქვეყანაა, რომლისკენაც თითოეული ჩვენგანი საკუთარი ხომალდით მიცურავს, საჭე თვითონ უპყრია ხელთ და თავისივე გზით მიჰყავს იგი ამ აღთქმული ქვეყნისაკენ“. მაგრამ ამ გზაზე ბევრია წყალქვეშა კლდეებიც და განა სარისკო არ იქნება ამ შორეულსა და ხანგრძლივ ნაოსნობაში ბედნიერი შემთხვევის იმედად ყოფნა? ამიტომაც უნდა მივცეთ ყოველ ახალგაზრდა ნაოსანს ხელთ კომპასი. ეს კომპასი გახლავთ საოჯახო ანაბანა, რომელიც ცოლ–ქმრული ცხოვრების ქარიშხალსაც აგვარიდებს და წყალქვეშა კლდეებსაც.

...ერთმანეთს ჰკოცნიდნენ – თუ გახსოვთ, „დღი-

სით, მზისით". „სულ დაკარგეს სირცხვილ–ნამუსი" – ამასაც იტყვის, ცხადია, ხალხი. სირცხვილი, შიში იმისა, არავინ დამძრახოსო, მართლაც არის ერთი იმ გრძნობათაგანი, რომელზედაც ადამიანის ზნეობა დგას. ჩვენი ეთიკა, ჩვენი კომპასი თვითკონტროლის უფრო რთულ მექანიზმზე გახლავთ ორიენტირებული: მოვალეობაზე, სინდისზე, პასუხისმგებლობის გრძნობაზე. ჭეშმარიტი სიყვარულის დროს კაცი მარტო საკუთარ თავზე არ აგებს პასუხს, არც მხოლოდ საყვარელ ადამიანზე – იგი პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშეც.

ცოტა როდია ორი ათეული წელი, რომელიც ადამიანს შენთვის ძვირფასი საქმიანობის, პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიგიძღვნია. ამ ხნის მანძილზე მრავალ თაობას გაუვლია შენს ხელში, ცელქიც შეგხვედრია და გულდადინჯებულიც, ბეჯითიც და ზარმაციც, „უდიდესი მათემატიკოსიცა" და „თავდავიწყებული ლირიკოსიც" და ყოველთვის დაგისვამთ საკუთარი სავისთვის ერთი კითხვა – როდის იწყებენ ეს „ბავშვები" დიდ ცხოვრებაზე ფიქრს, რას ეძახიან კარგს, ცუდს, როგორ ესმით ჭეშმარიტება, სიყვარული, სიწმინდე და რაც მთავარია, ვინ არის, რა არის მათთვის პედაგოგი, რომელიც თავისი არსით სიწმინდის, პატიოსნების, პირუთვნელობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის სინონიმს უნდა წარმოადგენდეს.

ამაზე დამაფიქრა ერთმა ხელმოუწერელმა წე-

რილმა, რომლის ავტორი, როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, მოსწავლე უნდა იყოს. იგი გვეკითხება: „გიფიქრიათ თუ არა ოდესმე იმაზე, როგორ ცხოვრობენ ახალგაზრდები სინამდვილეში, რით სულდგმულობენ, როგორი აზრი აქვთ, რა მისწრაფებები?“

საკითხი, როგორც დავინახეთ, გლობალურად დგას და ერთი კონკრეტული მაგალითით მასზე პასუხის გაცემა, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

არ დავფარავ, თანამედროვე პედაგოგიურ პრაქტიკას, სკოლას აქვს თავისი სიძნელეები, მოზღვავებული ინფორმაციის ეპოქაში ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოები უფრო სქელტანიანნი გახდნენ, გაიზარდა სასკოლო მუშაობის დრო, მთელი სიმწვავით დადგა თავისუფალი დროის პრობლემა, რომელიც კომპიუტერის ინტერესმა და მობილური ტელეფონების „მესიჯომანიამ“ შეავსო...

დიახ, ჩვენს თაობას ესმის რაზე ფიქრობენ ახალგაზრდები სინამდვილეში, რომ მათ აღარ აღელვებთ სოკოებივით მომრავლებული თვითმოქმედი საესტრადო ანსამბლები უგემოვნო რეპერტუარით, რომ მისმა თანაკლასელმა დაუმსახურებლად წაიღო კარგი ატესტატი სკოლიდან, რომ მაღაზიაში სქელკისერა, უფრო მეტიც, სქელჯიბა გამყიდველი გატყუებს წონაში, ფასში და ხმას თუ ამოიღებ „ინტრიგანს“ დაგიძახებს, რომ პედაგოგთა გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა დისტანციის გრძნობა, რომ არაფერი ვთქვათ ობიექტურობაზე, რომ ანგარება ვირუსივით მოგვედო

და ჯერ კიდევ ვერ განვკურნებულვართ და რომ დღეს ყველას საფიქრალი არის – გადავარჩინოთ პედაგოგის სახელი, დავუბრუნოთ მას ძველი ავტორიტეტი.

ძველი თაობის ადამიანებს ნიკო კეცხოველი მიაჩნდათ აღმზრდელის ეტალონად, რომელიც საკუთარ ფულს აძლევდა ნაფრონტალ სტუდენტებს და ერთს ეუბნებოდა მხოლოდ, მე რა შუაში ვარ, სახელმწიფო ზრუნავს თქვენზეო.

ეს ზნეობის, კაცურ–კაცობის, მოძღვარის დიდებული მაგალითია, დიახ ჩვენი ახალი თაობა, თანადგომას, წარსულის ფესვების სიღრმისეულ ცოდნას, აუცილებლად საჭიროებს... ამიტომაც არ მაქვს სურვილი, მათ დავუმალო ისტორია, რამეთუ ქართველი ერის საგმირო საქმეებთან ერთად საჭიროა საფუძვლიანად იცოდნენ, გასული საუკუნის სამამულო ომი, მსოფლიოს უბოროტეს მტერზე, ფაშიზმზე გამარჯვების სიამაყე... 1418 დღე–ღამის განმავლობაში. საბჭოთა საქართველოდან, გერმანიის წინააღმდეგ ნახევარი მილიონი მეომარი იბრძოდა, მათგან სამასიათასამდე პირტიტველა ჭაბუკი სამუდამოდ დარჩა ღიმილის ბიჭად... ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული რესპუბლიკებს შორის, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია...

ჩემს ბავშვობაში, ყველა ქალაქში თუ დაბაში, სოფელში თუ ორლობეში, ნებისმიერ დროს შეხვდებოდით ძაძებგაუხდელ მანდილოსნებს, რომლებმაც ომის სიმწარე საკუთარ ოჯახზე, საკუ-

თარ თავზე იწვნიეს... ბევრი მათგანი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ომში წასული ბიჭების მოლოდინში იყო, მოლოდინი და იმედი კი... ფრონტელი წერილების, ჰო, სამკუთხა ბარათების დამსახურება გახლდათ:

წერილი!

იმდენი წერილი ალბათ კაცობრიობის ისტორიის, კაცობრიობის არსებობის მანძილზე არ დაწერილა, რამდენიც ომის დროს...

კონვერტი არ იყო საჭირო, არც ძვირფასი ქაღალდი, წერილი იწერებოდა ქაღალდზე, ფანერაზე, ქვაზე, კედელზე, სვეტებზე... გასაგზავნი თუ გაუგზავნელი, შინაურისთვის თუ მომავალი თაობებისათვის... ქაღალდი კი სამკუთხად მოიკეცებოდა და მიჰქროდა შორს, ფრონტიდან – შინისაკენ, შინიდან – ფრონტისაკენ...

შინ უფრო მეტს წერდნენ, წერდნენ გამამხნევებელ სტრიქონებს, იმედით, სიყვარულით, ალრესით გამთბარ სტრიქონებს... წერილს დიდი, განუზომელი ფასი დაედო! იგი შვებად იქცა, მოწოდებად იქცა, წერილი მტრის რისხვად აინთო...

მიჰქროდნენ და მიჰქროდნენ სამკუთხა ბარათები, ადამიანები ერთმანეთს გულს უკეთებდნენ, ერთურთს გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ...

იმ დაუვიწყარი, ქარცეცხლიანი დღეების უკვდავსაყოფად, უპრიანი იქნებოდა ომისდროინდელი ფოსტალიონისა და სამკუთხა ბარათებისათვის სიმბოლური ძეგლის დადგმა...

ეს იდეა მოსვენებას არ მაძლევდა და სწორედ

ამიტომ გადავწყვიტეთ სამამულო ომის გმირს, ფოსტალიონს დავუდგათ ძეგლი ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის შემოგარენში. რამოდენიმე ესკიზის ნახვის შემდეგ, ყურადღება შევაჩერე ომისდროინდელ იმ ფოსტალიონზე, რომელიც სამკუთხა ბარათებით გარშემორტყმული სიხარულსაც უხვად არიგებდა და ცრემლებსაც. ჰო, ამ მონუმენტის შექმნის შემდეგ, გულგრილად ვერავინ ჩაუვლის...

ისევე, როგორც მთელი აკადემიურ ქალაქს, რომელიც არა მარტო რუსთაველებისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის უდიდესი შენაძენია! თვითონ განსაჯეთ, აქ საბავშვო ბაგა–ბაღიდან დაწყებული, რომელიც მსოფლიოში პირველად თვითმფრინავში გაიხსნა, დოქტურანტურით დამთავრებული სწავლების ყველა საფეხურია გავლილი, სწორედ აქ ამიხდა ბავშვობის უდიდესი ოცნება ადრე, დღის სინათლეს არნახული საკუთარ გაზეთის ფურცლებზე რომ ვწერდი რუბრიკით: – „მე რომ კერძო სკოლა მქონდეს!“

ახლა კი... ახლა რუსთავის აკადემიურ ქალაქში ყოველდღიურად იკრიბებიან მოსწავლეები, სტუდენტები, მათი მშობლები, ლექტორ–მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი და უბრალოდ, ლამაზი ადამიანები... ტერიტორიას განსაკუთრებულ ლაზათს ჰმატებს, ბავშვთა დამცველისა და ქომაგის, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, სასწავლო კორპუსებს შორის რომ დგას სულიერების უდიდეს განძად!

ქართველი კლასიკოსების ძეგლებს საოცარი ხიბლით შეერწყმის ტარას შევჩენკოს მონუმენტი, ქართველი და უკრაინული ერების მეგობრობის სიმბოლო...

ზოგადპედაგოგიურ და კერძომეთოდიკურ საკვანძო პრობლემად, რომლის წარმატებით გადაჭრას მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა და მოწესრიგება უკავშირდება, იყო და კვლავაც რჩება ინტერესთა სფერო. ადამიანურ ემოციათა გარეშე თითქმის შეუძლებელია ჭეშმარიტების ძიება.

ჩვენ, პედაგოგები მოვალენი ვართ განვუვითაროთ მოსწავლეებს დაილექტიკური აზროვნება, ჩამოვუყალიბოთ მათ მაღალი ზნეობრივი თვისებები – სამშობლოს სიყვარული, შრომის სიყვარული. წიგნის სიყვარული, ზრუნვა ადამიანზე, საზოგადოებაზე...

რა დასამალია და ბევრი მოსწავლის ცხოვრებაში სწავლას სათანადო, კუთვნილი ადგილი არ ეთმობა, ამის უმთავრეს მიზეზად მიგვაჩნია მოსწავლის ადგილი სკოლაში, კლასში, გაკვეთილზე, მოსწავლე, უმეტესწილად ღებულობს მზამზარეულ ცოდნას მასწავლებლისაგან, სახელმძღვანელოდან, სწავლობს, იმეორებს სხვის მიერ დაგროვილ, აღმოჩენილ, დადგენილ, ჩამოყალიბებულ აზრებს, დებულებებს... ასეთი ცოდნა კი არ გამოდგება სულიერი სამყაროს საიმედო საყრდენად.

ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური პრაქტიკის მანძილზე, მოსწავლეებისათვის ხშირად მიკით-

ხავს, ყოფილან თუ არა გაკვეთილის „თანაავტორები“, ე. ი. მიუღიათ თუ არა აქტიური მონაწილეობა შემდეგ გაკვეთილზე სასაუბრო თემის რომელმე საკითხის შერჩევაში, გამოუთქვამთ თუ არა საკუთარი სურვილი, მოსაზრება. პასუხი ყოველთვის უარყოფითი მიმიღია.

სიმართლე რომ ითქვას, უკანასკნელ წლებამდე ამ საკითხს არც ეთმობოდა დიდი ყურადღება. ამ მხრივ ახალი სიტყვა თქვა, ახალი ამოცანები დაგვისახა სასკოლო რეფორმის ძირითადმა მიმართულებამ.

რა სჯობს, როდესაც მასწავლებელი ოსტატურად, გატაცებით, საკითხის ღრმა ცოდნით, არასაპროგრამო, დამატებითი მასალების გამოყენებით უხსნის მოსწავლეებს გაკვეთილს. მასწავლებლის სიტყვას, ხშირად, ოქროს წონა და ფასი ედება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სიტყვას ხომ უნდა დახვდეს ნოყიერი ნიადაგი, რა მდგომარეობაშია ამ დროს მოსწავლე? სამწუხაროდ, იგი ჩრდილში რჩება, მხოლოდ მსმენელია, შეიძლება დაინტერესებული, ყურადღებიანი, მაგრამ მაინც მხოლოდ მსმენელი. ამ დროს მასწავლებელი ცალკე რჩება, მოსწავლე ცალკე. მათ შორის რაღაც უხილავი ზღუდეა აღმართული, არ მყარდება უკუკავშირი.

რატომ არიან მოსწავლეები მხოლოდ პასიური მსმენელები?

რატომ არ შეუძლიათ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა?

რატომ არიდებენ თავს შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებას?

ამ კითხვებით, პირველ რიგში, ჩემს თავს მივმართავდი, არ ვიცოდი რა მეპასუხა, სიზმარმაცე? უცოდინრობა? ცოდნის მცირე მარაგი? მორცხვობა? მორიდება? შიში? მაგრამ რისი?

მასწავლებლის მოსმენა თუ სახელმძღვანელოს კითხვა და დამოუკიდებელი აზროვნება, ამოცანის დამოუკიდებელი ამოხსნა თუ თავისუფალ თემაზე წერა და საუბარი ერთი და იგივე არ არის. რაც უფრო იოლია პირველი, მით უფრო ძნელია მეორე. ერთს თუ მხოლოდ ყური სჭირდება, მეორეს აზრი და მისი განუწყვეტელი ვარჯიში, მაშასადამე, შრომა.

გაკვეთილებზე ფსიქოლოგიურად მოხერხებულ პირობებში მასწავლებლის მოსმენა და მოსმენილით დაკმაყოფილება. სულიერი კულტურის ათვისებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას წარმოშობს.

დღეს, როცა სასკოლო რეფორმა მოგვიწოდებს დავამკვიდროთ განმავითარებელი სწავლება, უპირველეს მნიშვნელობას იძენს ის, რომ გაკვეთილზე თანამშრომლებად, თანამეგობრებად, თანამებრძოლებად ვაქციოთ მოსწავლეები. ისინი, ვინც ადრე შემეცნებით მუქთახორობას ეწეოდა, ვისაც არ „შეეძლო“ დამოუკიდებელი გონებრივი შრომა და მშვიდად იკვებებოდა მასწავლებლისა და სახელმძღვანელოს ავტორთა შრომის ნაყოფით. „სულიერი მომხმარებლები“ უნდა ჩავაბათ შემოქმედებით მეცადინეობაში. აი აქ ვლინდება პედაგოგიური მოღვაწეობის ფართო შესაძლებლობები.

როგორ ვასწავლო ბავშვებს შემოქმედებითი მეცადინეობა? ჯერ კიდევ ძველი ფილოსოფოსები თავიანთ მოწაფეებთან სწავლებისა და ჭეშმარიტების ერთობლივი დადგენის მიზნით, საუბრის, დიალოგის მეთოდს მიმართავდნენ. ცოცხალ, უშუალო საუბარში შეიძლება საკითხის დიალექტიკური განხილვა. კითხვა–პასუხის დროს ჩნდება პრობლემური სიტუაციები, წინააღმდეგობანი, დაპირისპირებანი, რომელთაც ფართო ანალიზის გზით პასუხობენ.

თავდაპირველად საკუთარ საქმიანობას დავუკვირდი და მივაგენი ჩემი და ზოგიერთი ჩემი კოლეგის საერთო „სენს“ – მოსწავლეთა ინერტულობა, უპირველესად, ჩვენი, პედაგოგების ბრალია. ჩვენ ვერ ვახერხებთ მათ დაინტერესებას. ჩაბმას სწავლების პროცესში. მოსწავლეებში დაგროვილია დიდი შემოქმედებითი პოტენციალი. საჭიროა მისი ამოქმედება. სწავლების პროცესის ისე წარმართვა, რომ მასწავლებელი ასწავლიდეს მოსწავლეებს, მოსწავლეები – ერთმანეთს და... მასწავლებელს.

ჩემი აზრით, თანამედროვეა ის მასწავლებელი, რომელიც ცდილობს და ახერხებს კიდეც მოსწავლეები გაკვეთილის თანამონაწილეებად, თავის თანამოაზრეებად, თანამებრძოლებად აქციოს.

მოსწავლეთა შემოქმედებითი გატაცება. დაინტერესება დამოკიდებულია არა მარტო ინფორმაციის შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად არის ჩაბმული მოსწავლე სასწავლო პროცესის

ორგანიზებაში. სწავლების ეფექტურობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, ეწევიან თუ არა მოსწავლეები ჭეშმარიტად დამოუკიდებელ ძიებას, რადგან არ არსებობს ნამდვილი სწავლა თვითგანათლების გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს თვითგანათლება სწავლის გარეშე.

კარგია, თუ პედაგოგი მოახერხებს, რომ მოსწავლეთა ინტელექტუალურმა ენერგიამ გამოსავალი ჰპოვოს შემეცნებით აქტივობაში, დამოუკიდებელ აზროვნებაში. აქტივობას კი უნდა აპირობებდეს მოთხოვნილება თვითონ, დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემური საკითხები. ვასწავლოთ მოსწავლეებს კითხვის დასმა და მასზე პასუხის მოძებნა, უკიდურეს შემთხვევაში – დაფიქრება, აი, ეს მიმაჩნია მასწავლებლის მოწოდებად განმავითარებელი სწავლების პროცესში.

პედაგოგს, რასაკვირველია, შეუძლია ყველაფერი ბოლომდე უამბოს მოსწავლეებს, ბოლომდე ამოწუროს სათქმელი, მაგრამ მაშინ მოსწავლეს რაღა რჩება? გამოცდილი მასწავლებელი ბევრ კითხვას უპასუხოდ სტოვებს ან ნაწილობრივ პასუხობს, შუაზე წყვეტს საუბარს. აი, სწორედ აქ ვლინდება მასწავლებლის ხელოვნება. საჭიროა ზუსტი დროისა და მომენტის შერჩევა, შერჩევა კი რაღაც მეექვსე გრძნობით განიცდება. მასწავლებელმა საუბარი მაშინ უნდა შეწყვიტოს, როცა ველარ გაძლებენ პასუხის ამოუცნობლად, აზრის შემდგომი განვითარების გარეშე.

რაც უფრო მეტია ნათელი, საინტერესო, დატ-

ვირთული, მაგრამ დაუსრულებელი, დაუბოლოებელი ახსნა, მით უფრო დიდი ასპარეზი რჩება მოსწავლის აზროვნებას, გონებას, მით უფრო იძაბება მისი ფსიქიკური აპარატი. მახსენდება ერთი შეგონება – ისე უნდა წერო, რომ სიტყვები სივიწროვეს განიცდიდნენ, აზრი კი სილაღეს, თავისუფლებასო. აი, ამ შემთხვევაში მყარდება ჭეშმარიტი თანამშრომლობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის.

აქ შეიძლება სრული გასაქანი მიეცეს მოსწავლეთა აზროვნებას, სურვილებს, გატაცებებს, ოცნებებს. აქ შეიძლება ისწავლონ და შეეჩვიონ გაკვეთილის ერთობლივ ორგანიზებას, საუბარს, ისწავლონ შემხვედრი კითხვების დასმა, შემოქმედებითი პასუხის მოძებნა, დასკვნების გაკეთება.

ეს კარგი შემწეა პედაგოგისა, რომელსაც მიზნად დაუსახავს კლასი ერთ მთლიან, მონოლითურ კოლექტივად შეკრას, რომელსაც სურს გადაჭრას სკოლის სადღეისო ამოცანები.

ზოგჯერ ჩვენი საუბრის თემას სულ უბრალო შემთხვევა, ან ფაქტი ასაზრდოებს ხოლმე. მაგალითად, ერთ–ერთ საკლასო ოთახში შესვლისას თვალში მეცა ფანჯრის რაფაზე დაყრილი პურის ნატეხები. შენიშვნისგან თავი შევიკავე. ბავშვებს კი ვთხოვე უფროსებისგან, შინაურებისგან შეეკრიბათ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვება პური, რა შრომა და გარჯაა ჩაქსოვილი თითოეულ ლუკმა პურში. ბავშვები უმალ მიმიხვდნენ და დავალება პირნათლად შემისრულეს. მათ ხორ-

ბლის ქართული ჯიშებიც კი ჩამომითვალეს, რამდენიმეს ანდაზები შეეკრიბა... რაც მთავარია, მას შემდეგ აღარასოდეს მინახავს ფანჯარაზე უპატრონოდ დაყრილი პურის ნაჭრები...(ვერავითარი დარიგება, რჩევა, მენტორული ტონით წაკითხული ლექცია ვერ შეედრება იმ უშუალო, ორმხრივ საუბარს, რომელიც შეიძლება გაიმართოს მასწავლებელსა და კლასს შორის, თვითონ მოსწავლეებს შორის. სწორედ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ მოსწავლის განთავისუფლებას გაკვეთილისთვის ჩვეული ერთგვარი შებოჭილობისგან, მივაჩვიოთ დამოუკიდებელ აზროვნებას. აი, სწორედ ეს არის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი აღმზრდელობითი სწავლებისა.

მახსენდება ერთი ჩემი მასწავლებლის რჩევა: „სადაც არ უნდა ცხოვრობდე, საითაც არ უნდა წაგიყვანოს ბედმა, მდინარეს რომ დაინახავ დაფიქრდი, გაიკითხე და არ მოისვენო, სანამ არ გაიგებ სად იღებს სათავეს, სად მიედინება და რას უერთდება, თუნდაც სულ პატარა, უმნიშვნელო იყოს ეს მდინარე და რუკაზეც არ იყოს აღნიშნული.

მინდა, რომ ჩემი მოსწავლეებიც, ჩემი სტუდენტებიც ასე ინტერესდებოდნენ ყველაფრით, რაც მათ ირგვლივ არის და ხდება, მინდა ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ, ქმნიდნენ და განიცდიდნენ შემოქმედებითი შრომის ბედნიერებას, რომელიც ადამიანის აქტივობის წყაროზეა დამყარებული, დიახ ადამიანი აქტიური, მოქმედი არსებაა, რასაც განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი

ფაქტორები. გარეგანად თვლიან ფიზიკურ და სოციალურ ფაქტორებს. უფრო რთული მდგომარეობაა შინაგანის განსაზღვრისას. მასში მოიაზრებენ როგორც გენეტიკურს და ფსიქიკურს, ასევე ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ქიმიურ პროცესებს.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ ადამიანის ქცევაზე განსხვავებულად მოქმედებს სითბო და სიცივე, წითელი თუ ლურჯი ფერი, ხმაური, ჰაერის ტენიანობა და ა. შ. მასზე ზეგავლენას ახდენს ზნეობრივი თუ სამართლებრივი ნორმა, უამრავი მოქმედი კანონი. მნიშვნელოვნად განვიცდით გენეტიკური კოდის ზემოქმედებას. ჰიპოკრატესთვის ეს გამოწვეული იყო ორგანიზმში სხვადასხვა სითხის – სისხლი, ლორწო, ნაღველი – მეტ–ნაკლებობით. ამ საფუძველზე მან ჩამოაყალიბა გენეტიკურად მყარი ტემპერამენტის ოთხი ტიპი: სანგვინიკური, ფლეგმატური, ქოლერიკული და მელანქოლიური. ასევე კარგად ვგრძნობთ, რომ კუნთების დაჭიმულობა თუ სისხლში შაქრის მომატება ჩვენს ქცევაზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს.

რაც შეეხება ფსიქიკას, ხშირად მისი ფუნქცია ისეა გაგებული, თითქოს იგი ასახვს ზემოთ აღნიშნულ პროცესებს და ამის მიხედვით ახორციელებს აქტივობას რა თქმა უნდა, ფსიქიკის ერთ–ერთი ფუნქცია სწორედ არსებული რეალობის ასახვა და შემეცნებაა, რომლის საფუძველზეც ადამიანი სამოქმედო პროგრამას შეიმუშავებს. მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ფსიქიკა სარკისებურად

კი არ ასახავს გარემოში თუ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს, არამედ აქტიურად და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ტენდენციურად. ობიექტურად არსებული ვითარების ასახვის ნაყოფი ყოველთვის სუბიექტური რეალობის სახეს იღებს. იგი შეიძლება ძალზე ახლოსაც იყოს არსებულ რეალობასთან და შესაძლოა იყოს მისგან ფრიად დაშორებული, ილუზორულიც.

მეორე მხრივ, სწორედ თავისი ფსიქიკური წყობის წყალობით, ადამიანი თავისუფალია არჩევანში. მას შეუძლია სიცივეში პალტო კი არ ჩაიცვას, არამედ გაშიშვლდეს, იმუშაოს ან დაიძინოს ხმაურიან გარემოში და ა. შ. „არა კაც ჰკლა“ მოგვიწოდებს ზნეობრივ ნორმა. იგივეზე სიკვდილით გვემუქრება სამართლებრივი კანონი, მაგრამ მკვლელობას მაინც ჩადის ადამიანი. მას შეუძლია გააქტიუროს ან შეაკავოს საკუთარ ორგანიზმში მიმდინარე პროცესები.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ფსიქიკა არა მხოლოდ ასახავს სინამდვილეს და განსაზღვრავს მასთან მიმართებას, არამედ წარმოსახვის, ფანტაზიის საშუალებით ქმნის კიდევაც ახალ რეალობას. ეს ფსიქიკური რეალობაა, მაგრამ მას ობიექტურად არსებულზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

რა წარმოადგენს ადამიანის ქცევის მამოძრავებელ ძალას? პრობლემის გადაწყვეტის მრავალნაირი ცდა ორ ძირითად მიდგომაში გამოიხატა. ეს იყო ურთიერთსაპირისპირო – ბიოლოგისტური

და სოციოლოგისტური – პოზიციები. შემდგომში ჩამოყალიბდა ბიოსოციალური კონცეფცია, რომელიც უკიდურესობათა მორიგებას ცდილობს.

ა) ბიოლოგისტური შეხედულებები. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლებად გვევლინებიან ზ. ფროიდი, გ. თორნდაიკი, უ. მაკ–დუგალი, ე. ფრომი, ა. მასლოუ და სხვები.

ზ. ფროიდის მიხედვით, ადამიანის როგორც სხეულებრივ, ისე საზოგადოებრივ აქტივობას განსაზღვრავს სექსუალური ენერგია. ქცევა პირდაპირაა დაკაშვირებული სქესობრივი ინსტინქტის რეალიზაციასთან ან ჩახშობასთან, ამასთან, გაკეთებულია ძალზე პესიმისტური დასკვნა, თითქოს რაც უფრო მაღალია ცივილიზაციის დონე, მით მეტი ბუნებრივი მოთხოვნილება იქნება ჩახშული და, ამდენად, მეტი იქნება ნევროზების აღმოცნების ხელშემწყობი პირობები.

ნეოფროიდისტი ე. ფრომი კი მიუთითებს სოციალური გარემოს როლზე, მაგრამ მას არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. მისი აზრით, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა არ აყალიბებს ადამიანის ფუნდამენტურ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, არამედ მხოლოდ განსაზღვრავს, თუ რა დონისა და რაოდენობის პოტენციური ლტოლვები უნდა გამოვლინდეს მასში. საზოგადოება მხოლოდ ამჟღავნებს და ფორმას უცვლის იმას, რაც უკვე მოცემული იყო. ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების, როგორც რაიმე პოტენციის, არსებობა სრულიადაც არაა დამოკიდებუ-

ლი იმ კონკრეტულ–ისტორიულ საზოგადოებაზე, რომლის როლიც იმით ამოიწურება, რომ ერთ შემთხვევაში ხელს უწყობს პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციას, მეორეში – არა. სოციალურ–კულტურული გარემოს მოუწყობლობა აქეზებს „ავთვისებიან" ლტოლვებს, მაგრამ ადამიანისთვის მისაღები მატერიალური პირობების შექმნა არ განარიდებს მას აგრესორის შესაძლო აფეთქებისაგან. გამოსავალს აქედან ფრომი ხედავს ადამიანის თვითსრულყოფაში, ცხოვრების სიყვარულით მისი სულის ავსებაში.

უ. მაკ დუგალისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია სოციალური ინსტინქტები (შიში, თვითდამტკიცება და სხვ.) ისინი იმთავითვე ძევს ადამიანის ორგანიზმში და წარმართავს მის მოქმედებას გარკვეული მიზნისაკენ.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ–ერთი ლიდერი ა. მასლოუ მთავარ აქცენტს აკეთებს თვითაქტუალიზაციაზე. იგი გაგებულია როგორც „ზრდა შიგნიდან" გარემო ფაქტორების ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად თვითაქტუალიზაციის უმნიშვნელოვანეს პირობად მიჩნეულია სოციალური გარემოდან გაქცევა. ასეთი ადამიანები იგნორაციას უკეთებენ საზოგადოებრივ აზრს და ცხოვრობენ საკუთარი კანონებით ისინი არ კონცენტრირდებიან ცხოვრების უარყოფით მოვლენებზე, სჯერათ საკუთარი მომავლის და ისახავენ მისი მიღწევის მიზნებს. ყოველი ადამიანი, ავტორის აზრით, პოტენციურად თვითაქტუალიზებადია,

მაგრამ მიაღწევს თუ არა იგი ამას, ძირითადად დამოკიდებულია მის თავისუფალ ნებასა და სიმტკიცეზე.

ამერიკელი ფსიქოლოგი ე. თორნდაიკი პირდაპირ მიუთითებდა ბუნებრივ ძალებზე, თანდაყოლილ მიდრეკილებებზე, რომელთაც აკუთვნებდა აქტიური აზროვნების უნარსაც, მსჯელობისა და ცნობისმოყვარეობის თავისებურებებსაც. იგი ლაპარაკობდა გარემოს, აღზრდის როლზე, მაგრამ ამ ფაქტორებს აშკარად მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა: თანდაყოლილი უნარი, „ბუნებრივი კაპიტალი“ ზღვარს უდებს განვითარებას. ზოგი ვერ ამაღლდება განსაზღვრულ დონეზე მაღლა, თუნდაც ამის მისაღწევად ხარჯავდეს ასობით საათს. ისინი უბრალოდ უძლურნი არიან გადაწყვიტონ გარკვეული სიძნელის ამოცანა.

მსგავს აზრს გამოთქვამს თანამედროვე ინგლისელი გენეტიკოსი შ. აუერბახი. მას მიაჩნია, რომ ბავშვები, რომელთაც მემკვიდრეობით მიიღეს კარგი გონებრივი უნარის გენები, გახდებიან მაღალინტელექტუალური ადამიანები განსაკუთრებული სწავლების გარეშეც, მაშინ როცა ბავშვები, რომელთაც ამ მხრივ ბედმა არ გაუღიმათ, სასარგებლოს ვერაფერს გამოიტანენ საუკეთესო სწავლებიდანაც კი.

ჯ. დიუი თვლიდა, რომ ადამიანური ბუნება არ ექვემდებარება ცვლილებას. იგი იბადება თანდაყოლილი მოთხოვნილებებით და ფსიქიკური თვისებებით, რომლებიც სწრაფად ან შენელებულად

გამოვლინდება სწავლებისა და აღზრდის პროცესში აღზრდა ლიმიტირებულია თანშობილი უნარებით. თავის მხრივ, ავსტრიელი ფსიქოლოგი კ. ბიულერი აღნიშნავდა, რომ არა თუ გონებრივი, არამედ ზნეობრივიგანივითარებაც განსაზღვრულია შთამომავლობით.

ბ) სოციოლოგისტური შეხედულებები. ამ მიმართულების „პიონერთა“ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინგლისელ მეცნიერს ჯ. ლოკს. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანის ცნობიერებაში არ არის „თანდაყოლილი იდეები“ და წარმოდგენები, რომ ბავშვის სული ჰგავს „სუფთა დაფას“ აქედან გამომინარეობს ადამიანის განვითარებაში სწავლებისა და აღზრდის როლის უმაღლესი შეფასება.

აღზრდის წყალობით, ამბობდა ლოკი, ადამიანთა ცხრა მეათედი ხდება იმად, რაც ის არის. კეთილი თუ ბოროტი, სასარგებლო თუ უსარგებლო.

მისმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ფრანგ განმანათლებლებზე, რომლებმაც მთავარი აქცენტი სწავლა–აღზრდაზე გააკეთეს მათი აზრით, განათლება მოსპობს ცრურწმენებს, ხელოვნება, მეცნიერება მიანიჭებს ადამიანებს ახალ ძალას, დაეხმარება მათ ბუნების კანონზომიერებათა შეცნობაში და საზოგადოებრივი წყობის შეცვლაშიც. აქვე მიუთითებდნენ, რომ ყველა ადამიანი განათლებისადმი თანაბრადუნარიანია, რამდენადაც ისინი იბადებიან ერთნაირი სულიერი შესაძლებლობებით.

სოციოლოგისტური პოზიციის განმტკიცების საქმეშით თავისი წვლილი შეიტანა ფსიქოანალიზმაც. თუ ზ. ფროიდი ბიოლოგისტურ პლათფორმაზე იდგა, ა. ადლერმა და ბევრმა ნეოფროიდისტმა დიდი ყურადღება მიაქცია სოციალურ ფაქტორებს. მის მიხედვით, ადამიანს სხეულებრივი დეფექტის გამო უჩნდება „არასრულფასოვნების განცდა“, რომლის დაძლევისა და სხვებს შორის დამკვდრებისათვის იგი ააქტიურებს თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს. მისთვის სწორედ კომპენსაციაა ფსიქიკური აქტივობის მამოძრავებელი ძალა. ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ცდილობს არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევას.

კ. ჰორნის აზრით, ნევროზული მოვლენების წყაროა არა „ოიდიპოსის კომპლექსი“, არამედ შფოთვის განცდისაგან თავის დაღწევის ტენდენცია, რაც ყველაზე ნათლად ვლინდება ადამიანის რეალურ მდგომარეობასა და მის იდეალიზებულ წარმოადგენას შორის არსებულ შეუსატყვისობაში. ამ წინააღმდეგობის გასაგებად უნდა მივმართოთ კონკრეტულ სოციალურ სიტუაციას.

ჰ. სალივენი თვლის, რომ ადამიანის ქცევას, მის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს პიროვნებათა შორის ურთიერთობები. ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ საკუთარ თავზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ფიქრობდნენ ჩვენს შესახებ ჩვენი პიროვნების ფორმირების წლებში. ამგვარად, ადამიანის შინაგანი სამყარო წარმოდგენილია როგორც მისი

სხვებთან ურთიერთობის ისტორიით შექმნილი რამ.

სოციოლოგისტურ პოზიციაზე დგას კლასიკური ბიჰევიორიზმი, რომელმაც ბევრად განსაზღვრა XX საუკუნის ფსიქოლოგიის სახე. მისი მამამთავარი ჯ. უოტსონი ამტკიცებდა, რომ ერთ–ერთი ხელის დომინირება უნდა აიხსნას არა ინსტინქტური განპირობებით, არამედ დაბადებამდე ჩანასახზე რაიმე ზემოქმედებით. მან წამოაყენა საზოგადოების გარდაქმნის გეგმა, რომლის თანახმადაც გარეგანი სტიმულაციების მანიპულირებით შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ტიპის ადამიანის მიღება. ეს გეგმა უარყოფდა ყოველგვარი თანადაყოლილ თვისებას. მომეცით ნორმალური ბავშვების დუჟინი, მათი აღზრდისათვის სპეციფიკური გარემო და მე ვიძლევი გარანტიას, – აცხადებს ჯ. უოტსონი, – რომ ნებისმიერ მათგანს ვაქცევ ექიმად, იურისტად, არტისტად, ვაჭრად ან მათხოვრად და ქურდად, მიუხედავად მისი ტალანტისა, მიდრეკილებისა, უნარებისა, აგრეთვე მათი წინაპრებისა.

ჯ. მიდის „როლების თეორიის“ ან „სოციალური ბიჰევიორიზმის“ მიხედვით, ადამიანის ქცევა აიგება იმ როლებისაგან, რასაც ისინი იღებენ და გაითამაშებენ ჯგუფური მოქმედებებისას სხვებთან ურთიერთობის პროცესში. ამ მიდგომის თავისებურება ისაა, რომ ისწრაფვის სოციალური პროცესიდან განდევნოს ინდივიდუალური ცნობიერება, თვითშემეცნება.

გ) ბიოსოციალური მიმართულება. იგი შედარებით გვიან აღმოცენდა. მისთვის ადამიანის აქტივობის წყარო ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთობის შედეგია, რასაც ევოლუციური საფუძველი აქვს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანი უკვე დაბადებიდან ატარებს თავის თავში ბიოსოციალური ევოლუციის შედეგს. მას არა აქვს არაფერი სოციალური, მაგრამ თავისი ბიოლოგიური თავისებურებებით მომზადებულია უდიდესი სოციალური პროგრამის აღქმისა და შემდგომი განვითარებისათვის.

პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება განვითარების სენზიტიურ პერიოდიზაციას. ნათლად ჩანს, რომ მოზარდის მრავალი ფუნქცია განსაზღვრული ასაკის შემდეგ უკვე ძნელად ვითარდება. მაგალითად, ცხოველებთან ან სრული იზოლაციის პირობებში გაზრდილი ბავშვები 5 წლის შემდეგ ვეღარ ეუფლებიან მეტყველებას, ასევე, თუ ბავშვი დაიბადა დაბინდული რქოვანათი და არ იქნა ოპერირებული მომწიფების ასაკამდე, შემდგომ ოპერაციის გაკეთებისას თუმცა აღსდგება თვალის გამჭვირვალობა, მაგრამ აღარ მიიღწევა მხედველობის სრულყოფილება. აღნიშნული ფენომენები განსაზღვრულია განვითარების სენზიტური პერიოდებით, რაც განსხვავებული ფუნქციებისათვის დგება სხვადასხვა დროს და ატარებს არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერ ხასიათს. მაგალითად, ზეპირი მეტყველებისათვის ასეთია 1–5 წლის ასაკი, მრავალი მოძრაობითი ჩვევის შე-

ძენისათვის – უმცროსი სასკოლო ასაკი და ა. შ. ამას განაპირობებს მომწიფება, რაც არ მიმდინარეობს მკაცრ ბიოლოგიურ რიტმში, გარემომცველი პირობებისაგან დამოუკიდებლად მომწიფება მნიშვნელოვნად სტიმულირდება სოციალური ფაქტორებით.

პრობლემის გადაჭრას დ. უზნაძე ახერხებს ფუნქციური ტენდენციის და თამაშის არსის გაგებით. მის მიხედვით, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობას მოძრაობა, აქტივობა შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას რაიმე ძალა, რაღაც ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რომელიც მის ამოქმედებას გამოიწვევს. ცოცხალი ორგანიზმის ეს თავისებურება ფუნქციური ტენდენციის სახით იჩენს თავს.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ცოცხალი ორგანიზმის ძალები მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა დარღვეული წონასწორობის აღდგენაა საჭირო. ისინი თავისთავადაც იწყებენ მოქმედებას, მარტო იმ ფაქტის გამო, რომ არსებობენ როგორც შინაგანი, რომელთაც გამოვლენა ესაჭიროება.

ბავშვის თამაშს ფუნქციების ამოქმედების მოთხოვნილება განსაზღვრავს. მისი დახშობა უსიამოვნოდ განიცდება, მოქმედება კი სიამოვნებას იწვევს. ბავშვის თამაში მხოლოდ შინაგანი ტენდენციებით არაა განპირობებული. თამაშის შინაარსის განსაზღვრაში უეჭველად დიდი როლი ენიჭება გარემოს თითოეული შინაგანი შესაძ-

ლებლობის აქტუალიზაცია. გარემოს. შესატყვის პირობებს გულისხმობს. ყველა იმ შინაგან შესაძლებლობათაგან, რომელიც ბავშვის ორგანიზმს მოეპოვება, ფუნქციურ ტენდენციას ყველაზე მკაფიოდ ის იჩენს, რომელიც გარემოში აუცილებელ შესატყვის პირობებს ხვდება. აქედან ცხადია, რომ ბავშვი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად როდი თამაშობს; მისი თამაშის სახეები და ფორმები გარემოს მიხედვით იცვლება. სოფლელი ბავშვის თამაშის შინაარსი ერთია და ქალაქელისა – მეორე, ზღვის პირას მცხოვრებისა სხვაა და მთიელისა სხვა.

ვითარება რეალურად ასეა წარმოდგენილი: გარკვეულ ასაკში ბავშვს იმდენად უმწიფდება სხვადასხვა ფუნქციათა სისტემის შინაგანი შესაძლებლობანი, რომ იგი ფუნქციურ სწრაფვას გრძნობს. ამ შემთხვევაში საკმარისია გარემოში ამ ფუნქციის შესატყვისი პირობები შეხვდეს, რომ ფუნქციურმა ტენდენციამ იმწამსვე მკვეთრად იჩინოს თავი.

ამგვარად, როგორც ნებისმიერი ქცევის ახსნისას, ისე, ბავშვის თამაშის გარკვევის დროსაც დ. უზნაძე გამოდის შინაგანისა და გარეგანის ერთიანობის პრინციპიდან. ეს ვითარება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მის განწყობის თეორიაში, რომელიც ძალზე მნიშვნელოვნად და პერსპექტიულად გვესახება ადამიანის მოქმედების მამოძრავებელი ძალების გარკვევის საქმეში.

განწყობა – ეს არის აქტიური ფსიქიკური მდგო-

მარეობა, მზაობა რომელიც აღმოცენდება გარკვეულ მომენტში და არსებით გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე. იგი წარმოადგენს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების არაცნობიერ შეკავშირებას, რაც განსაზღვრავს მიზანშეწონილ აქტივობას. შინაგანი ფაქტორები გაერთიანებულია მოთხოვნილების, ხოლო გარეგანი – მისი დაკმაყოფილების სიტუაციის კატეგორიაში.

არცერთი ქცევა არ იწყება ცარიელ ადგილზე, მას ყოველთვის წინ უსწრებს განწყობა. ქცევა წარმოადგენს განწყობის რეალიზაციას. განწყობისეულია აღქმაც, აზროვნებაც, დახსომებაც, შეფასებაც და გადაწყვეტილების მიღებაც. იგი განაპირობებს მოქმედების შესრულებისათვის საჭირო ფსიქიკური თუ ფიზიკური პროცესების აღმოცენებას და ქცევის ხასიათსაც.

განწყობა განიხილება იერარქიული დონეების მიხედვით. შ. ნადირაშვილი გამოყოფს პრაქტიკულ, თეორიულ და სოციალურ განწყობებს, რომლებიც ფორმირდება განსხვავებული შინაგანი და გარეგანი ფაქტორების მონაწილეობით.

პრაქტიკულ–იმპულსური ქცევის განწყობა აღმოცენდება ვიტალური მოთხოვნილებების, გრძნობადი სინამდვილის მონაცემების და ფიზიკური სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე. თეორიული ქცევის განწყობა იქმნება შემეცნების მოთხოვნილებისა და პრობლემური სიტუაციის მიმართების საფუძველზე სოციალური ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირება გუ-

ლისხმობს სოციალური მოთხოვნილების, საზოგადოებრივად მისაღები მოქმედების არჩევისა და წარმოსახული სიტუაციის ერთიანობას.

ადამიანის მიერ განხორციელებული ფსიქიკური აქტივობის მთიანი ნაკადი ფორმირდება ქცევის სხვადასხვა ცოდნის სახით. მაგრამ რა დონეზეც არ უნდა განხორციელდეს ეს პროცესი, იგი ყოველთვის ორგანიზებული იქნება განსაზღვრული სახის განწყობით.

ნებისმიერი დონის განწყობას ახასიათებს ფიქსირების უნარი, რაც ქმნის ფიქსირებული განწყობების სისტემას, რომლებიც აქტუალიზირდება შესატყვის ვითარებაში.

ადამიანის აქტივობის ზოგადი კანონზომიერებების დადგენასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ მისი სპეციფიკურობა და უნიკალურობა. ქცევის სტრუქტურა, მართალია, ემორჩილება განწყობის ზოგად კანონზომიერებას, მაგრამ იგი ამავე დროს არის კონკრეტული ინდივიდუმის სტრუქტურა. იგი ყოველ კერძო შემთხვევაში ფორმირდება ინდივიდისათვის სპეციფიკური ფიქსირებული განწყობის გავლენით, რომელიც ერთიანობაშია ზოგადთან. ამდენად, ეს სტრუქტურა ყოველთვის ზოგადი და ინდივიდუალურია ერთდროულად.

განწყობის თეორიამ კარგად დააკავშირა ურთიერთთან ფსიქიკური, ბიოლოგიური და სოციალური, მაგრამ არ დაუდგენია მათი წილი აქტივობის განსაზღვრის საქმეში.

ხშირად ფსიქიკური ფაქტორი განიხილება რო-

გორც ბიოლოგიურის და სოციალურის ზემოქმედების შედეგი, ან ამ ძალების ურთიერთქმედების არენა, რითაცაა განსაზღვრული ადამიანის აქტივობა.

„ბავშვებისადმი სერიოზული, ფიქრიანი დამოკიდებულებაა საჭირო. მათ ტოლივით, პატივისცემით უნდა მოექცე, უნდა შეგეძლოს ბავშვში ადამიანი, თუნდაც პატარა ადამიანი დაინახო“ – ასტრიდ ლინდგრენი.

მშობლის (და არა მარტო მშობლის) ვალია ბავშვებთან ურთიერთობის სწორი ფორმა შეარჩიოს. სამწუხაროდ, ხშირია ფაქტები, როდესაც მშობელი ფიზიკურად უსწორდება (სცემს) ბავშვს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა „ჭკუა ისწავლოს“. ამ შემთხვევაში მშობელს ავიწყდება ერთი გარემოება – რომ ბავშვის უარყოფა სწორედ მისი ბრალია! ესეც რომ არ იყოს, უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა წარმოადგენს აგრესიის ერთ–ერთ ფორმას, რომელიც უარყოფითად აისახება მის ფსიქიკაზე, მის თავმოყვარეობაზე; ამცირებს კონსტრუქციული თანამშრომლობის განწყობას მასში, იწვევს პროტესტს, აჩვევს ბავშვს გადაწყვიტოს თავისი პრობლემები აგრესიისა და ძალადობის საშუალებით.

მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი მშობელი იყენებს ფიზიკური დასჯის მეთოდს ბავშვის აღზრდისას, ვინაიდან არ იცის სიტუაციის დასარეგულირებელი სხვა საშუალება, ან თავს ვერ ერევა.

როგორ მოვიქცევთ გაუგონარ ბავშვებთან?

შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას, რომელიც ასეთ სიტუაციაში სასიკეთოდ წაგადგებათ თქვენც და თქვენს შვილსაც.

სიმშვიდე ყველაზე დიდი ძალაა. თუ ნერვები დაწყვეტაზე გაქვთ, ცხელ გულზე არაფერი მოიმოქმედოთ და შეეცადეთ დაწყნარდეთ – გაერიდეთ სიტუაციას, ათამდე დაითვალეთ, ღრმად ისუნთქეთ... როგორც კი საკუთარი თავის ხელში აყვანას შეძლებთ, მაშინვე ცხადი გახდება თქვენთვის სიტუაციიდან გამოსავალი.

დაუთმეთ მეტი დრო საკუთარ თავს. თუ დროს გამონახავთ თქვენთვის სასიამოვნო საქმიანობისათვის (მაგალითად, კითხვა, სეირნობა, ვარჯიშები, ლოცვა ან ნებისმიერი ჰობი, რაც სიამოვნებას განიჭებთ), უფრო მშვიდი და გაწონასწორებული გახდებით, რაც შვილებთან ურთიერთობაზეც აისახება.

იყავით ბავშვებთან კეთილგანწყობილნი, მაგრამ მომთხოვნი. თუ თქვენმა შვილმა ყურს მიღმა გაუშვა თქვენი თხოვნა საჭიროებისამებრ მოქცეულიყო, აფეთქებისაგან თავი შეიკავეთ, მიიპყარით მისი ყურადღება, მიაღწიეთ ურთიერთგაგებას და ამის შემდეგ გაუმეორეთ თქვენი თხოვნა კეთილგანწყობით, მაგრამ შეუდრეკელი ტონით.

მიეცით ბავშვს არჩევანის საშუალება. თუ ბავშვს თქვენი არ ესმის, აღუწერეთ მას, რა სახის რეაგირება შეგიძლიათ მოახდინოთ მის გაუგონარობაზე. მიეცით საშუალება არჩევანი გააკეთოს დასჯასა და კარგად მოქცევას შორის.

სჯობს ბავშვი თვითონვე შეეჯახოს თავისი მოქმედების შედეგებს. თუ მისი ქმედება უარყოფითი შედეგით დამთავრდა, მიეცით საშუალება მიიღოს ზომები მის გამოსასწორებლად და ზარალის ასანაზღაურებლად. ამ გზით ასწავლით მას საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობა იგრძნოს და არ იყოს დასჯის შიშით შეპყრობილი.

მიეცით ბავშვს საშუალება მიაღწიოს თქვენთან შეთანხმებას. თუ ბავშვმა თქვენს შორის არსებული მოლაპარაკება დაარღვია, განიხილეთ მასთან ერთად თუ რა გამოიწვია მისმა ქმედებამ და გამოთქვით თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით. შეეცადეთ მიაღწიოთ თანხმობას. კომპენსაციის მიზნით შესთავაზეთ პოზიტიური ქმედებებით გამოასწოროს „დანაშაული".

არ ჩაერთოთ კონფლიქტში. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი თქვენს შენიშვნაზე შეგეკამათათ, უმჯობესია არ გააგრძელოთ საუბარი ასეთივე ტონით, არ მისცეთ კამათის გაგრძელების საშუალება. ეცადეთ თავი ხელში აიყვანოთ, მშვიდად უთხრათ, რომ მზად ხართ გაუგოთ მას, ოღონდ საამისოდ პატივისცემა უნდა დაიმსახუროს თავისი ქცევით.

თქვენი განზრახვის შესახებ ყოველთვის წინასწარ გააფრთხილეთ ბავშვი. ასეთ შემთხვევაში ის შეძლებს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე, მშვიდად შეხვდება თქვენს მოთხოვნას და უარს აღარ გეტყვით მის შესრულებაზე. თქვენც თავიდან აიცილებთ უეცარ აფეთქებას (გაბრაზებას), რომელიც თქვენი სისუსტითა და ბავშვისადმი ინ-

ფორმაციის დროული მიწოდების ნაკლებობით იქნებოდა გამოწვეული.

ბავშვის ურთიერთობისას ყოველთვის კეთილგანწყობილება გმართებთ, მაგრამ ამასთანავე უნდა იყოთ მყარი და მომთხოვნი. აუცილებლად გადახედეთ და იპოვეთ ოჯახში კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარების გზები, ფიზიკური ძალადობის გარეშე, რათა სიყვარულის, თანამშრომლობისა და ურთიეთგაგების ფონზე აღზარდოთ საკუთარი შვილები. არსებობს უამრავი სხვა ალტერნატივა დასჯისა, რომელსაც აუცილებლად მიაგნებთ, თუ თქვენ შვილებისათვის სიკეთე გინდათ.

და ასეთ დროს არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ვალდორფი, დიახ მისი პედაგოგიკა თითქმის ასი წელია არსებობს. პირველი სკოლა და ბაღი 1919 წელს გაიხსნა სიგარეტის ფაბრიკის შეძლებული მფლობელის, ემილ მოლტის ფინანსური მხარდაჭერით. სახელწოდება – ვალდორფიც სწორედ ამ პირველ სკოლას უკავშირდება – ემილ მოლტის ფაბრიკაში იწარმოებოდა სიგარეტები სახელწოდებით „ვალდორფ-ასტორია".

ამჟამად სახელი „ვალდორფი" მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში აერთიანებს და აღნიშნავს ერთიან სასწავლო მეთოდს, რომელსაც განათლების ალტერნატიულ, ტრადიციულისგან განსხვავებულ საშუალებად მიიჩნევენ.

მეთოდიკის თეორეტიკოსი და შემქმნელი წარმოშობით ავსტრიელი მეცნიერი, და ფილოსოფოსი

– რუდოლფ შტაინერია. მისი სწავლება – ანთროპოსოფია განიმარტება როგორც მეცნიერება ადამიანის შესახებ. თუმცა, ანთროპოსოფიულ სწავლებას ქრისტიანობა განიხილავს, როგორც გარკვეულ რელიგიურ გაერთიანებას და არ სცნობს მას. თავად შტაინერი არასდროს იყენებდა განსაზღვრებას - რელიგია, არჩევდა ტერმინს – მეცნიერება. რეალურად, ანთროპოსოფია არც არის დენომინაცია, ან სექტა.(ამ სიტყვას ჩვენში, როგორც ეპითეტს, ისე იყენებენ ვალდორფის სკოლასთან მიმართებით). ეს უფრო მცდელობაა ხილული და უხილავი სამყაროს მეცნიერული შესწავლის, მცდელობა მეცნიერული მეთოდოლოგიებისთვის რელიგიის დაქვემდებარების. ამის დასტური ისიცაა, რომ ანთროპოსოფია ქმნის რამდენიმე ახალ და ალტერნატიულ მიმართულებას ისეთ ტრადიციულ სფეროებში, როგორიცაა პედაგოგიკა (ვალდორფის პედაგოგიკა), მედიცინა (ანთროპოსოფიული მედიცინა და ფარმაკოლოგია), სოფლის მეურნეობა (ბიოდინამიური მიწათმოქმედება) ხელოვნების სხვადასხვა დარგში – ფერწერა, არქიტექტურა, სცენიური და სამკურნალო მოქმედებები - ევრითმია და ხელოვნების თერაპია. ამგვარად, ადამიანი განიხილება, როგორც ჰარმონიული არსება, რომელსაც თანაბრად უნდა ჰქონდეს განვითარებული ბიოლოგიური, სოციალური და სულიერი მიმართებები. ანთროპოსოფიური სწავლებისა და კონკრეტულად, ვალდორფის პედაგოგიკისთვის მთავარი ღირებულება ადამიანია.

2. „თავისუფალი“ ბაღი??

„თავისუფალი აღზრდის ხელოვნება“ ასე მოიხსენებენ მეორენაირად აღზრდის ამ მეთოდს. „სიცოცხლის პირველ წლებში ადამიანს არ აქვს არანაირი სხვა ვალდებულება – გარდა ფიზიკური ზრდისა. ამ პერიოდში იგი იძენს ისეთ უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო ფუნქციებს, როგორიცაა ორ ფეხზე მყარად დგომა (ამართულობა), აზროვნება, მეტყველება. ამ დროს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, ფიზიკურ სიჯანსაღეს. ინტელექტუალური, უფრო ზუსტად კი, ინფორმაციული გადატვირტვა პირდაპირ დაღს სვამს მის სამომავლო ჯანმრთელობაზე“ (რეგინა ხეკკი – ვალდორფის ცენტრის ხელმძღვანელი).

ამ მოსაზრების თანახმად, ვალდორფის ბაღში ბავშვი არ ეუფლება არც ერთ საგანს, (კერძო და სახელმწიფო ბაღებში, განსაკუთრებით, „სასკოლო“ასაკობრივ ჯგუფებში, სულ სხვა ვითარებაა, იქ პირიქით, მიმდინარეობს ლამის საგნობრივი სწავლება. ბავშვები შეისწავლიან უცხო ენას (ზოგჯერ ორსაც), მათემატიკას, ხელოვნებას და ა.შ). არ ხდება მისი მეხსირების დატვირთვა სხვადასხვა ტექსტით (მექანიკურად გაზეპირებული ლექსები, ანბანი, რიცხვები, ხშირად – შეკრება გამოკლებაც 10-ის ან 20-ის ფარგლებში, აფორიზმები, სრულიად არასაჭირო და არაარსებითი ინფორმაცია, რისი მიზანიც ძირითადად მშობლის აღტაცება და აღფრთოვანებაა. რეალურად კი,

ნამდვილად არაფრის მომცემია ამ ასაკის ბავშვისთვის მსოფლიოს საოცრებებზე გაზუთხული საუბარი, უცნაური და უჩვეულო ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების ხსენება და „იცით თუ არა, რომ“ ტიპის ცნობები). ბაღში აღმზრდელი პატივს სცემს თითოეული ბავშვის პიროვნულ ღირსებას და თავისუფლებას – მარტივი მაგალითი – ბავშვები მასწავლებელს დილაობით ხელის ჩამორთმევით ესალმებიან და იწყებენ „საკუთარი ტერიტორიის“ ათვისებას – თავისუფალ თამაშს. საკუთარი წესებით, იმ სათამაშოებით, რომელთა გამოყენებაც თავად სურთ. ამ ერთი შეხედვით, თითქოს არაფრით გამორჩეულ სცენას დაუპირისპირეთ ჩვეული სცენა – მითითებების და განკარგულებების გამცემი აღმზრდელი – ბავშვებო, ახლა თქვენ ითამაშებთ დამალობანას ან დაჭერობანას ან „ხელს ნუ კიდებთ სათამაშოებს, ასე ხომ ირევა–ფუჭდება–ზიანდება ...“. თამაშს ვალდორფის ბაღში ზოგადად, ენიჭება განსაკუთრებული და შემეცნებითი ფუნქცია. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ბაღში ჯგუფი დაკომპლექტებულია განსხვავებული ასაკის ბავშვებით, რაც აძლევს მათ საშუალებას „მოირგონ“ სხვადასხვა როლი – იგი ხან უფროსია, რომელმაც უნდა დაუთმოს, ასწავლოს უმცროსს, ხანაც უმცროსი, რომელიც უნდა დააკვირდეს, როგორ და რა გზით გამოსდის უკეთ ესა თუ ის აქტივობა უფროსს. მასწავლებელი თამაშში ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქმნება კონფლიქტური და გადაუჭრელი სიტუაცია. მისი ასე-

თი პოზიცია, ასევე ბაღის ინვენტარი და პროექტირება საშუალებას აძლევს ბავშვს გამოავლინოს საკუთარი თავისუფალი ნება, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე, დაგეგმოს და ისიამოვნოს თამაშით.

3. ინტელექტი თუ ინფორმაციული ტვირთი?

ვფიქრობ, აუცილებელია უფრო დეტალურად განვიხილოთ ზემოთ გამოთქმული ერთი მოსაზრება – ბავშვის ადრეულ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებით. ითქვა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის აბსოლუტურად უსარგებლოა გარკვეული სახის ინფორმაცია, რისი მიღებაც არ შეიძლება ჩაითვალოს შემეცნებად. ვალდორფის პედაგოგიკის თანახმად, ეს, უფრო დატვირთვაა (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პატარა ბაღში არაფერს სწავლობს და მთელს დღეს თამაშსა და სეირნობაში ატარებს. „ორი საკვანძო სიტყვით შეიძლება ბავშვის დამოკიდებულების აღწერა გარესამყაროსადმი – ბაძვა და მაგალითი" – ამბობს შტაინერი.

ბავშვისთვის რთულია მოსმენა და გააზრება აბსტრაქტული, განყენებული ინფორმაციის. ამიტომ ვალდორფის ბაღებში აზრები და იდეები ჩანაცვლებულია ქმედებებითა და საქციელით – აღმზრდელი მუდმივად დაკავებულია რაიმე საქმით – და შრომის შედეგებს ბავშვები თავადვე ხედა-

ვენ. (იქმნება ახალი სათამაშო მათთვის, იქსოვება ფერადი ნაჭერი., თოჯინა, მზადდება საკვები..) ბავშვები თვითონვე არიან ჩართული ბაღის ყოველდღიურ საქმიანობაში, იღებენ მონაწილეობას პურის ცხობაში, სადღესასწაულოდ ამზადებენ უამრავ აქსესუარს, თავად ქმნიან სათამაშოებს. ვერავინ იტყვის, რომ ამ პროცესს თან არ ახლავს სწავლა და სიახლის შეცნობა – ოღონდ მიწოდების ფორმა განსხვავებულია – ბავშვი პასიური მსმენელი, ან მზამზარეული ინვენტარის მომხმარებელი კი არ არის, არამედ შემქმნელი, ავტორი. საინტერესოდ მეჩვენება ერთი ფსიქოლოგიური დაკვირვებაც, როგორც ამ მოსაზრების თვალსაჩინო ილუსტრაცია – სასკოლო ასაკის ბავშვებს ეძლევათ დავალება – დახატონ კაცუნა ისე, როგორც თავად სურთ და წარმოუდგენიათ. ტესტირების შედეგი – ინტელექტუალურად დატვირთული ბავშვი ხატავს კაცუნას არაპროპორციულად დიდი თავით – ფაქტობრივად, ეს არის ბავშვის წარმოდგენა საკუთარ თავზე, არაჰარმონიული განვითარების მაჩვენებელი ერთგვარი პროექცია.

ამ შეხედულების საპირისპიროდ, მშობლების დიდი ნაწილი სწორად მიიჩნევს ტრადიციულ მიდგომას და ურჩევნია, ბავშვი ადრევე დაეუფლოს გარკვეული სახის ცოდნას სხვადასხვა სფეროში. ტრადიციული პედაგოგიკაც სწორედ ამ თვალსაზრისის გამტარებელია. ამიტომ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, დამამთავრებელ ჯგუფებში აქტიურად ისწავლება სხვადასხვა სას-

კოლო საგანი და მომავალმა პირველკლასელმა იცის კითხვაც, წერაც, ანგარიშიც. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ არ უნდა დაიკარგოს ის ძვირფასი პერიოდი, როდესაც შესაძლებელია დიდი როდენობის ინფორმაციის მიღება და ბავშვის მეხსიერების გამოყენება საამისოდ. განსხვავებებზე ყურადღების გამახვილებას დაგპირდით. კიდევ ერთი და თვალშისაცემი განსხვავება ვალდორფის თავისუფალი ბაღისა სხვა ბაღებისგან გახლავთ ის, რომ დღის განმავლობაში ბავშვი იღებს მინიმალური რაოდენობის შეფასებას. ბავშვი, რომელიც აკეთებს ამა თუ იმ საქმეს მხოლოდ იმ მოტივით, რომ მიიღოს შექება, ან კიდევ უფრო უარესი, არ მიიღოს შენიშვნა, თრგუნავს საკუთარ ნებას. მას შეუძლია და აქვს უფლება არ მიიღოს მონაწილეობა არც ერთ იმ აქტივობაში, რასაც დღის განმავლობაში სთავაზობენ. დაკვირვებისა და „გასინჯვის“ შემდეგ, ანუ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, იგი ერთვება საქმიანობაში. ბაღის ყოველდღიური ცხოვრება ეფუძნება გარკვეულ რიტმს – უცვლელს და წინასწარ შედგენილს. არის დღის რიტმი(ერთგვარი რეჟიმი – პირობითად, პასიური და აქტიური კონდენცია, რასაც ბაღში „ჩასუნთქვა – ამოსუნთქვის რიტმს“ უწოდებენ), კვირის რიტმი(თითოეული დღე დატვირთულია გარკვეული და მხოლოდ იმ დღისთვის შესაბამისი აქტივობებით) და წლის(სეზონური ზეიმები). ბაღში არ ტარდება ზეიმები და დღესასწაულე-

ბი ამ სიტყვის ჩვენთვის ჩვეული გაგებით. (ვგულისხმობ ახალი წლისთვის მზადებას ჯერ კიდევ შემოდგომზე და მერე, სახალწლო ზიემზე ერთორ წუთიანი გამოსვლას მაყურებლის წინაშე.)

ვალდორფის ბაღში ზეიმი ჰქვია იმ განსაკუთრებულ დღეს, როდესაც ბავშვები იმოსებიან განსაკუთრებული სამოსით (როგორც წესი, საკმარისია რაიმე დეტალის დამატება ტანსაცმელზე – ან რაინდის სამკლავურის და მოსასხამის, ან მზარეულის ქუდის, ან ჯადოქრის ჯოხი – ნებისმიერი რამ, რის გაკეთებაშიც სასურველია, თავად ბავშვმა მიიღოს მონაწილეობა) და სხვადასხვა პირობით „ზონაში" ერთვებიან ხვადასხვა საქმიანობაში – მაგალითად ხის ოსტატების კუთხეში შეიძლება ნახოთ მზარეული, ჩოხოსანი და მეკობრე, რომლებიც მონდომებით ეხმარებიან ოსტატს. ხაბაზის კუთხეში – ფქვილში ამოსვრილი პეპი, რაინდი ან თაგუნა. აღინიშნება ყველა ტრადიციული დღესასწაულიც – აღდგომა, შობა, ახალი წელი. აქვთ ასევე ერთი განსაკუთრებული დღე – ლამპრობა – ბავშვები საკუთარი ხელით შექმნილი ლამპრებით გადიან ბუნების წიაღში და ეს მართლაც დაუვიწყარი და საინტერესო სანახაობაა, გაცილებით ბევრი დადებითი ემოციის მომტანი მშობლებისთვისაც და ბავშვებისთვისაც, ვიდრე წინასწარმომზადებული და ნაწვალები „სპექტაკლი".

ამ „ბრალდებას" თავად შტაინერიც ეპასუხება თავის ლექციათა კურსში „სწავლების მეთოდიკა და აღზრდის სასიცოცხლო პირობები". იგი წერს

„ჩვენი თვითმიზანი სრულებითაც არ არის აღსაზრდელებს თავს მოვახვიოთ საკუთარი იდეები და მსოფლხედვა. ჩვენი განათლება არ ემსახურება რაიმე დოგმის დანერგვას“. ეს იგულისხმება სწორედ „თავისუფალ“ აღზრდაში და ადამიანის პიროვნების პატივისცემაში – თავისუფალი ნება – და თავისუფალი არჩევანი (აღზრდის მეთოდისა მათ შორის)– ამის საშუალება კი დღეს, საბედნიეროდ, მრავლადაა.

ყველა პედაგოგისთვის კარგად არის ცნობილი, რომ წარმატების მისაღწევად მხოლოდ სპეციალური ცოდნა არ არის საკმარისი. ცნობილია ისიც, რომ ყოველი გაკვეთილის მსვლელობის თუ მოსწავლესთან ურთიერთობის ნებისმიერ, უმნიშვნელო ეპიზოდშიც კი, მასწავლებელს მოეთხოვება დიდი ოსტატობა. მაგრამ სწავლისა და აღზრდის მრავალწახნაგოვან და ურთულეს პროცესში მასწავლებლის ქმედების, განწყობის, მოსწავლის მიმართ დამოკიდებულების, ინდივიდუალური მიდგომისა და ურთიერთ კავშირის დამყარების ფორმალური წესით გაანალიზება ნაკლებად ეფექტური და შედეგის მომტანია. ალბათ თვით მასწავლებელზე უკეთ ვერავინ ვერ შესძლებს სუსტი და ძლიერი მხარეების, ხარვეზების ან პირიქით წარმატებულობის გაანალიზებას. ვიცით, რომ საკუთარი ხედვით და შეფასების განსხვავებული კრიტერიუმით ბევრ სპეციალისტს უცდია ამგვარი ანალიზის გაკეთება. მრავალი პრაქტიკოსი პედაგოგიც არა ერთხელ დაფიქრებულა ამის თაობაზე. როდესაც ერთ-ერთ

საკმაო გამოცდილების მქონე მასწავლებელს მივმართეთ პედაგოგის საქმიანობის ანალიზისა და შეფასების შესაძლო კრიტერიუმების თაობაზე განმარტებისთვის, მან ასე გვიპასუხა:

„პედაგოგის შრომისა და წარმატებულობის შეფასების ყველაზე ობიექტურ კრიტერიუმად ალბათ რეალური შედეგი უნდა მივიჩნიოთ და ის არა მხოლოდ დღევანდელი გაკვეთილის შედეგში უნდა დავინახოთ. მრავალი წლის შემდეგ ეს შედეგი უფრო თვალნათლივ გამოჩნდება და ან სიამაყეს და ბედნიერებას მოგგვრის ან გულს გატკენს.“ განსხვავებული ასაკის, გამოცდილებისა და სპეციალობის შვიდ პედაგოგს შევთავაზეთ რამდენიმე წუთში, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მოკლე ფრაზის სახით ჩამოეთვალათ 5 ან 6 მოსაზრება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პედაგოგის წარმატებულობის თვითანალიზისა და თვითშეფასებისთვის. ავკრიფეთ მოწოდებული წინადადებები, არ მოგვიხდენია მათი რედაქტირება და არც ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება და გვსურს შემოგთავაზოთ, ძვირფასო პედაგოგებო, თვითანალიზის მიზნით გასცეთ პასუხი ყველა ამ მოსაზრებას და თვითონვე მოძებნოთ მათ შორის არსებული ორგანული კავშირი.

ჩამოთვლილ მოსაზრებებს უპასუხეთ: „დიახ“, „არა“ ან „ნაწილობრივ“, ამის შემდეგ კვლავ დაუბრუნდით თითოეულ პუნქტს, გააანალიზეთ თქვენივე შეფასება, იპოვეთ თქვენთვის პრობლემატუ-

რი ასპექტები და გააკეთეთ დასკვნები:

ბავშვები დიდი სიამოვნებით ისმენენ ჩემს მონაყოლს;

მიყვარს ცოდნის მუდმივი შევსება და განახლება;

ადამიანების მიმართ ვარ ყურადღებიანი;

საკუთარ თავს ვგრძნობ ბედნიერ, მხიარულ ადამიანად;

არ მიჩნდება შინაგანი დაბრკოლება სკოლაში ბავშვებთან დიდი ხნით დარჩენა საჭირო თუ გახდა;

დიდი სიამოვნებით ვღებულობ მონაწილეობას სასკოლო მუსიკალურ საღამოებში;

არ ვიღლები ბავშვებთან ხანგრძლივი ურთიერთობისგან, ისინი მუხტს მმატებენ, მათთან ყოფნა საინტერესო და სახალისოა;

მიყვარს საგანი, რომელსაც ვასწავლი. დიდი გულმოდგინებით ვაგროვებ მასალას, რომელიც დამეხმარება მუშაობაში;

ყოველთვის ვცდილობ ბავშვებში დავინახო და განვავითარო ყველაზე ღირებული და წარმატების მომტანი თვისებები;

ყოველთვის ვეცდები თითოეულ ბავშვს მოვექცე პატივისცემით, არ განვასხვაო ერთმანეთისგან და ცალკეულების მიმართ არ გამოვიჩინო ნეგატიური დამოკიდებულება;

მომდევნო გაკვეთილისთვის სახლში მომზადება ჩემში არ იწვევს ნერვულობას. ყოველდღიურად ამის კეთების სურვილი არ მიქრება;

მე არ ვვარდები პროსტრაციაში, თუ ხელმძღვა-

ნელები ესწრებიან ჩემს გაკვეთილებს. შემიძლია რჩევის მოსმენა ან ნაკლოვანების თაობაზე მოცემული რეკომენდაციის გაზიარება და დასკვნის გამოტანა;

მყოფნის შინაგანი ძალა იმისათვის, რომ გაწონასწორებულად და კეთილმოსურნეობით მოვექცე ახლობელ ადამიანებს და რაც გინდა მოხდეს სკოლაში ჯავრს არ ვიყრი საკუთარ შვილებზე;

ძალიან მიყვარს საგანში, რომელსაც ვასწავლი, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკაში, სპეციალური ლიტერატურის, აგრეთვე მემუარების, მსოფლიო კლასიკის კითხვა;

არაფერი არ მახარებს ისე, როგორც კარგი, მრავალფეროვანი მუსიკა;

შემწევს უნარი კვირის განმავლობაში შევინარჩუნო და გავანაწილო საკუთარი ძალები;

დიდი სიამოვნებით ვაკეთებ ფიზიკურ ვარჯიშებს;

არ მიყვარს მონოტონური, ერთფეროვანი საქმის კეთება;

საკუთარი სიხალისით, სიხარულით, შეუპოვრობით და დაინტერესებულების პირადი მაგალითით მე შემიძლია საქმეში ჩავაბა ყველა მოსწავლე;

მოსწავლეებთან ერთად ყოველთვის ვიგონებ რამე ახალს, საინტერესოს ამიტომ ისინი არ მეშვებიან გაგრძელების მოთხოვნით;

ბავშვებთან ერთად დავდივართ ლაშქრობებზე, ვდგამთ სპექტაკლებს, აღვნიშნავთ დაბადების დღეებს;

ივლისის თვეში უკვე მოვიწყენ ხოლმე, ველოდები სექტემბრის მოსვლას და ჩემს მოსწავლეებთან შეხვედრას;

ყოფილ მოსწავლეებს ვუყვარვარ როგორც მეორე დედა, ყოველთვის უხარიათ შეხვედრა, მომმართავენ და მადლიერებით იღებენ რჩევას;

ჩემი მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნობის საფუძველში დევს ბედნიერება და სიხარული;

ყველა გაკვეთილზე ვცდილობ მოვიძიო ურთიერთობის ახალი ნაკადულები, გზები, ბილიკები;

დიფერენცირებული მიდგომა ჩემთვის ნიშნავს გაუგო თითოეულ მოსწავლეს, მის შესახებ ვიცოდე რაც შეიძლება მეტი, მქონდეს განსაკუთრებული და სანდო ურთიერთობები, ვეხმარებოდე ცხოვრებისეული არჩევნის გაკეთებაში, წინსვლისკენ მოძრაობაში;

ვცდილობ ადამიანზე არასდროს ვილაპარაკო ცუდად;

მე მიყვარს მიმოწერა ჩემს მოსწავლეებთან;

ბევრი საინტერესო რამ ვიცი ჩემს ოჯახზე;

კეთილმოსურნე დამოკიდებულება გამაჩნია ჩემი სკოლის მიმართ და ხშირად ვყვები მის მიღწევასა და უპირატესობაზე;

დადებითი დამოკიდებულება გამაჩნია სკოლაში მოსწავლეთა სტიმულირების მიმართ, შემიძლია დავინახო ბავშვების წარმატებები და წავახალისო ისინი;

ძალიან ვღელავ, როდესაც ვატარებ ღია გაკვეთილს, მაგრამ მისი დასრულების შემდეგ განვიცდი კმაყოფილების გრძნობას;

მე პატივს ვცემ ჩემს კოლეგებს;
ვცდილობ ვიყო გულახდილი, მაგრამ:
ყოველთვის ვამბობ სიმართლეს;
მხოლოდ ნაწილობრივ ვიძახი სიმართლეს;
მე პატივს ვცემ თითოეული ბავშვის ინტერესს, მის ინდივიდუალურ და ბავშვთა კოლექტივის აზრს;
არასოდეს არ დავცინი ბავშვებს;
კეთილსინდისიერად ვასრულებ ადმინისტრაციის დავალებას;
გარდა სკოლისა გამაჩნია სხვა მდგრადი შემოქმედებითი ინტერესები;
მიყვარს კარგად ჩაცმა,
თვითგანათლება – ჩემი ძლიერი მხარეა;
შემწევს უნარი გამოვკვეთო და კონკრეტულად დავსახო მიზანი;
საერთო საქმიანობას მე ვგეგმავ ბავშვებთან ერთად;
მე შემიძლია შევქმნა ისეთი პირობები ბავშვი, რომ გათავისუფლდეს კომპლექსებისგან და გამოავლინოს საკუთარი ნიჭი და უნარი.

რა არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა?

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატიის, პროექტის სახით. განასხვავებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს.

ფუნდამენტურია კვლევა, რომელიც ემსახურება მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას ახალი თეორიების შექმნით და აქამდე უცნობი მექანიზმებისა და ტექნოლოგიების ახსნით, გამოყენებითი კვლევის ძირითად მიზანს კი თეორიების, მექანიზმების, ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება წარმოადგენს.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, რომელსაც ატარებენ მკვლევარ-მასწავლებლები სასწავლო სიტუაციების გაუმჯობესებისა და საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის მიზნით.

მკვლევარია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. მაშასადამე, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო სირთულეების გადასალახავად კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძალების გასაძლიერებლად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების განსავითარებლადაც. პედაგოგებს ხშირად ებადებათ კითხვა: როგორ ვისწავლოთ კვლევა? კვლევაში გამოცდილი პედაგოგები მიიჩნევენ, რომ კვლევის სწავლის საუკეთესო გზა თავად კვლევის პროცესია.

რა თავისებურებები აქვს პედაგოგიურ კვლევებს?

გამოყენებით პედაგოგიკას, როგორც სწავლების პროცესზე ორიენტირებულ მეცნიერებას, ახასიათებს განუმეორებლობა, ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემთხვევაში მკვლევარს შეუძლია გაიმეოროს თავის მიერ მიღებული შედეგი განმეორებითი ცდის საფუძველზე და დააზუსტოს და განამტკიცოს მოპოვებული ცოდნა. მისი შედეგების სანდოობისა და ჭეშმარიტების შემოწმება შეუძლია მის ნებისმიერ კოლეგას იმავე ექსპერიმენტის კორექტული განმეორებით, იმავე მეთოდით, იმავე მასალაზე და იმავე პირობებში. მასწავლებელი-მკვლევარი ასეთ შესაძლებლობას, სამწუხაროდ, მოკლებულია, ვინაიდან „განმეორებითი ექსპერიმენტის“ ჩატარება მას უკვე სხვა „მასალაზე“, ანუ სხვა ინდივიდებზე მოსწავლეებზე უწევს და, შესაბამისად, შედეგსაც განსხვავებულს იღებს. ამასთანავე ამ "განმეორებითი ექსპერიმენტის“ პირობებიც სხვაა და ის სიტუაციაც, რომელშიც პედაგოგ-მკვლევარს უწევს მუშაობა. მით უმეტეს, რომ ხშირად ამ ფაქტორების ცვალებადობა ექსტრაპედაგოგიური ხასიათისაა, დამოკიდებულია სოციალურ ან იდეოლოგიურ გარემოებებზე, ისტორიულ კატაკლიზმებზე და ა.შ. სწორედ ამიტომაა, რომ პედაგოგიკაში არასოდეს შედგება წმინდა "განმეორებითი ექსპერიმენტი“.

ზემოხსენებული მიზეზების გათვალისწინებით, გამოყენებითი პედაგოგიკა იძულებულია, დაუშვას გარკვეული "უზუსტობის ინდექსი". იმისთვის, რომ მოვახდინოთ ამ სავარაუდო უზუსტობათა კორექტირება ან კომპენსირება და მივიღოთ სიზუსტესთან მაქსიმალურად მიახლოებული, ობიექტური დასკვნები, საჭიროა, გაიზარდოს კვლევათა რიცხვი და ინტენსივობა. იმ სავარაუდო უზუსტობათა კორექტირება, რომლებიც მოსალოდნელია და იქნება კიდეც ზემოხსენებული ტიპის კვლევების დროს, პედაგოგიკაში მათემატიკური, კერძოდ, სტატისტიკური (resp. რაოდენობრივი) მეთოდების გამოყენებით ხდება.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ეტაპები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა შეგვიძლია შემდეგ ფაზებად დავყოთ:

1. კვლევის ამოსავალი პუნქტის განსაზღვრა– საკვლევი თემის შერჩევა და კვლევის მიზნის ჩამოყალიბება;
2. კვლევის პროცესის დოკუმენტირება – კვლევის დღიურის წარმოება;
3. საკითხთან დაკავშირებული არსებული კვლევებისა და ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი;
4. კვლევის მეთოდის შერჩევა და ექსპერტიზა (სხვა კოლეგებისთვის გაცნობა ან მეთოდის მოსინჯვა მცირე შერჩევაზე — საპილოტე კვლევა);
5. მონაცემთა შეგროვება;

6. მონაცემთა ანალიზი, რომელიც კვლევის ყველაზე საინტერესო და ამავე დროს ყველაზე რთული საფეხურია;

7. მოქმედების სტრატეგიის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა, რაც აუცილებლად ყველა პრობლემის გადაჭრას კი არ ნიშნავს, არამედ ძიებას, გამოცდილების შეძენას, რაღაცის გაუმჯობესებას და კვლევის პროცესის ახალ ფაზაში გადასვლას;

8. მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების პრეზენტაცია, რაც შეიძლება განხორციელდეს კვლევის ანგარიშის შექმნით და კათედრის სხდომასა თუ სემინარზე მისი განხილვით, კონფერენციაზე წარდგენით, პუბლიკაციით და ა.შ.

განვიხილოთ თითოეული ფაზა ცალ-ცალკე

კვლევის ამოსავალი პუნქტის–საკვლევი თემის განსაზღვრა – კვლევის პროცესის პირველი ნაბიჯი

კვლევის პროცესის პირველი ნაბიჯი გულისხმობს კვლევის იმ ამოსავალი პუნქტის პოვნასა და ფორმულირებას, რომელიც იქნება არჩეული კვლევის საფუძველი და მიზანი.

„ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან რომელი საკითხია პრიორიტეტული, რომლის კვლევა უნდა დავიწყო?"; „ჩემი ძალები და შესაძლებლობები გაწვდება ამ საკითხების კვლევას?"; „მაქვს წარმატების შანსი?" და ა.შ. – ეს ის კითხვებია, რომლე-

ბიც მკვლევარ-მასწავლებლებს ებადებათ კვლევის დაწყების წინ. რამ შეიძლება მოგვცეს ბიძგი კვლევის ამოსავალი პუნქტის აღმოსაჩენად?

– საკუთარმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ გაკვეთილზე და სხვა სასკოლო აქტივობებში, როგორიც არის, მაგალითად, რთული ან გაურკვეველი სიტუაცია.

– უკუკავშირისა და შეფასების შედეგებმა, რაც შეიძლება იქცეს იმპულსად შემდგომი კვლევისა და განვითარებისთვის. მაგ., პედაგოგმა შეაჯამა კლასში სემესტრის განმავლობაში ჩატარებული ტესტირების შედეგები და აღმოაჩინა, რომ პირველი ტესტირების შედეგები კარგი იყო, შემდეგ კი ისინი მკვეთრად დაეცა. ეს უკუკავშირის შედეგები იქცა მასწავლებლისთვის კვლევის მიზეზად.

– სკოლის განვითარების პროგრამებში, პროექტებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობამ.

– ცნობისმოყვარეობამ და „თეორიულმა ინტერესებმა“. სულაც არ არის საჭირო,ახალი იდეები საკუთარი გამოცდილებიდან მოდიოდეს. ის შეიძლება მოვიპოვოთ კოლეგების დაკვირვებებიდან, საკითხავი მასალიდან და ა.შ. მაგ., რას აკეთებს ჩემი ერთი კოლეგა, ან რა აღმოაჩინა ერთმა მკვლევარმა, ე. ი. ინტერესი, უკეთ გაიგო და შენს საქმიანობაში დანერგო სხვათა იდეები, მნიშვნელოვანი სტიმულია კვლევის დასაწყებად. როგორ გადავამოწმოთ, სწორად შევარჩიეთ თუ არა კვლევის ამოსავალი პუნქტი? ამის

გადამოწმება შეგვიძლია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

მოქმედების არეალი:

– ჩემ მიერ არჩეული კვლევის ამოსავალი პუნქტი ჩემი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან მომდინარეობს?

– მაქვს მე ამის განსახორციელებლად მოქმედების არეალი და შესაძლებლობები? მეტისმეტად ხომ არ ვარ დამოკიდებული სხვა პირებსა და ინსტანციებზე?

– კოლეგები მზად არიან ჩემთან თანამშრომლობისთვის?

– უკვე დროა, დავიწყო კვლევა თუ ჯერ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო?

მნიშვნელოვნება:

– რამდენად მნიშვნელოვანია ეს სიტუაცია ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი სკოლისა და მოსწავლეებისთვის?

– აქვს მას საჭირო აღმზრდელობითი ღირებულება?

– მზად ვარ, გარკვეული ენერგია და დრო დავახარჯო ამ სიტუაციას?

– მაქვს ამ სიტუაციასთან მიმართებით შეცვლის, გაუმჯობესების, განვითარების გარკვეული სურვილი?

დაძლევადობა:

– ნუ აირჩევთ პირველსავე ჯერზე თქვენთვის

დიდ და რთულად საკვლევ საკითხებს. თუ ყოყმანობთ, შეჩერდით უფრო კონკრეტულ, შემოსაზღვრულ გეგმებზე.

შესაბამისობა:

– შეესაბამება თუ არა ჩემს მიერ კვლევითი სამუშაოსთვის შერჩეული საკითხები ჩემს დანარჩენ პროფესიულ საქმიანობას?

– შეესაბამება თუ არა ისინი ჩემი სკოლის განვითარების პრიორიტეტებს?

– მიესადაგება თუ არა ჩემი კვლევა ჩემი გაკვეთილის მიზნებს?

– შესაძლებელია თუ არა, კვლევითი აქტივობები პირდაპირ საგაკვეთილო პროცესში ჩავრთო (მაგ., ინტერვიუები, ჯგუფური საუბრები, ანკეტირება და ა.შ.)?

საკვლევად უნდა ამოვირჩიოთ ის საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს.

კვლევის დღიური - კვლევის პროცესის მეგზური

პედაგოგიური კვლევის პროცესში მასწავლებლები აწარმოებენ ე.წ. კვლევის დღიურს, რომელშიც შეაქვთ სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული დაკვირვების შედეგები, საკუთარი იდეები, გეგმები, ინტერვიუები, მონაცემთა ანალიზის შედეგები და სხვ. კვლევის დღიური მკვლევარ-მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი იარაღია.

იგი კვლევის პროცესის თანამგზავრია, რადგან მასში აღნუსხულია პროცესის ყველა ფაზა. კვლევის დღიური ეხმარება მასწავლებელს კვლევის პროცესის კორექტირებასა და დასკვნების გამოტანაში, იმაში, რომ გაიგოს, სწორ გზას ადგას თუ ჩიხში ექცევა. სასურველია, საკუთარი კვლევის დღიურის ჩანაწერები მასწავლებელმა დროდადრო გადაიკითხოს შუალედური ანალიზისთვის და ხელახლა გაიაზროს თავისი თეორიული და მეთოდური ჩანიშვნები და გეგმები. თეორიული ჩანიშვნები აზრად მოსული მრავალმხრივი იდეების დღიურში აღნუსხვა და დავიწყებისგან მათი ხსნაა. გარდა ამისა, ეს არის მონაცემთა ანალიზის დროს წარმოშობილ ახალ იდეათა აღნუსხვაც. მეთოდური ჩანიშვნები მკვლევარის თვითდაკვირვების დოკუმენტირებას ახდენს. მაგ., რა პირობებში დავნერგე მე განსაზღვრული სტრატეგია? რა გამოცდილება შემძინა ამ სტრატეგიამ? რა ეთიკურ დილემას წავაწყდი კვლევის პროცესში? – და ა.შ.

კვლევის დღიურში მასწავლებელი ინიშნავს იმ გეგმებს, მიზნებს, იდეათა მოზღვავებულ ნაკადს, რომლებითაც სურს ისარგებლოს თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში და რომელთა განხორციელებაც სურს დროთა განმავლობაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის საჭირო ისეთი გეგმების დახვავება, რომელთა განხორციელება არარეალურია. დაუძლეველი გეგმები პედაგოგებში გულაცრუებას გამოიწვევს. თუმცა ყველა განუხორციელებელ იდეას ნაადრევად ნუ გამოვუტანთ ვერდიქტს „განუხორციელებე-

ლია", რადგან იმან, რაც დღეს განუხორციელებელი გვეჩვენება, ხვალ შესაძლოა ხორცი შეისხას.

მასწავლებლის მიერ სწორად წარმოებულ დღიურში მარტო კონკრეტული სიტუაციები კი არ არის გააზრებული, არამედ დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთის გეგმა _ "წერილობითი ნაფიქრალი". კვლევის დღიურმა დიდი როლი შეიძლება შეასრულოს საქმის ვითარების დაწვრილებით შესწავლაში, განსაკუთრებით - გაურკვეველ, პრობლემურ სიტუაციებთან შეჯახებისას.

კვლევის მეთოდის შერჩევა და მონაცემთა შეგროვება

მონაცემთა შეგროვება კვლევის პროცესის ერთ-ერთი საკვანძო და საპასუხისმგებლო ფაზაა. მის სწორად და კვალიფიციურად წარმართვაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული კვლევის საბოლოო შედეგები. კვლევის შედეგების სანდოობა კი უშუალოდ არის დამოკიდებული მონაცემთა შეგროვების მეთოდის სწორად შერჩევაზე. კვლევის პროცესის სწორად წარმართვისა და სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას კვლევის მეთოდის სწორად შერჩევა წარმოადგენს.

რა არის კვლევის მეთოდი?

კვლევის პროცესში გამოყენებულ გზებს, რომლებსაც ობიექტური დასკვნებისაკენ მივყავართ,

კვლევის მეთოდები ეწოდება. კვლევის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: თვისობრივ (დაკვირვება, დიალოგი, სილრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფები და ა.შ.) და რაოდენობრივ (მაგ., მასობრივი ზეპირი თუ წერილობითი გამოკითხვა – ანკეტირება) მეთოდებად. თვისობრიობა - ეს არის დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რომელიც გვიჩვენებს, რას წარმოადგენს ესა თუ ის საგანი. რაოდენობა - ეს არის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც რაოდენობით იზომება. აქედან გამომდინარე, კვლევის თვისობრივი მეთოდები მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სილრმისეულ შესწავლას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდები ადგენს შესასწავლი საგნის რაოდენობრივი გავრცელების სურათს. მკვლევარმა-მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კვლევის პროცესში რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ერთობლივი გამოყენება კვლევის სანდოობას და მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაცემთა ანალიზი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ, ამასთანავე, ყველაზე რთული ეტაპია. თუ კვლევის სერიოზულ, ღრმა ანალიზზე ვსაუბრობთ, მას მარტო მასწავლებელი ვერ გაართმევს თავს; ანალიზში ჩართულნი უნდა იყვნენ, სულ მცირე, სოციოლოგი და ფსიქოლოგიც; მაგრამ საკუთარი პედაგოგიური კვლევების მარტივი ანა-

ლიზი მასწავლებელს დამოუკიდებლადაც შეუძლია განახორციელოს. კვლევის ანალიზის შედეგები მკვლევარ-მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, გადავიდეს კვლევის პროცესის მომდევნო ეტაპზე, რაც გულისხმობს კვლევის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ახალი სტრატეგიების შემუშავებას და დანერგვას არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

ერთ დღეს ჩემს სადარბაზოში კარის ხმა გაისმა. მომახსენეს, რომ მოვიდა ვიღაც სტუდენტი, რომელსაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა. ვთხოვე შემოეყვანათ.

– გამარჯობა – მომესალმა სტუმარი. – მე ვარ ჩალიკოვი, სტუდენტი.

– გაგიმარჯოს – ვუპასუხე – დაჯექი. რაშია საქმე? აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო?

ჩალიკოვი ჩამოჯდა და ძალიან მნიშვნელოვანი იერით დაიწყო:

– არ იფიქროთ, რომ კონსულტაციისთვის მოვედი. მე სერიოზული საქმე მაქვს.

– როგორ, კონსულტაცია სერიოზულ საქმედ არ მიგაჩნია?

– არა, მე სხვა რამეს მოგახსენებთ. მინდა აზროვნება ვისწავლო. როგორ მოვახერხო ეს? თქვენ რას მირჩევთ?

– დახეთ, რა მომინდომა! – გავიკვირვე – რა უცნაური ახირებაა!

– იცით რა, – განაგრძო მან ცოტა არ იყოს შემცბარმა, – ჩემს წარმოდგენაში აზრი არის რაღაც

ღრმაზე ღრმა, ცხადზე ცხადი, ნათელზე ნათელი და, რაც მთავარია, უბრალო რამ. აზრი ზუსტია და გასაგები, როგორც გამრავლების ტაბულა. ახასიათებს ლაკონურობა. როგორ მიიღწევა ყოველივე ეს? თქვენი აზრით, რა უნდა ვიღონო?

მე მივხვდი, რომ ყმაწვილს მართლაც სერიოზული საუბარი სურდა. იგი რაღაც უცნაურ განცდას შეეპყრო, რაღაც მნიშვნელოვანს აელელვებინა.

განვაგრძე საუბარი:

– მისმინე, ჩალიკოვო. ცურვა თუ იცი?

– ო, ეს ჩემი ჰობია. ბავშვობიდან ვცურავ.

– აბა, მომიყევი როგორ ისწავლე ცურვა?

– ძალიან ადვილად, სასწავლო თითქმის არც არაფერი იყო.

– რას ნიშნავს „არაფერი„? განა არ იხრჩობა, ვინც ცურვა არ იცის?

– მხოლოდ სულელები იხრჩობიან. მე ხომ მაშინვე სიღრმეში არ ჩამიყვინთავს. ჯერ ნაპირს არ მოვშორებივარ. წყალში რომ ჩავდიოდი, ფეხებით ფსკერს ვგრძნობდი. თანდათან შევამჩნიე, რომ საყრდენს აღარ ვეძებდი, თავისუფლად ვჩერდებოდი წყალზე – არც კი ვიცი როგორ. ბოლოს ხელ–ფეხიც ავამოძრავე და, თქვენ წარმოიდგინეთ, გავცურე.

– ყოჩაღ! – შევძახე მე – საზრიანი ბიჭი ყოფილხარ. იცი რატომ? შენ მიხვდი, რომ ცურვის სასწავლად მთავარია თანდათან შეეჩვიო წყალს. რადგან ამ დასკვნამდე შენით მიხვედი, აი, რას გეტყვი: გინდა იაზროვნო? – მაშ ჩაყვინთე ფიქრის მორევში, აზრთა უძირო ოკეანეში. თავიდან,

რა თქმა უნდა, ნაპირს ვუსწორდი, შემდეგ კი გაცურე.

– მოითმინეთ, – შემაწყვეტინა ჩალიკოვმა. – კი, მაგრამ საიდან მოვიტანო ეს „აზრთა ოკეანე?“

– ფილოსოფიის ისტორია – აი, აზრთა ოკეანე.

– ესე იგი კვლავ უმაღლესი სასწავლებელი, კვლავ სახელმძღვანელოები?

– ამაზე ჯერ არც ერთი სიტყვა არ მითქვამს. მე ვახსენე მხოლოდ აზრის უძირო მორევი, უსაზღვრო ოკეანე.

– კი, მაგრამ როგორ მივუდგე ამ მორევს?

– განა შენ თვითონვე არ თქვი, რომ ცურვის სასწავლად თანდათან უნდა მიეჩვიო ღრმა წყალს?

– მაინც როგორ მოვახერხო ეს?

– გეტყვი როგორაც. შენ თუ იცი, რას წარმოადგენს ჩვენი გარემომცველი სამყარო?

– ეს ვინ არ იცის?!

– შენ თუ კარგად იცი, რა არის სამყარო, მოდი, მეც ამიხსენი – ვუთხარი სტუდენტს – რაღაც ვერ ვერკვევი.

– სამყარო რა არის? სამყარო, აი, ეს არის... და ჩალიკოვმა ჰაერში ხელით რაღაც გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა.

– აჰა, ესე იგი სამყარო არის ეს საწერი მაგიდა და წიგნების კარადები, არა? – ვკითხე მე.

– არა, მხოლოდ ამას როდი ვგულისხმობ.

– შენმა ჟესტმა მაფიქრებინა, რომ შენ ამ ოთახში მდებარე საგნებზე მიმითითე.

– არა, არა, რატომ? სამყარო ესეც არის და ყველაფერი სხვაც.

– რას ნიშნავს „ყველაფერი სხვა“. დედამიწას გულისხმობ?

– არა, დედამიწა სამყაროს ნაწილია, მაგრამ არა მთელი სამყარო.

– აჰა, მიხვდი? მთვარე არის თუ არა სამყარო?

– არა.

– მზე?

– არც მზე.

– დიდი დათვის თანავარსკვლავედი? ნუთუ არც ეს არის სამყარო?

– რა თქმა უნდა, არა.

– მოიცა, თავბრუ ნუ დამახვიე. არც მზე ყოფილა სამყარო, არც მთვარე, ბოლოს და ბოლოს რა არის იგი, როგორ ფიქრობ?

– სამყარო არის ყველაფერი – ყველა საგანი ერთად. – მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიპასუხა ჩალიკოვმა.

– შეხე საით გაუტია! თითქოს ამქვეყნად ყველა საგნის არსი შეცნობილი გქონდეს, პირდაპირ მითხარი: განა ყველაფერი იცი გარემომცველი საგნების შესახებ?

– არა, არ ვიცი.

– ესე იგი შენ არ გცოდნია რა არის სამყარო.

– რას ბრძანებთ. ეს მხოლოდ სულელებმა არ იციან – იხტიბარს არ იტეხდა ჩალიკოვი.

– მაშ, ჩამომიყალიბე – რა არის სამყარო.

– ვიცი, მაგრამ სიტყვით ვერ გამომითქვამს.

– კარგი, რადგან შენ თვითონ ვერ მოგიხერხებია, ვნახოთ სხვები როგორ განმარტავენ სამყაროს.

დავიწყოთ ყველაზე პირველი ევროპელი ფილოსოფოსით – თალესით. თალესის მიხედვით, სამყარო ღრმა თეფშია, რომელიც პირდაღმა დაცურავს წყალზე. მოგწონს ეს განსაზღვრა?

– ჰმ, ევროპელი ფილოსოფოსი! ეს ხომ ფანტაზიაა და არა ფილოსოფია.

– კარგი, იყოს ფანტაზია. მეორე ბერძენი ფილოსოფოსი, ანაქსიმანდრე ამბობდა, რომ ცაში არის თავისებური ცეცხლით გავსებული სარტყლები. ეს ცეცხლი გარეთ აღწევს და მნათობების სახით გვევლინება.

– ღმერთო ჩემო! ერთმანეთზე უკეთესი აზრებია!

– ბერძენი ფილოსოფოსი, ქსენოფანე წერს, რომ დედამიწა უმოძრაო სხეულია, რომელიც არც ერთი მხრიდან არაა შემოსაზღვრული და უსასრულო სივრცეებს ერთვის.

– სასაცილოა! და ამას ჰქვია ფილოსოფია?

– ხოლო ანაქსიმენის თანახმად, დედამიწა ბრტყელი დისკია, რომელიც ჰაერში დაცურავს. მასთან ერთად სივრცეში ფოთლებივით ფარფატებენ ციური სხეულები.

– ეს უკვე ზედმეტია! ეს ხომ რაღაც გამონაგონია, ზღაპარი და არა ფილოსოფია.

– რადგან ასეა, ნება მომეცი ერთი უცილებელი დასკვნა გავაკეთო, რომელსაც ვერ უარყოფ: შენ უკვე წყალში ხარ და ცდილობ დამოუკიდებლად, ყოველგვარი საყრდენის გარეშე გაცურო.

– ეს როგორ?

– როგორ? შენ ეხლა ერთი ხელის მოსმით გა-

აცამტვერე უძველესი ფილოსოფოსების მსოფლმხედველობა, რომელთაც არნახული და უმაღლესი კულტურის შემქნელებად თვლიან. რის საფუძველზე გააკეთე ეს?

– ნუთუ რაიმე განსაკუთრებული საფუძველი სჭირდება ამ ნაბოდვარის უარყოფას? ეს ხომ ყოველგვარი მტკიცების გარეშეც ცხადზე უცხადესია?

– კარგი. ჯერჯერობით მთავარი ისაა, რომ შენ თვითონვე, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გააკრიტიკე ერთი უზარმაზარი პერიოდი ფილოსოფიის ისტორიისა. ამრიგად, შენ თანდათან დამოუკიდებლად გასცურე, ესე იგი დაიწყე დამოუკიდებლად აზროვნება. ეხლა კი სხვა შეკითხვა მაქვს – ჯორდანო ბრუნო თუ წაგიკითხავს?

– არა.

– აი, ჯორდანო ბრუნო ამბობს, რომ სამყარო უსასრულოა და შედგება ცოცხალი, თვითმოძრავი მატერიისაგან, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და არა პირიქით, ხოლო ჩვენი სამყაროს მსგავს სამყაროთა რაოდენობა აურაცხელია.

– ჰოო! ამას უკვე არა უშავს. ეს არც ანაქსიმანდრეს სარტყლებია და არც ანაქსიმენის ფოთლები.

– მაინც რა მოგეწონა განსაკუთრებით?

– აი, თუნდაც ის, რომ სამყარო უსასრულოა.

– მაინც საიდან იცი, რომ სამყარო უსასრულოა?

– ჰმ, ესეც ხომ თავისთავად ცხადია.

– როგორ? მე, მაგალითად, არც თუ ისე ცხადად წარმომიდგენია სამყაროს უსასრულობა. ალბათ

დამეთანხმები, რომ შენთვის ამ საკითხში მხოლოდ ერთი რამ არის გასაგები – სამყაროს რომელ წერტილშიც არ უნდა აღმოჩნდე, დედამიწას რა მანძილზეც არ უნდა გასცდე, მაინც შეიძლება განაგრძო ფრენა, სივრცეში გადანაცვლება.

– სწორია. ნამდვილად ასეა.

– მაშასადამე, ეს შენი უსასრულობა არის დასასრულის უქონლობა.

– ესეც მართალია.

– მაგრამ უსასრულობის ასეთი განსაზღვრება მე სრულიადაც არ მომწონს. განა შეიძლება განვსაზღვროთ რაიმე, რაღაცის არქონით? უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს განსაზღვრას. ვთქვათ, შენ არ იცი არსებობს თუ არა ჩინური ენა. ეს როდი ნიშნავს მის არარსებობას, ან თუნდაც იმას, რომ იგი უსასრულობაა.

– ერთი ხომ ცხადია – უსასრულობა არის ის, რასაც ბოლო არ აქვს – მიპასუხა ჩემმა თანამოსაუბრემ.

– და მაინც უსასრულობა არსებობს, იგი რაღაც განსაზღვრულობაა.

– რა თქმა უნდა.

– მაშ თუკი არსებობს, რაღაც სახეც ჰქონია. უხელობა და უყურობაც არის რაღაც, მაგრამ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ცნობილია რა არის ხელი და ყური. რაიმე ნიშნის უქონლობა ძალიან ცოტას ნიშნავს. სამყაროს უსასრულობას შენ განმარტავ, როგორც დასასრულის უქონლობას. როგორც ჩანს, შენ გულისხმობ სივრცითი საზღვრის არქონას.

– დიახ.

– ესე იგი შენ იცი, რა არის სივრცითი საზღვარი?

– არა, არ ვიცი.

– მაშასადამე, შენ საუბრობ უხელობაზე და არ იცი რა არის ხელი. – აქ ჩალიკოვი ცოტათი შეცბა.

– საერთოდაც, ჩალიკოვო, რატომ აიგივებ დასასრულს საზღვართან?

– აბა, სხვაგვარად როგორ ვიფიქრო?

– აი, თუნდაც წარმოიდგინე სფერო, რომლის ზედაპირზეც დაცოცავს ჭიანჭველა. რამდენიც არ უნდა იმოძრაოს ჭიანჭველამ მის გარშემო, ვერასოდეს მიადგება საზღვარს. ამ თვალსაზრისით მისთვის სფერო აბსოლუტურად უსასრულოა, თუმცა თავისთავად სფერო შემოსაზღვრულია ზედაპირით და საკმაოდ დასრულებული მთლიანობაა. მეთანხმები?

– თითქოს ასეა.

– მაშ უნდა ვირწმუნოთ თანამედროვე მეცნიერების, რომელნიც დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სამყარო ერთდროულად უსასრულოცაა და შემოსაზღვრულიც. დედამიწის გარშემო რომ იმოგზაურო, ვერსად იპოვი მის საზღვარს. სწორედ ეს გაფიქრებინებს, რომ სამყარო უსასრულოა. სინამდვილეში კი იგი სასრულია, თუმცა მის გარშემო შეგიძლია უსასრულოდ იმოძრაო. უფრო მეტიც, სამყარო შეიძლება გაფართოვდეს. მეცნიერებს გამოთვლილიც კი აქვთ მისი გაფართოების სიჩქარე.

– უკაცრავად, უკაცრავად! მოდით, ისევ ჭიანჭ-

ველას დავუბრუნდეთ. განა არ შეიძლება იგი მოსწყდეს სფეროს ზედაპირს და აფრინდეს სივრცეში, რომელიც გარს აკრავს სფეროს?

– ეს, რა თქმა უნდა, დასაშვებია, – ვუპასუხე მე – მაგრამ ამ შემთხვევაში ჭიანჭველა მოხვდება რაღაც სხვა განზომილებაში, სხვა სახის სივრცეში და მისი აღნაგობა თვისობრივად შეიცვლება.

– მართალია.

– მაგრამ საიმისოდ, რომ თავისუფლად იმსჯელო სამგანზომილებიან სივრცეზე, რომელშიც შენ მოძრაობ, აუცილებელია იცნობდე უფრო მაღალი განზომილების მქონე სივრცეს, თუნდაც ოთხგანზომილებიანს. სხვაგვარად შენ დაბეჯითებით ვერ იტყვი მართლაც უსასრულოა თუ არა შენი გარემომცველი სამყარო.

– სწორია! ეს კი ვერ გავითვალისწინე. მართლაც, სამგანზომილებიან სივრცეზე ვერ ვიმსჯელებთ, თუ არ დავუშვებთ ოთხგანზომილებიანი სივრცის არსებობას, ვერც ამ უკანასკნელზე ვიტყვით ვერაფერს, თუ არ გვეცოდინება, როგორია ხუთგანზომილებიანი სივრცე და ა. შ.

– მაშასადამე, არც თუ ისე სულელები ყოფილან ძველი ფილოსოფოსები, რომელნიც მიიჩნევდნენ, რომ შეიძლება ერთმანეთთან შევათავსოთ სამყაროს უსასრულობა და სასრულობა, სივრცეში მარადიული მოძრაობა და სივრცითი შემოსაზღვრულობა.

– მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ თვით სივრცე არ გვაძლევს საშუალებას გავცდეთ მის საზღვრებს.

– მართალია. შენ მოძრაობ სამყაროში, მაგრამ მიაღწევ თუ არა მიჯნას ჩერდები, არ შეგიძლია გასცდე საზღვარს. ასე იკეტები სამყაროში, მოძრაობ მხოლოდ მისი მოცულობის ფარგლებში. ფიზიკოსებიც ხომ ამტკიცებენ, რომ სივრცეში გაშვებული სინათლის სხივი გარკვეულ მომენტში კვლავ უბრუნდება საწყის წერტილს, მხოლოდ სხვა მხრიდან.

ჩალიკოვი მღელვარებისგან აილეწა და განაგრძო ლაპარაკი:

– აჰა, ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროს მართლაც აქვს გარკვეული სტრუქტურა და ჩვენ არ შეგვიძლია გადავლახოთ მისი საზღვარი.

– ასეა – ვთქვი მე. – მთავარია სტრუქტურა. მის გარეშე არ ხდება დანაწევრება. ხოლო თუ საგანი არ ნაწევრდება, მასში ვერავითარ თვისებას ვერ აღმოვაჩენთ. ყოველი ნიშან–თვისება ხომ საგანს გარკვეულწილად დანაწევრებულობას ანიჭებს.

– ესეც მართალია, მაგრამ ეხლა სხვა რამ მაფიქრებს: ხომ არა აქვს რაიმე სტრუქტურა იმ სივრცესაც, რომლის არსებობაშიც აქამდე ეჭვი არ მეპარებოდა და რის საფუძველზეც გავაცამტვერე ძველ ფილოსოფოსთა შეხედულებები?

– რა თქმა უნდა ასეა. შენ მხოლოდ წარმოიდგინე: სივრცე უსასრულოა, მას არ ახასიათებს არაფერი განსაკუთრებული, სპეციფიკური, ესე იგი სივრცე ერთგვაროვანია, უსახო. ისიც გაიხსენე, რომ კოსმოსი აბსოლუტური წყვდიადითაა მოცული. ამბობენ, რომ კოსმიური სივრცის ტემპერატურა

ცელსიუსის სკალით – 273 გრადუსია. ამ შემზარავ უსასრულობაში გალაქტიკათა ურიცხვი რაოდენობა და შეუცნობ მნათობთა დიდი გუნდებიც კი ეულად და მარტოდ შთენილებად გამოიყურებიან. ციურ სხეულთა ასეთი მექანიკური დაკავშირებით უსასრულობა უსიცოცხლო, გაყინულ გვამად აღიქმება. ესეც შენი სამყაროს სტრუქტურა! ეს ხომ რაღაც საპყრობილეა, დიდი სასაფლაო.

– ასე გამოდის – თქვა ჩიხში მომწყვდეულმა ჩალიკოვმა, მაგრამ მაშინვე შეეცადა გამოსულიყო მდგომარეობიდან – მაგრამ მარტო მე ხომ არ ვფიქრობ ასე?

– აბა ვინ ფიქრობს კიდევ?

– ყველა სახელმძღვანელოს ავტორი.

– აჰა, სახელმძღვანელოები! მაშ ჩემთან რისთვის მოხვედი, თუ სახელმძღვანელოების მიხედვით ფიქრობ, ისიც ურიგო და ადამისდროინდელი წიგნების მიხედვით. შენ ხომ მე იმიტომ მომმართე, რომ წიგნებმა არ დაგაკმაყოფილეს. აი, რას გეტყვი. სახელმძღვანელოები ისე სვამენ საკითხს, რომ ჩვენ თავისთავად დავასკვნათ უსასრულო, ერთგვაროვანი, აბსოლუტურად შეუვალი სივრცის არსებობა. თუმცა ეს – არც მეტი, არც ნაკლები – მითია, ნიუტონის მიერ XVII საუკუნეში შექმნილი მითი, რომელმაც მხოლოდ ორ ასწლეულს გაუძლო. მას დღეს მარტო სასკოლო სახელმძღვანელოები აღიარებენ, ისიც არა ყველა. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები საქმის ვითარებას გაცილებით რთულად გვიხატავენ. ცხადია, ვიწ-

რო თვალსაწიერიდან კაცობრიობის აზრის განვითარების მთელი ათასწლეულები შენ შეიძლება შეაფასო როგორც მეცნიერულ საფუძველს მოკლებული, ბავშვური, გულუბრყვილო პერიოდები. მოდი, სხვა თვალით შეხედე ყველაფერს, დასძლიე ეგ შენი რუტინა და სტერეოტიპი, მაშინ, შესაძლოა, სისულელედ აღარ მიიჩნიო ძველ ფილოსოფოსთა ნააზრევი.

– გამოდის, რომ თავიდან უნდა შევისწავლო ანტიკურ ფილოსოფოსთა ნააზრევი. ამისათვის საჭიროა ყველაფერი, რაც კი ვიცით მათ შესახებ, თავდაყირა დავაყენოთ. ასეა განა?

– აბა სცადე და მხოლოდ ამის შემდეგ იქილიკე მათზე.

– ეს ალბათ, ძალიან დიდ დროს მოითხოვს – უნდა გადაისინჯოს შეხედულებები დროსა და სივრცეზე ძველთაგან ნიუტონის ეპოქამდე.

– რას იზამ, შენ ხომ აზროვნების სწავლა გინდოდა, გსურდა უნაპირო ზღვაში გაგეცურა. აჰა! ჩაყვინთე, გასცურე და აზროვნებასაც ისწავლი, გაიგე?

– გაგებით კი გავიგე – ჩაფიქრდა ჩალიკოვი – მაგრამ ვაი, რა უზარმაზარი სამუშაო მომელის!

– რა თქმა უნდა. ხომ შევთანხმდით, რომ აზროვნება უნაპირო ზღვას ჰგავს. თუმცა ერთიც მინდა გითხრა. ჩვენ უკვე დავასკვენით, რომ უსასრულობა და სასრულობა, ძირითადად, ერთი და იგივეა. მოდი, ეს დებულება უფრო განვამტკიცოთ. კანტი თუ წაგიკითხავს?

– არა.

– აი, კანტიც თვლის, რომ სამყაროს უსასრულობა და სასრულობა ერთდროულად უნდა ვაღიაროთ.

– ესე იგი ჩვენ კანტიანელები ვართ?

მოიცა, მოიცა. ზედმეტი არ მოგვიდეს. დეტალებს თუ არ გამოვეკიდებით, კანტის ნააზრევი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ემპირიულად ჩვენ შემოფარგლულნი ვართ არც თუ ისე დიდი მოცულობის სივრცით, მაგრამ მასშტაბური თეორიული აზროვნებისათვის დროისა და სივრცის ასეთი შემოზღუდვა არ არის საკმარისი. კანტი მიიჩნევს, რომ სრული შემეცნებისათვის საჭიროა გარკვეული სახის იდეა, რომელიც უკვე იქნება არა ემპირიული მონაცემები, არამედ წმინდა გონების აპრიორული იდეა. სწორედ ეს არის იდეა დროისა და სივრცის უსასრულობისა.

– აქ ჩემთვის ყველაფერი როდია გასაგები. ეს როგორ, დრო და სივრცე ემპირიულად სასრულია, თეორიულად კი უსასრულო?

– ასე გამოდის.

– აბა ეს რას ჰგავს? ესე იგი ობიექტურად სამყარო სასრულია, უსასრულობა კი მხოლოდ ჩვენს სუბიექტურ აღქმაში ვლინდება. არა, ვერ დაგეთანხმებით. თუ სამყარო უსასრულოა, დაე, მართლა უსასრულო იყოს – რეალურადაც და თეორიულადაც. თუ იგი არსებობს – არსებობდეს ობიექტურად. მაგრამ თუ მხოლოდ სუბიექტური არსებობა მიეწერება, სულაც არ მჭირდება ასეთი

უსასრულობა. დაე, ამით თვით კანტი დატკბეს.

– მაგრამ სასრულობაც ხომ ობიექტურია?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ შევთანხმდეთ, რომ უსასრულობა და სასრულობა არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე. მე მგონია, რომ ისინი ერთმანეთს მსჭვალავენ, არ განიყოფიან და იგივეობრივნი არიან.

– მოკლედ რომ ვთქვათ, უსასრულობის გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ.

– ეს კი სწორად შენიშნე. უსასრულობას ვერსად გავექცევით, თუნდაც აბსოლუტურად სასრული სიდიდეებით ოპერირებისას. ავიღოთ, მაგალითად, ნატურალურ რიცხვა მწკრივი. რა უნდა იყოს ამაზე მარტივი? ერთიანს მივუმატოთ ერთიანი, მივიღეთ ორიანს, კიდევ ერთი ერთიანი – სამიანს და ა. შ. ყველასათვის აშკარაა და გასაგები, რომ მწკრივში ერთმანეთის გვერდით მდგარი რიცხვები განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ერთეულით – უმარტივესი ერთეულით. მაგრამ სცადე ეს ერთეული გაჰყო თუნდაც ორად. მივიღებთ მეორედს, გავყოთ შუაზე მივიღებთ მეოთხედს. თუ მასაც შუაზე გავყოფთ – იქნება მერვედი, შემდეგ კი მეთექვსმეტედი. რამდენიც არ უნდა ვცადოთ, სულ წილადებს მიიღებ, არასოდეს არ დაგვრჩება ნული. ამ თითქოსდა უმარტივესი ერთეულის მხოლოდ უსასრულო გაყოფით თუ მივიღებთ ნულს. ეს კი – არც მეტი, არც ნაკლები – იმას ნიშნავს, რომ, მართალია, ნატურალური მწკრივის მეზობელ რიცხვებს მხოლოდ ერთი ერთეული განასხვავებთ,

მაგრამ სინამდვილეში მათ შორის არის წილადთა უსასრულო რაოდენობა, ესე იგი უსასრულობა. ასე რომ, ჩვენ ერთიანიდან ორიანზე, ორიანიდან სამიანზე რომ გადავდიოდით – უსასრულობაში ვმოძრაობდით. ეს სწორედ იმას მოწმობს, რაც შენ აღნიშნე – უსასრულობა და სასრულობა მსჭვალავენ ერთმანეთს. ამასთან, გაითვალისწინე: მათემატიკოსისთვის ეს მსჯელობა ელემენტარულია, დილეტანტს კი შეიძლება მისტიკად მოეჩვენოს.

– ეს მოითხოვს შეფარდებითის და აბსოლუტურის შეთავსებას – თუ არ ვცდები, ასე გვეუბნებოდნენ ლექციებზე. იმ ასპირანტმა, რომელიც მეცადინეობებს გვიტარებდა, ალბათ არ იცოდა, რომ ერთიანსა და ორიანს შორის მთელი უსასრულობა ძევს, თორემ მარტივად და ნათლად შეეძლო აეხსნა ეს ჩვენთვის. ეხლა კი გამოდის, რომ სამყარო ერთდროულად სასრულიც არის და უსასრულოც. მაგრამ ამ მოკლე ხანში ჩვენ იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ყველაფერი ამერია. მოდით მოკლედ შევაჯამოთ ის, რაც ვთქვით. ამის შემდეგ კიდევ ერთ შეკითხვას დაგისვამთ და თავს აღარ შეგაწყენთ.

– კარგი, კარგი. მართლაც დროა რაღაც დასკვნამდე მივიდეთ. მაგრამ იცოდე, ბოლოს მეც მექნება შენთან ერთი შეკითხვა. შემდეგ კი დავემშვიდობებით ერთმანეთს.

– კეთილი და პატიოსანი. მაშ შევაჯამოთ ჩენი საუბარი.

– რეზიუმე არც თუ ისე ძნელი ჩამოსაყალიბე-

ბელია. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეხედულება სამყაროს უსასრულობაზე ყოვლად უსაფუძვლოა და არაარგუმენტირებული. იგივე ითქმის მეორე ვარაუდზეც – სამყაროს სასრულობაზე. ის აზრი, რომ იგი ერთდროულად სასრულიცაა და უსასრულოც, და რომ არსებობის ეს ორი ფორმა ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არის, ასევე უმწიფარი და დაუსაბუთებელია; ჭეშმარიტი არც ის დებულებაა, რომ უსასრულობა და სასრულობა ერთი და იგივეა, მათ შორის არავითარი განსხვავება არაა, მით უმეტეს, რომ ამით ჩვენ დავარღვევთ სტრუქტურის პრინციპს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსასრულობა ერთი სახის არაა, არსებობს მისი რამდენიმე ტიპი. ამ ტიპებს თუ არ გავეცნობით, უნაყოფო იქნება საუბარი უსასრულობისა და სასრულობის ერთიანობაზე. გასაგებია?

– ყველაფერი ცხადია, ერთი შეკითხვაც მინდა მოგცეთ, რომელიც, ჩემი აზრით, უკანასკნელი იქნება. მე ხომ თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ აზროვნება მესწავლა. მაგრამ ჩვენ თემას გადავუხვიეთ – ზოგადად აზროვნებაზე კი არ დავიწყეთ მსჯელობა, არამედ მის ერთ სპეციფიკურ გამოვლინებაზე, სამყაროს სტრუქტურაზე. თვით აზროვნება კი გვერდზე დაგვრჩა? განა ამისათვის მოვედი თქვენთან.

– თუ მხოლოდ ესღა გაქვს გაურკვეველი, აი, რას გეტყვი. შეგიძლია ბოლომდე შეიცნო რაიმე საგანი ისე, რომ არ გამოყო იგი სხვა საგნებისგან?

– რა თქმა უნდა, არა.

– თუკი გამოყოფ, ეს ნიშნავს, რომ გარკვეულად აიგივებ კიდეც, უკიდურეს შემთხვევაში აერთიანებ ამ საგნებს.

– სხვაგვარად ხომ ქაოსი დაისადგურებს?

– როგორ მოიქცევი, თუ ეს საგნები არ ერთიანდებიან?

– ამ შემთხვევაში წამოიჭრება წინააღმდეგობა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიხსნას. განა შეიძლება საგანი შეიცავდეს თავის უარყოფას. ეს ხომ ხელს შეუშლის მასზე სწორი აზრის ჩამოყალიბებას?

– სწორია. ამასთანავე ეს წინააღმდეგობები მხოლოდ ასეთი ტიპის როდია: „თეთრი“ და „არათეთრი“. გვხვდება მათი სხვა სახეც, მაგალითად „თეთრი“ და „შავი“. თუმცა მათი დაძლევა სულ ადვილი საქმეა. აი, როგორ. მე წარმოვთქვამ სიტყვას „ფერი“ იგი გააერთიანებს „თეთრსაც“, „შავსაც“ და სხვა ნებისმიერ ფერსაც. აი, ამ გზით მოიხსნება წინააღმდეგობა.

– მაშასადამე, საგნის შეცნობა ნიშნავს გარემოდან მის გამიჯვნას, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია მისი შერწყმა ამავე გარემოსთან, რათა ამ გზით დავძლიოთ წინააღმდეგობანი, ურთიერთდაპირისპირება.

– ყოჩაღ. სწორად მსჯელობ. მაგრამ აზროვნებისათვის არც ესაა საკმარისი. ამისათვის საჭიროა უპასუხოდ არ დარჩეს არც ერთი „რატომ“? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა შესაძლო წინააღმდე-

გობის დაძლევა, დაპირისპირებათა მოხსნა ნიშნავს პასუხის გაცემას. მაგრამ ანტინომია – „თეთრი“ და „შავი“ ცნება „ფერით“ რომ გავაერთიანოთ, ამისთვის გარკვეული საფუძველი დამჭირდება. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ აზროვნება მოითხოვს გარკვეული საფუძვლების დადგენას და მათგან მომდინარე შედეგების გათვალისწინებას?

– ოო, შესანიშნავია! სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ უსასრულობისა და სასრულობის ერთიანობა არის მხოლოდ ცალკეული პრობლემა, რომელიც გადაჭრას მოითხოვს.

– შენ თუ მხოლოდ აღძრავ პრობლემებს, ეს არ იქნება გამოსავალი. პრობლემა თავის თავში უნდა შეიცავდეს გადაწყვეტას. იგი მხოლოდ პრინციპია აზროვნებისა და არა შედეგი.

– უდავოა! – თქვა ჩალიკოვმა აღტაცებით – ზუსტად ასეა: სულ პრობლემები და სულ მათი გადაწყვეტის გზების ძიება. აი, ეს მესმის. ეს უკვე ნიშნავს რაღაცას, აქ იწყება აზროვნება.

– ასეა. – ვთქვი მე დამამშვიდებელი ტონით. – მაგრამ საბოლოოდ ერთი რამ მინდა გკითხო: როგორ ფიქრობ, პრობლემები ყველგან და ყოველთვის ერთიდაიგივეა?

– არა, ეს როგორ შეიძლება? პრობლემები, ცხადია, ათასგვარია.

– ესე იგი შენ აღიარებ პრობლემათა სხვადასხვაობას. მაგრამ აი, რა გამოდის. შენ მე მომმართე თხოვნით მესწავლებინა ზოგადად აზროვნება

და არა ერთი რომელიმე ცალკეული მეცნიერება. ჩვენ გვსურდა გაგვეცურა აზრის უნაპირო ოკეანეში. განა ეს შესაძლებელია ისტორიის ცოდნის გარეშე?

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ ისტორიული პრობლემატიკის გარეშე?

– აქ უპირველესად მნიშვნელოვანია ისტორიული ჰორიზონტები. ამის გარეშე ზღვაში ვერ შევცურდებით. ჩვენ საუბრის დასაწყისში გავიხსენეთ დროისა და სივრცის ნიუტონისეული განსაზღვრება, რომელიც შენ ძალზე ბუნებრივად გეჩვენა. მაგრამ იცი თუ არა, რომ ეს კონცეფცია იყო შედეგი XVII საუკუნეში ფილოსოფიური აზრის ისტორიაში მომხდარი რევოლუციისა. დეკარტემდე არავის მოსვლია აზრად პირველ პლანზე დაეყენებინა აზროვნება, ხოლო მეორეზე – ყოფიერება. აი, დეკარტემ კი ირწმუნა არა ობიექტური სინამდვილე, არამედ მიენდო სუბიექტს – თავის თავს. მაგრამ, რადგანაც ადამიანი, როგორც სუბიექტი, არამყარია და მუდამ მერყეობს, დეკარტემ ამოსავალ წერტილად მიიჩნია პირადი, ადამიანური დაეჭვება. საჭიროა ყველაფერში ეჭვის შეტანა ამბობდა იგი. მაგრამ დაეჭვება ნიშნავს აზროვნებას, აზროვნება კი არსებობას და აი, დეკარტე მივიდა დასკვნამდე: „ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ“. ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია არა თვით სამყარო, არამედ ის, თუ რა აზრის ვართ ჩვენ მასზე, ხოლო ადამიანი, როგორც ინდივიდი, საყურადღებოა

არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც იგი აზროვნებს. მაშასადამე, სამყაროში არაფერი არ არის რეალური, არაფერს არ გააჩნია თავისი სუბსტანცია, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს აზრზე, ჩვენს სუბიექტურ შეხედულებებზე. აი, ეს არის ისტორიული პრობლემა. ამიტომაც თუ შენ მართლაც გსურს აზროვნება ისწავლო, უნდა გაეცნო აზროვნების, ესე იგი ფილოსოფიის ისტორიას. მხოლოდ მაშინ გადაიშლება შენს თვალწინ ისტორიული სურათების მთელი გალერეა, მსოფლმხედველობათა განვითარების პანორამა. მხოლოდ ამ გზით მოახერხებ შეცურო უნაპირო ოკეანეში. სხვაგვარად მეჩხერ მდინარეში აღმოჩნდები, რომელიც ცურვის ცოდნას არც მოითხოვს და მასში ბავშვსაც კი შეუძლია შესვლა.

— უკაცრავად — კვლავ აბუტბუტდა ჩალიკოვი — გამოდის, რომ მე გადავჭერი ერთი პრობლემა, რათა კვლავ ახალი წამომეჭრა და ასე უსასრულოდ.

— ასეც უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ოკეანე მართლაც უსაზღვროა. მის სიღრმეებში ცურვა არც ისე საშიშია, თუ საორიენტაციოდ ავირჩევთ ნაპირს, ცის თაღს, ან ვარსკვლავთა განლაგებას და საერთოდ ყველაფერს, რითაც მეზღვაურები სარგებლობენ. ამიტომაც ყოველგვარი შიშისა და ყოყმანის გარეშე გადაეშვი წყალში! კვლავ მოდი ჩემთან, დაახლოებით, ორი, სამი თვის მერე, გაეცანი ყველაფერს, რაც დროისა და სივრცის, უსასრულობისა და სასრულობის შესახებ უთქ-

ვამთ ძველებს. გეტყვი, როგორ უნდა იპოვო ეს მასალები, მაგრამ დაიმახსოვრე, რომ ჩვენ ვლაპარაკობდით ცრურწმენებზე და თითოეული ეპოქის სპეციფიკაზე. ჯერ შეკრიბე ყველა მასალა შენთვის საინტერესო ეპოქაზე და ისე დაალაგე, რომ გამოავლინო საერთო პრინციპი, სპეციფიკური პრობლემები, შემდეგ კი ჩამოაყალიბე პასუხები, რომელთაც მოცემული ეპოქა იძლევა შენს პრობლემაზე.

– დიდი მადლობა, სწორედ ასე მოვიქცევი. წავალ, ვიფიქრებ. შემდეგ კი ნება მომეცით მოვიდე და მოგახსენოთ შედეგები.

– იფიქრე, ჩალიკოვო, იფიქრე. აბა ნახვამდის.

– ნახვამდის – დამემშვიდობა აღელვებული ჩალიკოვი. – კმარა სახელმძღვანელოებზე დაყრდნობა. დროა თვითონაც ავიტკივო თავი.

ადამიანები სხვადასხვა ტიპის ინფორმაციებს ცვლიან გაგებინების სხვადასხვა დონეზე. ცნობილია, რომ ურთიერთობის პროცესი არ ამოიწურება ზეპირი ან წერილობითი შეტყობინებით. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ემოციათა გამომჟღავნებას, პარტნიორთა მანერებს, მათ ჟესტებს. ხდება ხოლმე, რომ თქვენს მიერ გადაცემულ ამბავს არასწორად იგებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას თან დაურთეთ სრულიად „საპირისპირო" ჟესტები. ჟესტებზე დაკვირვება საკმაოდ მარტივია, მათი ინტერპრეტაცია კი – გაცილებით რთული.

ჟესტების გაგება განსაკუთრებით ძნელია იმ

შემთხვევაში, როცა რამდენიმე ელემენტი ამოვარდნილია კონტესტიდან, მთლიანობა იქნება მაშინ, როცა ყველა ჟესტი კომპოზიციურად თავის ადგილს იკავებს.

თითოეული ჟესტი სიტყვის ტოლფასია. ადამიანი აზრის გადმოსაცემად სიტყვებს აკავშირებს წინადადებაში, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. იგივე ითქმის ჟესტებზეც. ჟესტთა ურთიერთშერწყმა–შეთანხმებით ცოდნა საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად გავიგოთ ადამიანის პოზიციაც. ჟესტის კითხვა ის უკუკავშირია, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ურთიერთობის მთლიან პროცესში, ჟესტური ჯგუფები კი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია უკუკავშირისა. ისინი გვიჩვენებენ, თუ ყოველ წუთს, ერთი მოძრაობიდან მეორემდე როგორ რეაგირებს ადამიანი მომხდარ მოვლენაზე. შეგვიძლია გავიგოთ, მივხვდეთ, თუ როგორ შეხვდებიან ჩვენს ნათქვამს – კეთილგანწყობით თუ მტრულად, როგორია ჩვენთან მოსაუბრე გულახდილი თუ გულჩახვეული, თვითკონტროლითაა დაკავებული თუ მოიწყინა და ინტერესი დაკარგა. ორატორები ამას აუდიტორიისკენ ან ჯგუფისკენ მიმართულობის გრძნობას უწოდებენ. უსიტყვო უკუკავშირმა შეიძლება დროზე გვიკარნახოს, როგორ შევცვალოთ ჩვენი საუბარი, თუკი გვსურს საჭირო შედეგის მიღწევა.

განვიხილოთ ჟესტების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის პოზიციას ურთიერთობისას.

გულახდილობა. გულახდილობის გამომსახველ ჟესტებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი.

ხელების გაშლა ეს არის ჟესტი, რომელსაც (ხელისგულებით ზემოთ) უმრავლესობა გულწრფელობისა და გულახდილობის ნიშნად მიიჩნევს. ამ ჟესტს განსაკუთრებით ხშირად იყენებენ იტალიელები. აღელვებისას ისინი ხელისგულებს მკერდზე იწყობენ, თითქოს გეკითხებიან – რა გნებავთ ჩემგანო. გაშლილ ხელებს ხშირად თან ახლავს მხრების აჩეჩვაც. მსახიობები ამ ჟესტს მიმართავენ არა მარტო ემოციების გამოსახატავად, არამედ იმისთვისაც რომ, საუბრის დაწყებამდე, წინასწარ გვიჩვენონ პერსონაჟის გულღია, ლაღი ბუნება. დააკვირდით ბავშვებს, როცა უხარიათ, ემაყებათ თავიანთი წარმატება, ისინიც ხელებს შლიან. მაგრამ როცა თავს დამნაშავედ გრძნობენ, ან რაღაც სიტუაციას შეშინებულნი აკვირდებიან, მაშინ ხელებს ჯიბეში, ან ზურგსუკან მალავენ.

პიჯაკზე ღილის გახსნა. გულახდილი და მეგობრულად განწყობილი ადამიანი საუბრის დროს ისხნის პიჯაკის ღილს, ან სულაც იხდის მას მოსაუბრის თანადასწრებით.

კვლევის დროს ვიდეომაგნიტოფონზე ჩავიწერეთ ურთიერთმოქმედების რამდენიმე ვარიანტი.

მათმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ უფრო ხშირად ის ადამიანები აღწევენ შეთანხმებას, პოულობენ საერთო ენას ვისაც პიჯაკის ღილები გახსნილი აქვთ. ისიც აღსანიშნავია, რომ გულხელდაკრეფილთ – თავდაცვის ჟესტის მქონეთ – პიჯაკის ღილებიც შეკრული ჰქონდათ. და თუ რომელიმე მათგანი აზრს იცვლიდა სასიკეთოდ, მყისვე ხელებს შლიდა და თავისდაუნებურად პიჯაკის ღილსაც იხსნიდა. თუ მოახერხებთ და ამ მომენტში, ამ მდგომარეობაში დააყოვნებთ თქვენს თანამოსაუბრეს, მოლაპარაკების მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

ხშირად, როცა მოლაპარაკების პროცესი წარმატებას გვპირდება, აღინიშნება ჟესტური ჯგუფი „გაერთიანება“. მსხდომი მონაწილენი იხსნიან პიჯაკის ღილებს, წინ იწვდიან ფეხებს და სკამის კიდეზე სხდებიან, რათა მიუხალოვდნენ მაგიდას, რომელიც თანამოსაუბრისგან აშორებთ. ჟესტების ამ ნაერთს, უმეტესად, თან ახლავს ცნობა შესაძლო შეთანხმებაზე, გადაწყვეტილებაზე ან ერთობლივი მუშაობით მიღებულ საერთო დადებით შთაბეჭდილებებზე.

თავდაცვა. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ჟესტები, რომლებითაც ადამიანი რეაგირებს მოსალოდნელ მუქარაზე, კონფლიქტურ სიტუაციაზე.

მკერდზე გადაჯვარედინებული ხელები. გადაჯვარედინებული ხელების პოზიცია ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავდაცვას გამოხატავს.

ჩვენს მიერ კვლევის საგნად ქცეული ყველა ინდიკატორიდან, ყველაზე მარტივად ეს ჟესტი „იკითხება“. ეს ჟესტი მოქმედებს დამსწრეთა ქცევაზე. თუ ოთხკაციან ან უფრო დიდ ჯგუფში ხართ და ხელებს გადააჯვარედინებთ, იცოდეთ, რომ ჯგუფის სხვა წევრებიც თქვენს მაგალითს მობაძავენ. ამ დროს ძალიან ადვილია ჯგუფის დაყოფა ნაწილებად და მათი დაყოლიებაც – მიიღონ სასურველი პოზიცია. სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის, რომ როცა მისი თანამოსაუბრე ხელებს გადააჯვარედინებს, ამით სიგნალს იძლევა – თავდაცვით პოზიციაში გადავდივარო. მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ნახვისას ხვდებიან თავიანთ შეცდომას. იმის ნაცვლად, რომ ოპონენტის გულახდილობა გამოეწვია, როცა მის მოთხოვნებს ეცნობოდა, მოლაპარაკების მონაწილე აგრძელებს არასწორ კურსს, რომელსაც თავდაპირველად ოპონენტის თავდაცვითი რეაქცია მოჰყვა. ხშირად ადამიანი აქტიურად იშორებს თანამოსაუბრეს, რომლის დაახლოებაც უნდოდა. მაგრამ თუ ყურადღებიდან არ გამორჩა სიგნალი – გადაჯვარედინებული ხელები, მაშინ მიხვდება, რომ საქმე გამწვავებულია და შეეცდება მისი გამოსასწორებელი გზის მოძებნას. ეს აუცილებელია, რათა პარტნიორი არ გაექცეს, არ დაეკარგოს.

არის ისეთი სიტუაციაც, როცა თავს იჩენს დაეჭვება, ადამიანი თავს იცავს ან ზედმეტ სიმშვიდეს იჩენს (როგორც თვითონ ამტკიცებს). ამ დროს საჭიროა დააკვირდეთ მის ხელებს. თავისუფლად

უჭირავს, თუ მუშტად აქვს შეკრული მისი თითები ისე ჩასჭიდებიან კუნთებს, რომ სახსრები გათეთრებია, ეს თავდაცვითი პოზა წააგავს ნევროზული ან ფრენას მიუჩვეველი მგზავრის პოზას, რომელიც თვითმფრინავში სავარძლის სახელურებს ჩასჭიდებია.

შეფასება. ხშირად არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ ჟესტს, რომელსაც შეიძლება შეფასების ჟესტი ვუწოდოთ. იგი ფიქრს ან ოცნებას ემთხვევა. ჟესტების ცოდნა და კითხვა ძალიან სჭირდება მასწავლებელს. განვიხილოთ ასეთი სიტუაცია: ვთქვათ, მათემატიკის მასწავლებელი ხსნის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ დროს ხედავს, რომ ერთი მოსწავლე თვალმოუშორებლად უყურებს, დაძაბული და გაჭიმული ზის, ფეხები ძლიერ დაუბჯენია იატაკისათვის. თქვენი აზრით, უსმენს მასწავლებელს? ყურადღებად არის ქცეული? ახალბედა მასწავლებელი, რომელიც შეუჩვეველია ან არ იცნობს ასეთ პოზას, შეიძლება მოტყუვდეს, გამოცდილს კი არაფერი შეეშლება. ის მიხვდება, რომ მოსწავლე გამოთიშვია გაკვეთილს, არც ესმის მასწავლებლის საუბარი, მაგრამ ინიღბება, ვითომ დიდ დაინტერესებას იჩენს.

გამოცდილი, ჟესტის მცოდნე მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს ამ მოსწავლის ტრანსს და მიმართავს მეორეს, რომელიც სკამის კიდეზე ჩამომჯდარა, წინ წამოწეულა, თავი ოდნავ დაუხრია და ხელებს ეყრდნობა. მასწავლებელი არ შემცდარა. აი, ნამდვილად ვის აინტერესებს საუბრის თემა.

ხელის ლოყაზე მიბჯენა. ოგიუსტ როდენის, დიდი სკულპტორის მიერ ჟესტების ენის ღრმა ცოდნა გამოვლინდა მის ცნობილ ქანდაკებაში „მოაზროვნე". მისი შემხედვარე არ შეიძლება მაშინვე არ მოხვდეს, რომ ეს არის სკულპტურული გამოსახულება ადამიანისა, რომელიც ღრმად არის ჩაფიქრებული, აზროვნებს.

როცა ადამიანი იღებს მდგომარეობას, რომელიც აღინიშნება „კრიტიკული შეფასების ჟესტთა ჯგუფით", მას ხელი მაქვს სახისკენ, ნიკაპით ეყრდნობა ხელისგულის ნაწილს, საჩვენებელ თითს ლოყაზე იდებს, სხვა თითებს კი ტუჩის ქვემოთ.

სემინარებზე ვაკვირდებოდით პოზას – „ხელი ლოყასთან". თუ სემინარს ესწრებოდა 50 მონაწილე, პირველ 15 წუთს – განსაკუთრებით „უსიტყვო" კომუნიკაციის დემონსტრირების მომენტში – უკიდურეს შემთხვევაში 30 მიიღებს ერთ–ერთ პოზას ჯგუფიდან – „ხელი ლოყასთან". მათგან დაახლოებით ნახევარს აინტერესებს საუბარი, ისინი ოდნავ წინწამოწეულები სხედან. მეორე ნახევარს კი უკავია პოზიცია: „ნუ ვიჩქარებთ – დავუკვირდეთ, ვნახოთ"... ისინი მშვიდად სხედან და ოდნავ სკეპტიკურად ისმენენ საუბარს. დანარჩენი 20 მსმენელი შეიძლება უხეშად დავყოთ ორ ნაწილად. ერთში იქნებიან ისინი, ვინც გადაჯვარედინებული ხელებით სხედან („აბა ერთი ვნახოთ„) და მეორეში ისინი, ვინც სკამის კიდეზე სხედან, იდაყვები გვერდებზე მიუბჯენიათ, ხელები თავისუფლად ჩამოუშვიათ („შესანიშნავია„!) ჩვენი მიზანია

ასეთი პოზით გამოხატული შეფასება ინტერესად ვაქციოთ.

დახრილი თავი. ჩარლზ დარვინი ადრეულ გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ ცხოველებიც ადამიანებივით თავს ოდნავ ხრიან, როცა რაიმე საინტერესო ესმით. ქალები ბავშვობიდანვე ინსტინქტურად ხვდებიან ამ ჟესტის მნიშვნელობას. გოგონები, ხშირად, თავისდაუნებურად მიმართავენ ამ ხერხს, როცა სურთ თავი მოაწონონ ბიჭებს და თითქმის ყოველთვის მიზანს აღწევენ.

როცა ვხედავთ, რომ მსმენელთა უმრავლესობას თავი არა აქვს დახრილი, ვასკვნით, რომ ჯგუფი მთლიანად ვერ დავაინტერესეთ მიწოდებული მასალით. თუ ორატორი, ან მასწავლებელი იცნობს ამ ჟესტის მნიშვნელობას, მას შეუძლია საუბრის თემა ან მისი მიმართულება შეცვალოს, და მერე შეამოწმოს კიდეც შედეგი. ეს განსაკუთრებით ვრცელი მასალის მოკლე დროში გადაცემისას არის საჭირო ელექტრული ჯაჭვი რომ გადაიტვირთოს, შეიძლება გადახურდეს თორემ მეტ ენერგიას მაინც ვერ გაატარებს. ადამიანსაც იგივე ემართება ინფორმაციით გადატვირთვის დროს. მათ ყურადღების უნარი უქვეითდებათ, იცვლება ჟესტების ჯგუფიც. თავი პირდაპირ უჭირავთ და არა გვერდულად, ზურგს ხან გამართავენ, ხან მოიხრებიან, იწყებენ ჭერის, საათის, ამხანაგების თვალიერებას, ბოლოს ზოგი კარისკენაც კი მიბრუნდება. თუ ჯგუფი ამ სტადიამდე მივიდა, მასწავლებელი უნდა მიხვდეს, რომ ეს არის საგანგაშო ნიშანი. „კმარა!"

ნიკაპზე ხელის შეხება. ეს ჟესტი ნიშნავს, „მოდით, ერთად ვიფიქროთ“, გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში და ვლინდება მაშინ, როცა ადამიანი გადაწყვეტილებას ღებულობს. ჯერ კიდევ დარვინი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვანაირი ადამიანები მთელ ქვეყანაზე, გარკვეულ სიტუაციაში, ზუსტად ერთნაირად იქცევიან. ხელს იკიდებენ წვერზე, ცერითა და საჩვენებელი თითით ეხებიან სახეს და, როგორც წესი, ზედა ტუჩს. ჰუნრი სიდონსის „რიტორიკულ ჟესტებში“ ნათქვამია: „ეს ჟესტი აღნიშნავს, რომ ბრძენი კაცი ბჭობს“. ამ ჟესტს ხშირად მიმართავენ მსახიობები სცენაზე, განსაკუთრებით შექსპირის თეატრში, როგორც წესი, მას ახლავს ტექსტი, რომელიც გამოხატავს დაკვირვებას, ანალიზს. ჭადრაკის მატჩის დროს შეიძლება ეს ჟესტი შევნიშნოთ იმ მოთამაშეს, რომელმაც მომდევნო სვლა უნდა გააკეთოს. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას მიიღებს, ხელის მოძრაობა წყდება – და არა იმიტომ, რომ ხელი ფიგურის გადასაადგილებლად დასჭირდა. ამ ჟესტით სარგებლობს ბევრი საქმიანი ადამიანი, თუმცა შეფარვით, ზოგჯერ ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით. ამ ჟესტის შესატყვისი გამომეტყველებაა ოდნავ მოჭუტული თვალები, ადამიანი თითქოს ცდილობს განმარტოვდეს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

ჟესტები სათვალით. მეტად გავრცელებული ვარიანტია, როცა ნელა და ფრთხილად იხსნიან სათვალეს და საგულდაგულოდ წმენდენ მინებს,

საჭიროა თუ არა ეს. ზოგიერთი ამ რიტუალს საათში 4–5–ჯერ მაინც ასრულებს. ჩვენ ამ ჟესტს პირობითად ვუწოდეთ „პაუზა მოსაფიქრებლად“. ადამიანს სურს დროის მოგება, სანამ გადაჭრით უარყოფს წინადადებას ან ახსნა–განმარტებას მოითხოვს. დროის მოსაგებად მსგავს ჟესტს მიმართავენ, როცა იხსნიან სათვალეს და პირში იდებენ მისი რქის ბოლოს. ამ დროს, ბუნებრივია, ადამიანი ვერ ილაპარაკებს. მას მხოლოდ მოსმენა შეუძლია. ზოგჯერ ხელში აიღებენ რაიმე ნივთს – კალამს ან ფანქარს და მას ტუჩებით ეხებიან, ან კვნეტას უწყებენ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანს ესაჭიროება დამატებითი ინფორმაცია.

ბოლთის ცემა. ბევრი მიმართავს ამ ხერხს რთული პრობლემის ან რთული გადაწყვეტილების მიღებისას, ეს საკმაოდ პოზიტიური ჟესტია. მაგრამ ამ დროს ადამიანს არ უნდა გამოველაპარაკოთ. ამით შეიძლება აზრი გავაწყვეტინოთ, ხელი შევუშალოთ მოფიქრებაში, ბევრ მოლაპარაკებას მოჰყოლია წარმატება იმის შედეგად, რომ საუბრის ერთ–ერთი წევრი დუმდა და მოთმინებით აღვსილი შესცქეროდა მეორის ბოლთის ცემას.

წარბების შესაყარზე ხელის მოკიდება. ამ ჟესტს, როგორც წესი, თან ახლავს დახუჭული თვალები და მიგვანიშნებს დაძაბულ ფიქრსა და აზროვნებაზე. შინაგანი კონფლიქტით დატვირთულმა ადამიანმა შეიძლება თავი დახაროს და წარბების შესაყარზე თითები მოიჭიროს, შესაძლოა იმის გამოსარკვევად – მართლა კრიტიკულ სიტუაცი-

აში ჩავარდა, თუ ეს ყველაფერი სიზმარში ხდება. ერთი ნაცნობი მუდამ ამ ჟესტით „გვატყობინებს“ საკუთარ გასაჭირზე. ამ დროს ჩვენ ვჩუმდებით და ველოდებით, როდის იტყვის რამეს. არ ვცდილობთ ამ მდგომარეობიდან გამოყვანას. პირიქით, გვესმის მისი გრძნობები და ველოდებით როდის გამოთქვამს აზრს.

ეჭვიანობა და გულჩახვეულობა

ერთ–ერთ შეხვედრაზე ჩვენი ერთი კოლეგა გულმოდგინედ ცდილობდა დაეფარა ჩვენი საწინააღმდეგო პოზიცია. როგორც კი მწვავე საკითხს შევეხებოდით, იგი მარცხენა ხელს ტუჩზე იფარებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვამდა აზრს. ჩვენ არ გვინდოდა მისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება და დავუსვით ისეთი შეკითხვები, რომლებიც საშუალებას მისცემდა „ადგილიდან დაძრულიყო“ და გამოემჟღავნებინა საკუთარი გრძნობები. ბოლოს, როცა გამოვიყენეთ ასეთი ტიპის კითხვა – „მართლა ასე ფიქრობთ?“ – გვიპასუხა, რომ სულის სიღრმეში არ გვეთანხმება – მისი ჟესტებიც ჩვენი მოსაზრებისადმი ძლიერ წინააღმდეგობას გამოხატავდა. ჩვენ რომ ამ ჟესტის კითხვა არ გვცოდნოდა, ვერ მივხვდებოდით, სინამდვილეში რას ფიქრობდა ოპონენტი და შეიძლება ისეთი გადაწყვეტილება მიგვეღო, რომელიც ბოლოს ყველასთვის საზიანო გამოდგებოდა. ბევ-

რი სიტყვით ამბობს იმას, რასაც, მისი აზრით, მისგან მოელიან. შემდეგში კი ღრმა უკმაყოფილებას განიცდის, ნანობს, რომ არ გაამჟღავნა ჭეშმარიტი გრძნობები.

როცა ადამიანი თვალს გარიდებთ, უნდა მიხვდეთ, რომ ის რაღაცას გიმალავთ. გულჩახვეულობის აშკარა ნიშანია შეუთანხმებლობა ჟესტების ჯგუფში. მომღიმარი, მტრულად განწყობილი, მაგრამ გულჩახვეული ადამიანი გამოხატავს შეუთანხმებლობას, მაგრამ ხელოვნური ღიმილით ცდილობს დარტყმის შესუსტებას. „შეიძლება მუდამ იღიმოდე და იყო ბოროტმოქმედი“ – ამბობს შექსპირი „ჰამლეტში“. ადამიანი, სპეციალური მომზადების გარეშეც, არავერბალური კომუნიკაციის სფეროში გრძნობს, როცა ვიღაცა „დამალობანას“ თამაშს იწყებს. აქ მთავარია ჯერ გამოვყოთ ჟესტები, რომლებიც ასეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, მერე კი დავადგინოთ, როგორ შეიძლება მივაღწიოთ სიტუაციის კონსტრუქციულ ცვლილებას.

მოცემული ჯგუფის ჟესტებია:

განზე მზერა. ხომ ეჭვიანობისა და დაეჭვების გამოხატულებად მიიჩნევთ ირიბად შემოხედვას? გამოთქმა „ცივი წყალი გადამასხა“ კარგად გამოხატავს ჟესტს, რომელსაც ვუკავშირებთ უნდობლობის პოზიციას. შეეცადეთ ზუსტად გაიხსენოთ შემთხვევა, როცა გეუბნებოდნენ ისეთ რამეს, თქვენ რომ არ მოგწონდათ, არ ეთანხმებოდით ან

უბრალოდ საეჭვოდ მიგაჩნდათ – თვალს ხომ არ არიდებდით ამ დროს მოსაუბრეს, როცა ამბობდით „რა გაქვთ მხედველობაში?“ ეცადეთ დაეხმაროთ შუახნის ქალს ქუჩის გადაკვეთისას და ზუსტად განსაზღვრავთ რას ნიშნავს თქვენგან 45 გრადუსით მიბრუნება. ეს არის მკაცრი, უსიტყვო – „არა გმადლობთ!“

კარისკენ მიბრუნება ფეხებით ან მთელი ტანით. არსებობს სიტუაციები, როცა ადამიანი მოულოდნელად იცვლის ადგილს და ისე ჯდება, რომ ფეხები კარისაკენ ექნება მიმართული. ეს ჟესტი აშკარა სიგნალია იმისა, რომ ადამიანს სურს დაამთავროს შეხვედრა. საუბარი, გაკვეთილი. პოზა მეტყველებს, რომ მას ძალიან უნდა წასვლა, მაგრამ ერთი საქმეა ამოიცნო ჟესტი და მეორე – მოიქცე შესაბამისად. ამ დროს ან სხვა საქმე უნდა დაიწყოთ, რომ მსმენელი დაინტერესდეს, მოგიბრუნდეთ, თქვენსკენ გადმოიხაროს ან ნება დართოთ – წავიდეს. საუბრის გაგრძელებას კი აზრი აღარ ექნება.

ხელქვეითი დაკვირვებულობას გამოიჩენს, თუ შეუძლია წაიკითხოს შეფის ჟესტი, რომელიც აღნიშნავს, რომ შეხვედრა დამთავრებულია. თუ თანამშრომელი იგებს ამ სიგნალს და დროზე გადის ოთახიდან, ამით სამსახურს უწევს უფროსს და ეს დაუფასდება კიდეც. მაგრამ თუ ის აყოვნებს შეფს, ეს უკანასკნელი შეიძლება აღშფოთდეს და ყური აღარ ათხოვოს ხელქვეითის თხოვნას.

ხელის მსუბუქი შეხება ცხვირზე. ეს ჟესტი ჩვე-

ულებრივ საჩვენებელი თითით სრულდება. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ცხვირზე შეხება ან ხელის მოსმა ორჭოფობის ნიშანია. სცადეთ და მოზარდს დაუსვით ისეთი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც გაუჭირდება და დააკვირდით, რა სწრაფად შეახებს საჩვენებელ თითს ცხვირს. ბევრი იცნობს ამ ყმაწვილურ ჟესტს, როგორც დაეჭვების გამოხატულებას, თუმცა, როცა იგივე სიგნალს იძლევა ორმოცი წლის კოლეგა ან მეზობელი, ამას თითქოს ვერ ვამჩნევთ.

ეს ჟესტი საკმაოდ ხშირად გვხვდება. მას იყენებს ბევრი ორატორი, როცა საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია, როგორ მიუდგეს საგანს, ან როცა ეეჭვება მსმენელთა რეაქცია.

გაფრთხილება მათთვის, ვინც ნებისმიერი ჟესტი შეიძლება აღიქვას, როგორც აბსოლუტი. ზოგჯერ ცხვირს იმიტომ ეხებიან, რომ მართლა ექავებათ(!) თუმცა დაეჭვების გამოსახატავ ჟესტს სხვა მანერა ახასიათებს, ეს არის ცხვირზე ხელის ოდნავი, მსუბუქი შეხება. მას ხშირად თან ახლავს ჟესტების ჯგუფი – სკამზე წრიალი, გვერდულად ჯდომა. ამ ჟესტის სახესხვაობაა ყურის უკან ან წინა მხარის სრესა, ან საჩვენებელი თითის შეხება, ან თვალების სრესა.

უფროსი და ხელქვეითი

საზრუნავის ტვირთი ისევე ამძიმებს სულს, როგორც ჩადენილი დანაშაული: ამიტომ საქმიან

კაცს ხშირად ისეთი გამოხედვა აქვს, ისეთივე სასოწარკვეთა, მოუთმენლობა და გრძნობათა ბრძოლა ახასიათებს, როგორიც დამნაშავეს.

უილიამ პეზლითი

ჟესტები, რომლებიც „ტერიტორიულ უფლებებს გამოხატავენ, ვლინდება უფროსისა და ხელქვეითის ურთიერთობებში.

უპირატესობა შეიძლება გამოჩნდეს მისალმების დროს ხელის ჩამორთმევის მანერაში. როცა ადამიანი მაგრად გართმევთ ხელს და ისე აბრუნებს მას, რომ მისი ხელისგული თქვენს ხელისგულს ზემოდან ექცევა, ამით გარკვეულ უპირატესობას გამოხატავს. როცა ხელს ისე გიწვდის, რომ ხელისგული ზემოთა აქვს, ამით გამოხატავს მზადყოფნას, მიიღოს ხელქვეითის როლი, თითქოს გეუბნება, თქვენი მონა–მორჩილი ვარო.

სემინარის მონაწილემ აღიარა, რომ არასოდეს აზრად არ მოსვლია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმას, რომ „გვერდით არ დაუდგე, ზემოდან არ დახედო თანამოსაუბრეს, როცა ის ზის, რადგანაც ამით იძულებულს ხდი თავი პატარა კაცად იგრძნოს, ეს მდგომარეობა თქვენს უპირატესობად აღიქმება“. მან „აღმოაჩინა“, რომ ბევრს თრგუნავს და ანერვიულებს მოსაუბრის ასეთი პოზიცია.

ხშირად უფრო დიდ როლს ასრულებს გამომეტყველება „უფროსი – ხელქვეითი“, ვიდრე ჟესტი. მაგალითად, წარბის აწევა, თავის ოდნავ დახრა და ჭკვიანი მზერა, ასე უყურებს უფროსი ხელქ-

ვეითს, როცა არ ეთანხმება მის იდეებს. უფროსს ხშირად შეუძლია თავი აარიდოს ხელქვეითს და ასე აგრძნობინოს, რომ საუბარი დამთავრებულია.

როცა ხელქვეითი ვერ იგებს სიგნალს, უფროსი საათს დახედავს, თუ ვერც ამით მიახვედრებს რამეს, შეიძლება ადგეს, შეაგროვოს მაგიდაზე გაშლილი ფურცლები, ვითომდა შესანახად, და მერე კი შეიძლება პირდაპირ კითხოს – ნუთუ მეტი საქმე არა გაქვსო, ან უფრო დიპლომატიურად მოიქცეს და უთხრას, უკვე სხვა შეხვედრის დროაო. ჩვეულებრივ, საქმე ასე არ რთულდება ხოლმე. უხეშობას შეიძლება ორმხრივი პატივისცემის დაკარგვა მოჰყვეს. ხელქვეითი ისეთი გრძნობით გადის ოთახიდან, თითქოს გაასულელეს და საკუთარ თავზე ბრაზდება, დროზე რომ ვერ მიხვდა სიგნალს.

ხელმძღვანელი, რომელსაც აშკარად ბევრი პრობლემა აწუხებს. სამსახურში რომ მიხვალთ, შეფი თუ ასეთ მდგომარეობაში ნახეთ ალბათ, მაშინვე მიხვდებით, რომ საჭიროა მარტო დატოვოთ, მითუმეტეს თუ სერიოზული საკითხი გაქვთ გასარჩევი. ჟესტის წაკითხვა მიგახვედრებთ, რომ თუ გსურთ საჭირო შედეგს მიაღწიოთ, საჭიროა საქმის გადადება.

ხელმძღვანელი, რომელიც უფრო მოშვებულ პოზაშია, ვიდრე მჯდომარე ხელქვეითი. ხელი დაუდევრად ჩაუყვია პიჯაკის ჯიბეში, ცერა თითი ჯიბის გარეთ აქვს. – ეს კიდევ ერთი ჟესტია, რომელიც გამოხატავს თავდაჯერებულობასა და

უპირატესობის შეგრძნებას, ეს ჟესტი ბევრჯერ შევნიშნეთ მსხდომ თუ ფეხზე მდგომ ადამიანებს. ხშირად, როცა ამ მდგომარეობას შეჩვეული ორი ადამიანი ხვდება ერთმანეთს, ისინი ერთმანეთის პატივისცემით თავს იკავებენ ამ ჟესტისაგან.

უფროსი, რომელიც ხელქვეითებს მიმართავს, შარშან შესაძლებლობებზე ნაკლებს მუშაობდითო და მოუწოდებს გამოსწორდნენ, თორემ... მისი მოკუმშული მუშტი გამოხატავს ძალაუფლებას, ეს ჟესტი აძლიერებს სიტყვების მნიშვნელობას, ან უსიამოვნო ამბის მაუწყებელია. მოსაუბრე, აგრეთვე, ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ უპირატესობას იმით, რომ დგას და ხელქვეითებს ტუქსავს. შენიშნავთ, რომ პიჯაკი ყველას შეკრული აქვს და სახეზეც მკაცრი გამომეტყველება ეტყობათ.

ივარჯიშეთ ყოველდღე

„უსიტყვო" შეტყობინების ხელოვნების დაუფლებისათვის ისევე საჭიროა სწავლა, როგორც უცხო ენაში ენის გაწაფვისათვის. საკუთარი ჟესტებისა და იმ აზრის შეთანხმებაზე დაკვირვების გარდა, რომლითაც მიმართავთ აუდიტორიას, გირჩევთ ყოველდღე 10 წუთი მაინც დაუთმოთ. გარშემომყოფთა ჟესტების შეგნებულ კითხვას. ნებისმიერი შეკრება, თავყრილობა ასეთი „კითხვისათვის" შესანიშნავი „ფურცლები". თავყრილობებზე შეკრებილთა ურთიერთობებში, ჩვეულებრივად ისე

ინტენსიურია, რომ თითოეული „ხელის გულზე ატარებს" თავის გრძნობებს. ასე რომ, შენობიდან გასვლაც კი არ დაგჭირდებათ საშინაო დავალების შესასრულებლად. ჟესტების წასაკითხად ნოყიერ ნიადაგს იძლევა ტელევიზიაც, განსაკუთრებით ინტერვიუები და დისკუსიები. შეეცადეთ გაიგოთ რა ხდება, ისე რომ მხოლოდ გამოსახულებასა და მოსაუბრის გამომეტყველებას უყუროთ, ყოველ 5 წუთში ჩართეთ ხმა და შეადარეთ „ხმოვანი" შეტყობინება თქვენს მიერ ჟესტებით წაკითხულს.

ქართულ სკოლაში გადასვლასთან ერთად მერაბის ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა. ახალ გარემოში მისი ავტორიტეტი დაეცა. ის გაჭირვებით კითხულობდა ქართულად. ასეთ ვითარებაში რანაირად შეძლებდა სხვადასხვა საგნის დამოუკიდებლად მომზადებას? ამან გამოიწვია მისი მოწინავეთა რიგებიდან ჩამორჩენილებში გადანაცვლება. ახალი ამხანაგები ისეთი პატივისცემით არ ეპყრობოდნენ, როგორც მასთან თანშეზრდილი ბავშვები. მერაბი კი კლასში თვითდამკვიდრებისათვის იბრძოდა. ამ მიზნით იგი ხშირად აცინებდა ბავშვებს და რაკიღა სწავლით ვერ ახერხებდა, იუმორით ცდილობდა მათი ყურადღებით მიქცევას ბავშვის ამგვარი მცდელობა ცუდად გაიგო კლასის ხელმძღვანელმა, ვითარებას ალღო ვერ აუღო. მას ეჩვენებოდა, რომ მოზარდი გამომწვევად იქცეოდა, ცდილობდა მასწავლებლის გაბრაზებას. ამიტომაც ხშირად აძლევდა შენიშვნებს, სჯიდა, კლასიდან

აძევებდა. მერაბი მოზარდობის ასაკში იყო გადამდგარი და მასზე ერთობ შეურაცხმყოფლად მოქმედებდა პედაგოგის ასეთი დამოკიდებულება, მოუზომავი მიმართვები. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ბიჭმა მართლაც დაიწყო გამიზნული რეპლიკების წამოძახება გაკვეთილის მსვლელობის დროს, უკვე ცდილობდა გაებრაზებინა მასწავლებელი. დამრიგებელი ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, სწორად ვერ გაანალიზა შექმნილი სიტუაცია, არაფერი იღონა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად, ვერ იზრუნა ახალ გარემოსთან ბავშვის შეგუებაზე, ხელი ვერ შეუწყო ყმაწვილს, საბოლოოდ კი დაუკარგა სკოლაში მისვლის ხალისი. ამაში გარკვეულწილად ოჯახსაც მიუძღვის ბრალი. მამა ძველებურ მოთხოვნებს უყენებდა შვილს სკოლის გამოცვლის შემდეგაც, თუმცა იცოდა, რომ იგი გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

ერთადერთი ადამიანი, ვინც საღად აფასებდა ვითარებას, განიცდიდა ბავშვის მდგომარეობას და გამოსავალს ეძებდა, გახლდათ მერაბის დედა.

რეკომენდაციები. უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ბავშვისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, მისთვის სწრაფი კითხვის სწავლება. აუცილებლობა მოითხოვდა მერაბს ყოველდღიურად ეკითხა. დედას სხვადასხვა გზითა და საშუალებებით უნდა მოეხერხებინა, რათა ყმაწვილს ეკითხა საგაზეთო სტატიები, „ნიანგის“ იუმორისტული მასალები და სხვ.

ჩენ კი, მერაბი დავიბარეთ და ვუთხარით, რომ დაინტერესებული ვართ მისი 6 წლის ძამიკოს ბედით; გვაინტერესებს, როგორ და რამდენად სწრაფად ისწავლის კითხვას, როგორ წარიმართება მისი საერთო განვითარება. ამიტომ ვთხოვეთ, უმცროსი ძმა სკოლისათვის მოემზადებინა, ესწავლებინა კითხვა და ყოველდღიურად თითო ზღაპარი მაინც წაეკითხა მისთვის. შევთანხმდით, რომ შედეგებს თვითონ შეგვატყობინებდა.

საგანგებოდ ვესაუბრეთ კლასის დამრიგებელს, რომელიც ამჟავნებდა ყმაწვილის ფსიქოლოგიის უცოდინრობას. დავეხმარეთ მას სიტუაციის ადეკვატურ შეფასებასა და გაანალიზებაში; გავარკვიეთ მათი კონფლიქტების ნამდვილ მიზეზებში; შევეცადეთ ბავშვის პოზიციიდან დაგვენახვებინა შექმნილი ვითარება.

რაც შეეხება მერაბის მამას, საჭირო გახდა მისი დარწმუნება, რომ მერაბი ნერვიული ბავშვია და მას მყუდრო, თბილი ოჯახური ატმოსფერო ესაჭიროება.

პირველი შედეგები. მერაბმა კითხვა სამ თვეში ასწავლა ძმას, ამასთან, თვითონ დაეუფლა სწრაფ კითხვას, თუმცა ამაში დედასაც დიდი წვლილი მიუძღვის.

დამრიგებლის ახლებურ მიდგომას, მის მიერ გამოვლენილ კეთილგანწყობას მერაბი პირველ ხანებში უნდობლად ეკიდებოდა, მაგრამ დაძაბული

სიტუაცია თანდათან განიმუხტა, რადგანაც აღმზრდელი ახლა თავად ცდილობდა მოსალოდნელი თუ წარმოქმნილი კონფლიქტების აღმოფხვრას. მალე მერაბიც აღარ ერჩოდა მასწავლებელს და მათი ურთიერთობა მოწესრიგდა.

ჩვენი თხოვნით მამაც ბავშვს უფრო მეტი გულისხმიერებითა და ყურადღებით ეკიდებოდა. ყმაწვილმა სწავლას უმატა, სკოლაშიც ხალისით მიდიოდა.

ჯგუფური კორექციის მეთოდი.

პიროვნების ფორმირება ხდება ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. მათი ურთიერთობა ამა თუ იმ ჯგუფში (ოჯახი, სასწავლებლის კოლექტივი, თანატოლთა ჯგუფი) ხორციელდება ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნორმების, ღირებულებების, მაგალითების თანამიმდევრული შეთვისების გზით. ამდენად, სავსებით ლოგიკურია ჯგუფის გამოყენება არაადეკვატურ ურთიერთობათა, განწყობათა, ქცევათა ფორმებისა და რეაქციების კორექციის მიზნითაც.

ჯგუფური მეთოდების ფსიქოლოგიური პოტენციალი არ შემოიფარგლება ცალკეულ მონაწილეზე ჯგუფის ზემოქმედების გამოყენების შესაძლებლობით. ჯგუფურ მეთოდს მოეპოვება პიროვნების შინაგან სტრუქტურაზე ზემოქმედების ასპექტი. ჯგუფში თითოეულ ადამიანს თავისი რეალური ცხოვრებისეული სიტუაცია მოაქვს მოდელის სახით, ავლენს მისთვის დამახასიათებელ

ურთიერთობებს, განწყობებს. აქ მას საშუალება ეძლევა გარედან შეხედოს საკუთარ თავს, შეიგნოს საკუთარი ქცევა—ურთიერთობის არაპროდუქტიული ხასიათი, მივიდეს დასკვნამდე, რომ საჭიროა ურთიერთობების შეცვლა, შეითვისოს სრულფასოვანი ურთიერთობის ჩვევები, ემოციური რეაგირებისა და ქცევების უფრო ადეკვატური ფორმები.

ყოველივე ეს გვქონდა მხედველობაში, როდესაც შევიმუშავეთ მშობელთა ჯგუფებთან მუშაობის პროგრამა.

პროგრამა მიზნად ისახავდა ქცევის ფორმებისა და არაადეკვატური რეაქციების, ურთიერთობათა დარღვეული სისტემების კორექციას. მისი მიღწევა შეიძლებოდა ჯგუფის მიერ სწორი ზემოქმედების გზით პიროვნების ურთიერთობათა კომპონენტებზე: შემეცნებაზე, ემოციებსა და ქცევაზე.

ამ სამი სფეროს კონკრეტული ამოცანები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

1. შემეცნებით (ინტელექტუალურ) სფეროში ჯგუფის წევრმა უნდა:

ა) გააცნობიეროს კავშირი სხვადასხვა ფსიქოგენურ ფაქტორს შორის (ფსიქოტრავმები, კონფლიქტური სიტუაციები);

ბ) გაარკვიოს, რამდენად დიდია მისი როლი კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნაში, გამეორებასა და ხანგრძლივობაში; რა გზებით შეიძლებოდა კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება;

გ) გაარკვიოს საკუთარი განცდებისა და მოქმედების სიღრმისეული მიზეზები.

2. ემოციის სფეროში ჯგუფის წევრს შეუძლია:

ა) გულახდილობისა და ნდობის ატმოსფეროში თავისუფლად გააცხადოს გრძნობებთან დაკავშირებული მისი პრობლემები (რომლებიც ხშირად დაფარულია არა მარტო გარშემომყოფთა, არამედ საკუთარი თავისთვისაც);

ბ) მიიღოს ემოციური მხარდაჭერა, მოახდინოს თვითშეფასების სტაბილიზაცია, მეტი პატივისცემით მოეკიდოს საკუთარ თავს, შეიცვალოს ემოციური დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ;

გ) იქონიოს, განახორციელოს საკუთარ დამოკიდებულებათა ემოციურ განცდებსა და სხვებთან ურთიერთობებზე რეაგირების მოდიფიცირების შესაძლებლობა.

3. ქცევის სფეროში ჯგუფის წევრს შეუძლია მოახდინოს არაადეკვატური რეაქციებისა და ქცევის ფორმების კორექტირება (შემეცნებითსა და ემოციურ სფეროში მიღწევების საფუძველზე).

მშობელთა ჯგუფებთან მუშაობის პროგრამა ითვალისწინებდა:

ა) ლექცია–საუბრებს თემებზე: გარდამავალი ასაკის თავისებურებანი, აღზრდის პედაგოგიური სტილი, მშობელთა ტიპური შეცდომები, დასჯა–წახალისების მეთოდები და სხვა.

ბ) რთული პედაგოგიური სიტუაციების განხილვას;

გ) ქცევაში ვარჯიშს – როლების სიტუაციურ გათამაშებას.

ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამის პროდუქტიულობა დაგვიდასტურა აბრეშუმის საწარმოო ფაბრიკის გარდამავალი ასაკის ბავშვების მშობელთა ერთ ჯგუფთან ჩატარებულმა ექსპერიმენტმა.

მუშაობა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. I ეტაპზე მოვახდინეთ მშობელთა გარკვეული ცოდნით შეიარაღება. II ეტაპზე მშობლებს ვასწავლიდით საქციელის სწორად განსჯას, პრობლემური სიტუაციის მართებულად განხილვასა და შეფასებას. ამ მიზნით ჯგუფში მოგვქონდა გასარჩევი სიტუაციები, მაგალითად: ა) თქვენს თორმეტი წლის ბიჭს ჯიბეში უპოვეთ სიგარეტი, რას იზამთ? ბ)შვილი მეცამეტე წელშია. გაიგეთ, რომ 3 ორიანი გამოჰყვება სემესტრში, როგორ მოიქცევით? გ) 10 წლის ბავშვს აჩუქეთ საათი, რომელზედაც იგი ოცნებობდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თქვენთან მოდის ატირებული – საათი დაუკარგავს. როგორი იქნება თქვენი რეაქცია? 3) თქვენი წესიერი შვილი მოხვდა ცუდ წრეში, სწავლას უკლო, მორიდებლად ეწევა სიგარეტს, სვამს: რა ზომებს მიიღებთ?

აი, ასეთსა და მსგავს სიტუაციებს ვიხილავდით ჯგუფში. ყველა გამოთქვამდა აზრს, თუ როგორ მოიქცეოდა, ასაბუთებდა თავის არჩევანს; ბოლოს როდესაც სხვების აზრსაც ისმენდა ხვდებოდა, თუ

რა შეცდომას ჩაიდენდა, ასე რომ ემოქმედა. ზოგიერთ შემთხვევაში კი რწმუნდებოდა მის მიერ არჩეული გზის სისწორეში.

ამის შემდეგ ვიწყებდით ჯგუფის წევრთა პრობლემების განხილვას. აქ მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ, გაეგოთ, რომ სხვა ოჯახებსაც ისევე, როგორც მათ, აქვთ პრობლემები, სიძნელეები. თითოეული მშობელი გვაცნობდა მის ოჯახში არსებულ ამა თუ იმ რთულ სიტუაციას და იმასაც, თუ როგორ აპირებდა მის გადაჭრას. ჩვენ კი ყოველთვის ვცდილობდით პირდაპირი პასუხი კი არ გაგვეცა, არამედ ჯგუფის ყოველი წევრი ჩაგვერთო მსჯელობაში, მათი აზრი მოგვესმინა, სათანადო კომენტარებით მიგვეყვანა ისინი პრობლემების მართებულ გადაწყვეტამდე.

ამგვარად, ადამიანი ეცნობა სხვათა მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხთან (ქცევასთან) დაკავშირებით და ცდილობს გაიზიაროს უფრო მისაღები თვალსაზრისი. ამ შემთხვევაში მას საშუალება ეძლევა ერთმანეთს შეადაროს მისი და სხვისი თვალსაზრისები ამა თუ იმ რთულ სიტუაციასთან დაკაშვირებით და უფრო მისაღები და რაციონალური მოიმარჯვოს თავისი ყოველდღიურ აღმზრდელობით საქმიანობაში.

III ეტაპზე გრძელდებოდა მშობელთა საკუთარ თავზე (ე. წ. ქცევაში) ვარჯიში. განსაზღვრული იყო საქმიანი თამაშები, ანუ როლების სიტუაციური გათამაშება. საქმიანობის ეს ფორმა გან-

საკუთრებით სასარგებლო მაშინაა, როდესაც ჯგუფში შეიმჩნევა ზოგიერთი წევრის მიერ რეალურ პრობლემებზე მსჯელობისაგან თავის არიდების ტენდენცია, აბსტრაქტული მსჯლეობისაკენ სწრაფვა.

როლების სიტუაციური გათამაშება სასარგებლოდ მიგვაჩნია. მაშინაც, როდესაც ცალკეულ მონაწილეს უჭირს ამა თუ იმ პრობლემის, საკუთარი განცდების სიტყვიერად ჩამოყალიბება, გადმოცემა. არიან მშობლები, რომლებსაც პედაგოგიური განათლებაც აქვთ, ისიც იციან, როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ პრობლემურ სიტუაციაში, მაგრამ ასე მაინც არ იქცევიან. როლების გათამაშება მშობელს ქცევაში ვარჯიშის შესაძლებლობას აძლევს. ამავე დროს, ჯგუფს, რომლის წინაშეც ხდება გათამაშება, საშუალება ეძლევა გარედან დაინახოს თითოეული წევრი კონკრეტულ სიტუაციაში.

როლების გათამაშებას შემდეგნაირად ვახდენდით: ჯგუფის ყველა წევრი დავალების სახით იღებდა ერთსა და იმავე თემას, რაც რიგ–რიგობით უნდა გაეთამაშებინათ (პარტნიორს თვითონ ირჩევდნენ). საერთოდ კი თემები სხვადასხვაგვარი იყო, მაგ.: „ძნელი საუბარი“ – თითოეული წევრი ჯგუფის წინაშე გაითამაშებდა საუბარს, რომელიც რაღაც მიზეზით (ან თვით თემის სირთულის გამო, ან იმიტომ, რომ დაძაბული ურთიერთობა აქვს შვილთან) მისთვის რთული და არასასიამოვ-

ნოა; 2. „თხოვნა“ – ჯგუფის ყველა წევრს ყმაწვილისათვის უნდა ეთხოვა მათთვის მნიშვნელოვანი რამ ისეთ ვითარებაში, როცა ბავშვი სრულიადაც არ იყო განწყობილი ამ თხოვნის შესასრულებლად; 3. „მოთხოვნა“ – საჭირო იყო რაღაც მოეთხოვათ ბავშვისათვის, რომელსაც არ ჰქონდა მოთხოვნის შესრულების განწყობა; 4. „შერიგება“ – საჭიროება მოითხოვდა მშობლის შვილთან შერიგებას, რომლის წინაშეც იგი თავს დამნაშავედ გრძნობდა; 5. „წყენა“ – მშობელს უნდა გამოეთქვა წყენა (საყვედური) ბავშვის მიმართ, რომელიც თვლიდა, რომ ცუდად მოიქცა და გაანაწყენა უფროსი; 6. „უკმაყოფილება“ – მშობელს უნდა გამოეხატა უკმაყოფილება ბავშვის საქციელზე, რომელიც თვლიდა, რომ სწორად მოიქცა; 7. „სინანულის გამოწვევა“ – მშობელს უნდა მოენახა ისეთი სიტყვები, რომლებიც სინანულის გრძნობას გამოიწვევდა აღსაზრდელში მის მიერ ჩადენილი საქციელის გამო.

გათამაშების შემდეგ მთელ ჯგუფთან ერთად განვიხილავდით ნანახსა და გაგონილს, ვმსჯელობდით, თუ რა რაციონალური და ემოციური ამოცანები იდგა მონაწილის წინაშე, რამდენად ადეკვატური ხერხებით გადაწყვიტა ისინი, რა ემოციები გამოიწვია პარტნიორში, მიღწეული შედეგი რამდენად შეესატყვისებოდა დასახულ მიზნებსა და მოლოდინს როგორც რაციონალური, ისე ემოციური თვალსაზრისით.

ამის შემდეგ გასათამაშებლად მოგვქონდა რთული პედაგოგიური სიტუაცია. მასში პრაქტიკულად რამდენიმე მშობელს შეეძლო მონაწილეობის მიღება, სიტუაცია სცენარის სახით იყო დაწერილი და კულმინაციურ ადგილას წყდებოდა. როლების განაწილებისა და გათავისების შემდეგ მონაწილეებს თვითონ უნდა მოეძებნათ პრობლემის გადაწყვეტის გზა (ზოგჯერ ჩვენი დახმარებით).

მოვიყვანთ ამგვარი თამაშის ნიმუშს.

სიტუაცია: მარტოხელა დედა ზრდის ქალ–ვაჟს. ბიჭი IX, გოგო VII კლასშია. ბოლო ერთი წელია, ბიჭი ამოვარდნილია კალაპოტიდან, აღარ სწავლობს, უხეშობს, ქუჩა–ქუჩა დაეხეტება. ერთ დღეს დასთან უსიამოვნება მოუვიდა. მიზეზი? შინიდან ძვირფასი ნივთი გაიტანა – მიიხედ–მოიხედა, ერთადერთი შემორჩენილი ვერცხლის კოვზი ჩაიდო ჯიბეში და წავიდა. დის მოთხოვნამ არ გაჭრა. გოგონამ დედას ყველაფერი უამბო. როგორ უნდა მოიქცეს დედა?

ჩვენ ვთხოვდით მშობლებს, თავდაპირველად როლები ისე გაეთამაშებინათ, როგორც ასეთ ვითარებაში საერთოდ იქცევიან დედები. ამგვარად ფორმულირებულ დავალებას ისინი თავისუფლად, შეუბოჭავად ასრულებდნენ. მაგალითად:

დედა – სად წაიღე კოვზი, ეგეც დაიწყე? საკუთარ ოჯახს ქურდავ?

ბიჭი – არსადაც არ წამიღია, არაფერი ვიცი.

დედა – აბა, სად არის კოვზი, ვინ წაიღო?

ბიჭი – მე რა ვიცი.

დედა – ნინომ ხომ დაგინახა? კიდევ უარზე ხარ?

ბიჭი – ნინო ტყუის, იქნებ თვითონ დაკარგა.

დედა – როგორ არა, გრცხვენოდეს, შენ იქურდე და ნინოს აბრალებ?

დედა – ახლავე თქვი, სად და რატომ წაიღე კოვზი!

ბიჭი – არ წამიღია.

დედა – თქვი, თორემ არ ვიცი, რას გიზამ. შინ აღარ შემოგიშვებ!

ბიჭი – ვერაფერსაც ვერ მიზამ. მე თვითონ წავალ!

განხილვის შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა რომ მშობლის ამგვარ ზემოქმედებას არავითარი შედეგი არ მოაქვს. ჩვენ მოვითხოვეთ სიტუაციიდან სხვა გამოსავლის ძიება. შემოგვთავაზეს რამდენიმე ვარიანტი.

1 ვარიანტი: დედა – დედა მოგიკვდეს შენ. რა გაგიჭირდა, შვილო, ისეთი, რომ სახლიდან ნივთი წაიღე, ვერ მითხარი, დაგეხმარებოდი!

ბიჭი – ...

დედა – ვინმე ხომ არ გემუქრება, მითხარი, დედა!

ბიჭი – არა.

დედა – მაშინ, რაში გჭირდება, ფული? მითხარი და მე მოგცემ.

ბიჭი – არა, აღარ მჭირდება.

დედა – კარგი, თუ ახლა არ გინდა თქმა, ნუ მეტყვი, მე დავიცდი.

II ვარიანტი:

დედა – დათუნა, არაფერი გინდა მითხრა?

ბიჭი – არა, არ ვიცი...

დედა – მე და ნინო როგორც ჩვენს იმედს, ჩვენს დამცველს, ჩვენს პატრონს, ისე შემოგყურებთ, შვილო, და შენ კი არც გინდა რამე მითხრა?

ბიჭი – დედა, შევცდი. ყველაფერს მოგიყვები.

იგი, ვისთვისაც უჩვეულო იყო, ასეთი ქცევა, თავს დაძაბულად, შებოჭილად გრძნობდა, რამდენიმეჯერ უნდა გაეთამაშა ერთი და იგივე როლი მანამ, სანამ საკმაოდ თავისუფლად არ იგრძნობდა თავს და არ დაძლევდა ფსიქოლოგიურ ბარიერს. ამ შემთხვევაში როლების თამაში ქცევაში ვარჯიშის ფუნქციას ასრულებდა.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის პირველ შედეგებს მონაწილენი ასე აფასებენ:

„ოჯახის წევრები ამჩნევენ ჩემს ცვლილებას: აღარ ყვირიხარ, აღარ ჩხუბობ. ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან გულთბილი გახდიო!“, „ვგრძნობ, ძალიან შევიცვალე, თითქოს სხვა ადამიანი გავხდი. სხვანაირად ვუყურებ არა მარტო შვილთან, არამედ მეუღლესთან ურთიერთობასაც“; „წინათ, როგორც კი გამაბრაზებდნენ შვილები, ჩხუბს ვიწყებდი. ახლა უკვე სულ ვფიქრობ: ვიყვირო თუ არა, ვთქვა თუ არა ვთქვა. ვზომავ და ვწონი სათქმელს, საქციელს, ამასობაში სიბრაზეც გამივლის და უფრო გონივრულად ვმოქმედებ“; „ჩემს თავს სულ ვაკონტროლებ, თვითაღზრდაზე ვმუშაობ

ამ სიბერის ხანს"; „სულ სხვანაირად ვექცევი ჩემს დაობლებულ ბიჭებს. ისინიც, მანამდე თუ ჯიბრში მედგნენ, ახლა სხვა თვალებით მიყურებენ, უფრო მეტად მიწევენ ანგარიშს".

ამრიგად, კვლევის შედეგები გვარწმუნებს, რომ, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური კორექციის მეთოდი ეფექტიანია. ვფიქრობთ, ეს მეთოდები ავსებენ მშობლებთან მუშაობის არსებულ ფორმებს. მათ თავიანთი ადგილი უნდა დაიმკვიდრონ მშობლებთან მუშაობის საერთო სისტემაში.

ადამიანთმცოდნეობის ბოლო ლექცია პირველკურსელებთან მაქვს, „საქმეში" ისე ჩავებით, რომ დროის გასვლა აუდიტორიაში მსხდომმა ვერ გავიგეთ, მაგრამ, როცა მზემ უკანასკნელი სხივი სტყორცნა ჩვენს ფანჯარას, საათს ინსტიქტურად დავხედე და... ორი საათი გადასცდა დროს, ზარი არ ირეკება, სტუდენტებიც არსად წასლვას არ ჩქარობენ, ეს საქართველოში უჩვეული მოვლენაა, აქ ფასიან სასწავლებელში, ძირითადად მიტომ მოდიან, რომ არაფერი ისწავლონ, ახლა კი... ისე დაინტერესდნენ სალექციო კურსით, რომ... როდესაც ლექციიდან გამოვედი, ვხედავ დერეფანი პედაგოგებითა და სტუდენტებითაა სავსე, – რა ხდება, ზარი რატომ არ დარეკეთ–მეთქი? – ვკითხე განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, მან კი გაოცებული მზერა მომაპყრო და მითხრა: – განა შეიძლებოდა თქვენი ლექციის შეწყვეტა? ყველა უხმოდ გამოვიყვანე

აუდიტორიებიდან, მაგრამ შინ არავინ წასულა! რა ბედნიერები არიან ჩვენი სტუდენტები, რომ თქვენ გვყავხართ ბატონო გარი! – მერე ერთი სტუდენტი გოგონა თავის დღიურში ჩაწერს: – „დღეს უბედნიერესი დღე მქონდა, რომელიც ბატონი გარის ლექციამ მომანიჭა, ის რაც თორმეტი წელი სკოლის კედლებში ვერ გავიგე, მისმა ერთმა ლექციამ შემძინა, რომელიც დროსა და სივრცეში განუზომლად მრჩება!“

თანამედროვე ცხოვრებამ ბევრი რამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა იმ მემკვიდრეობიდან, რაც ადამიანმა თავისი წინაპრებისაგან მიიღო. ამიტომაა იგი ეგზომ მდიდარი „თანამედროვე საკითხებითა“ და „თანამედროვე მოთხოვნილებებით“.

რა საკითხს არ შეხვდებით დღეს: სოციალურ საკითხს, ქალის საკითხს, აღზრდისა და სკოლის საკითხებს, სამართლისას, ჯანმრთელობისას და ა. შ. და ა. შ.

ამ საკითხებთან მიახლოებას სხვადასხვა საშუალებით მიელტვიან. უამრავი ხალხი გვთავაზობს ამა თუ იმ რეცეპტს ერთ–ერთ ამ საკითხთაგანის გადასაჭრელად, ან მის გადაწყვეტაში თანამონაწილეობის მისაღებად.

ამასთან, რა და რა სახის წამოწყებებთან არა გვაქვს საქმე. რადიკალიზმთან – თავისი რევოლუციური ფანდებით; ზომიერებთან, რომელნიც არსებულის პატივისმგებელნი არიან და მისგანვე ცდილობენ ახლის განვითარებას; კონსერვატიზ-

მთანაც, რომელიც მყის აღიგზნება, როგორც კი ძველსა და ტრადიციულს შეეხებიან. ამ უმთავრეს მიმართულებათა შორის ყოველნაირი გარდამავალი საფეხურები გვხვდება.

ვისაც ცხოვრებაში ჩაღრმავების უნარი შესწევს, ალბათ შეამჩნევს ჩვენი დროის ერთ თავისებურებას. იგი ისეთ მოთხოვნებს უყენებს ადამიანებს, რომელთა შესასრულებლადაც სათანადო შესაძლებლობები არ მოიპოვება. ბევრს ისე სურს ცხოვრების გარდაქმნა, რომ წესიერად არც კი იცნობს მის საფუძვლებს.

ვისაც სურვილი აქვს სამომავლო პროექტები შემოგვთავაზოს, ის არ უნდა დაკმაყოფილდეს მოვლენათა ზედაპირული ცოდნით, არამედ უფრო ღრმად უნდა შეიჭრას მის წიაღში.

ცხოვრება მთლიანობაში მცენარეს ჩამოჰგავს, რომელიც თავის თავში არა მარტო თვალთვალის საცნაურს შეიცავს, არამედ მომავალი მდგომარეობის ჩანასახსაც თავისსავე იდუმალ წიაღში იუნჯებს. ვინც ხედავს მცენარეს ფოთლებით შემოსილს, მან ისიც უწყის, რომ ჟამთა მსვლელობისას ფოთლებით მოსილი შტო გამოიღებს ყვავილს, რომელიც ნაყოფად იქცევა, ეს ნაყოფი კი უკვე არსებობდა ფარულად მცენარეში მაჭიკის სახით.

მაგრამ რის თქმას შეიძლებდა ადამიანი ყვავილისა და ნაყოფის შესახებ, თუ იგი თავს მცენარის ყველანაირ მდგომარეობაში რომ გავერკვეთ, ამისთვის ღრმად უნდა შევისწავლოთ მისი არსი.

ამგვარადვე უჩინრად სუფევს მომავლის ჩანასახი ადამიანის ცხოვრებაშიც, რომლის განსაჭვრეტად მისსავე ფარულსა და მარადიულ თვისებებში ჩაწვდომაა საჭირო. მაგრამ ჩვენი ეპოქა მხოლოდ ზედაპირული ფენებითაა დაინტერესებული და, შეცდომის ჩადენის შიშით, გარეგან დაკვირვებათა სფეროებს მიღმა არ იხედება. მცენარის საკითხი შედარებით იოლად გადასაჭრელია ადამიანს არა ერთგზის შეუგრძვნია მისი ფერი და ნაყოფი. ადამიანის ცხოვრება კი გარეგნულად ერთადერთია და ყვავილნი, რომელთაც იგი ჟამთამსვლელობაში მოიწევს, ჯერ კიდევ გაუშლელნი არიან; თუმცა ისინი იდუმლად სუფევენ ადამიანში, ვითარცა ფოთოლშემოსილი მცენარის გაუფურჩქვნელი ყვავილები. ადამიანის მომავალზე მსჯელობა მხოლოდ მაშინაა დამაჯერებელი, როდესაც იცნობ ადამიანის ბუნების არსს. თანამედროვე სარეფორმო პროექტების მოზღვავება კი კეთილ ქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, როდესაც ადამიანი ცხოვრების ასეთ სიღრმეთა კვლევა–ძიებას დაეყრდნობა.

ამოცანა ცხოვრებასთან მისადაგებული ყოვლისმომცველი პრაქტიკული მსოფლმხედველობის შექმნისა ერთთავად სულიერმა მეცნიერებამ უნდა იტვირთოს. ვგულისხმობ ჭეშმარიტ სულიერ მეცნიერებას, რომელსაც მართებს არ იყოს მხოლოდ ცოდნის მოყვარულთა შეკითხვებზე მოპასუხე განყენებული თეორია. ამასთანავე იგი არ

უნდა წარმოადგენდეს მარტოოდენ კერძო პირთა განვითარების საშუალებას, რომელთაც მხოლოდ საკუთარი თავისთვის სურთ ზედა საფეხურთა წვდომა. მას ძალუძს და კიდევაც მართებს შემწეობა აღმოუჩინოს დღევანდელ კაცობრიობას საჭირ–ბოროტო ამოცანათა გადაჭრის საქმეში და მისი განვითარება მისსავე საკეთილდღეოდ წარმართოს.

იღებს რა თავის თავზე ამ მისიას, სულიერმა მეცნიერებამ მოწინააღმდეგეთა მრავალ შემოტევასა და დაეჭვებას უნდა გაუწიოს ანგარიში. მას ცხოვრების ყველა სფეროში მოუხდება შეჯახება როგორც რადიკალებთან, ასევე ზომიერებთან და კონსერვატორებთანაც. იგი ვერ დააკმაყოფილებს ვერც ერთი პატიის მოთხოვნილებებს, რადგან მისი წინასწარგანჭვრეტა სცილდება ყოველგვარი პარტიული ბრძოლების სამიზნეებს. ეს წინასწარჭვრეტა ცხოვრების არსის ჭეშმარიტ ცოდნას ეფუძნება. ცხოვრების შემცნობი ვეღარ დაისახავს ამოცანებს ცხოვრებისავე მითითების გარეშე. თვითნებურად ვეღარ შეადგენს პროგრამებს, რადგან იცის, რომ ცხოვრების მომავალიც იმავე ძირეული კანონებით წარიმართება, რომელნიც აწმყოში მოქმედებენ, ამიტომ სულიერი სამყაროს მკვლევარს არ შეუძლია აუცილებელი პატივი არ მიაგოს აწმყოს. რამდენიც არ უნდა შენიშნოს მან აწმყოში ნაკლი, რომელიც თავის მხრივ გამოსწორებას მოითხოვს, მას მაინც ძალუძს მომავლის

ჩანასახის დანახვა. ამასთანავე მან იცის, რომ ყოველივე არსებული ზრდასა და განვითარებას განიცდის. იგი აღარ ადგენს პროგრამებს. არამედ კითხულობს ცხოვრების წიგნს. და ის, რასაც იგი ამ წიგნიდან გებულობს, თვით იქცევა გარკვეული მიმართულების გარდაუვალ პროგრამად, რადგანაც თავის თავშივე ატარებს განვითარების საწყისებს.

ამიტომაა, რომ თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას, ადამიანის არსში სულიერი მეცნიერებისეული ჩაღრმავება ყველაზე უფრო ნაყოფიერ და პრაქტიკულ საშუალებებს გვაუფლებს. ამის შესახებ აქვე, აღზრდის საკითხის განხილვისას ვილაპარაკებთ, თანაც ისე, რომ არც მოთხოვნებს წაგიყენებთ და არც რაიმე პროგრამას დაგისახავთ, არამედ მხოლოდ ბავშვის ბუნების უბრალო აღწერას მოგაწვდით.

აღმზრდელობითი საკითხების სწორი დაყენება თვით ადამიანის განვითარების პროცესითაა განპირობებული. მოზარდის შინაგანი ბუნების შესწავლა მისი საიდუმლო თვისებების საერთო განხილვით უნდა დავიწყოთ. ადამიანის ის გარეგანი მხარე, რომელიც გრძნობათა ორგანოებით შეიცნობა და რომელსაც მატერიალისტური მსოფლმხედველობა მის ერთადერთ შინაარსად მიიჩნევს, მარტოოდენ ნაწილია სულიერი კვლევისათვის. იგი მხოლოდ ერთ–ერთი წევრია ადამიანის ბუნებისა. ფიზიკურ სხეულად წოდებული ეს წევრი

ფიზიკური ცხოვრების წესებსვე ექვემდებარება და იმავე კანონებისა და ძალების მატარებელია, რომელთაგანაც მთელი დანარჩენი ეგრეთწოდებული არაორგანული სამყარო შედგება. აქედან გამომდინარე, სულიერი მეცნიერება ამბობს: ადამიანს მინერალურ სამყაროსთან საერთო ფიზიკური სხეული აქვსო. ფიზიკური სხეული, სახით იგი გულისხმობს მხოლოდ იმას, რასაც ნივთიერებათა იმავე შემცველობით და იმავე კანონებით დაშლა–შენივთებასა და აგება–განზავებასთან მივყავართ, რომლებიც მინერალურ სამყაროში მოქმედებენ.

ფიზიკური სხეულის გარდა სულიერი მეცნიერება ადამიანში სხვა ბუნებასაც იცნობს. ესაა სასიცოცხლო ანუ ეთერული სხეული. ფიზიკოსი ნუ შეკრთება ამ სახელწოდების გაგონებისას, რადგან ეთერი, მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს სულ სხვა რამეს, ვიდრე ფიზიკის ჰიპოთეტურ ეთერს. ამას შემდეგში გავარკვევთ.

არც ისე დიდი ხნის წინათ, ასეთ „ეთერულ სხეულზე“ ლაპარაკს ძალზე არამეცნიერულად თვლიდნენ. მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისისათვის ეს საკითხი უკვე აღარ მიაჩნდათ „არამეცნიერულად“. იმ დროში ასე მსჯელობდნენ: ნივთიერებებს და ძალებს, რომლებიც მინერალში მოქმედებენ, დამოუკიდებლად არ ძალუძთ ცოცხალ არსებად გარდავლენა. ამისათვის საჭიროა აგრეთვე განსაკუთრებული ძალა, რომელსაც სასიცოცხლო ძალა ეწოდებაო.

წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ მცენარეში, ცხოველსა და ადამიანში მოქმედი ძალები სასიცოცხლო მოვლენებს იწვევდნენ იმის მსგავსად, როგორც მაგნიტში მაგნიტური ძალების მიზიდულობას.

მოგვიანო მატერიალისტურ დროში ამ წარმოდგენებს თავი ანებეს და იწყეს სწავლება იმის შესახებ, თითქოს ცოცხალი არსება არაორგანული ბუნების მსგავსად აიგებდეს საკუთარ თავს, რომ ძალები ცოცხალ ორგანიზმსა და ქვაში ერთნაირია, ოღონდ ორგანიზმში ისინი უფრო რთულ ნაგებობას ჰქმნიან. დღეს მხოლოდ ყველაზე გამოუსწორებელი მატერიალისტები უარყოფენ „სასიცოცხლო ძალის" არსებობას. მთელი წყება ნატურალისტებისა ფაქტებმა დაარწმუნა, რომ აუცილებლობა მოითხოვს ცნონ რაღაცა სასიცოცხლო ძალისა ან სასიცოცხლო პრინციპის მსგავსი.

ამგვარად, უახლოესი მეცნიერული გამოკვლევები უახლოვდებიან იმას, რასაც სულიერი მეცნიერება გვამცნოს ეთერული სხეულის შესახებ. მაგრამ სულიერ მეცნიერებასა და დღევანდელ საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებათა შორის რჩება მნიშვნელოვანი განსხვავებაც. თანამედროვე მეცნიერება, გრძნობათა მიერ მიღებული და გონებით აწონილი ფაქტების გზით მივიდა სასიცოცხლო ძალთა ზოგიერთი ნაირსახეობის აღიარებამდე, მაგრამ ჭეშმარიტი კვლევა, საიდანაც სულიერი მეცნიერება საზრდოობს, ამ

გზით არ მიედინება. თანამედროვე მენციერება ყოველგვარი ცოდნის საფუძვლად გრძნობათა გამოცდილებას მიიჩნევს, და შეუცნობლად თვლის ყოველივე იმას, რაც ფიზიკურ შეგრძნებათა საშუალებით ვერ აღიქმება. სულიერი მეცნიერებისათვის ასეთი აზრი ჰგავს იმ ბრმის თვალსაზრისს, რომელიც ცნობს მხოლოდ ხელით შეხებას და უარყოფს თვალხილულ ადამიანთა ყველა იმ მტკიცებას, რომელიც კვლევის ამგვარი საშუალებიდან არ მომდინარეობს. სულიერი მეცნიერება სწორედ საწინააღმდეგო დებულებიდან გამოდის. იგი მიუთითებს, რომ ადამიანს, როგორც ამთვისებელ არსებას, აქვს ევოლუციური უნარი და რომ თავის თავში ახალი ორგანოების განვითარებით, იგი ამავე დროს ახალ სამყაროებსაც აღმოაჩენს. სულიერი მეცნიერება ამბობს: ვით ბრამაა სინათლითა და ფერებით გარემოცული, რომელსაც იგი ვერ ხედავს მხედველობის ორგანოების უქონლობის გამო, ასევე ადამიანიც გარემოცულია მრავალი სამყაროთი, რომელთა ხილვას იგი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როდესაც აღქმის შესაბამის ორგანოებს განივითარებს. როგორც ბრამათა თვალწინ გადაიშლება უცხო სამყარო ოპერაციის შემდეგ, ასევე საცნაურჰყოფს ადამიანი უმაღლესი ორგანოების განვითარების შედეგად, ფიზიკურად შეგრძნებადი სამყაროების გვერდით, ახალ სამყაროებს. ბრმათა ოპერირების წარმატება მხედველობის ორგანოთა მდგომარეობაზეა დამოკი-

დებული, მაშინ როდესაც უმაღლესი ორგანოები, რომელთა მეშვეობით ადამიანს ძალუძს უზენაეს სამყაროთა წვდომა, თითოეულთან ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია. ყოველ კაცს შეუძლია მათი გაღვივება, თუ კი ეყოფა მოთმინება, ნებისყოფა და ენერგია, გამოსცადოს თავის თავზე ის მეთოდები, რომლებიც აღწერილია წიგნში: „ვით მივაღწიოთ ზენა სამყაროთა შემეცნებას“.

სულიერ მეცნიერებას არ მიაჩნია მუდმივად ადამიანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული მიჯნები. იგი ამ საზღვრების გაფართოებაზე მიუთითებს და ეხება როგორც ეთერული სხეულის, ასევე ადამიანთა ყველა უმაღლესი ორგანოს გამოკვლევასაც, რომელთა შესახებაც შემდეგში გვექნება საუბარი.

სულიერი მეცნიერება არ უარყოფს იმას, რომ გარეგანი შეგრძნებისათვის მხოლოდ ფიზიკური სხეულის კვლევაა მისაწვდომი, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებს, რომ შეიძლება აღქმის ახალი ორგანოების გაღვივებაც, რომელთა მეოხებითაც ადამიანის უჩინარი ორგანიზაცია ჩვენს წინაშე ისე წარმოდგება, როგორც სინათლე და ფერები ოპერირებული ბრმის წინაშე. იმათთვის, ვისაც განვითარებული აქვს ცნობიერების უმაღლესი ორგანოები, ეთერული სხეული წარმოადგენს არა მსჯელობისა და გონებრივი დასკვნის საგანს, არამედ უშუალო დაკვირვების ობიექტს.

ეთერული, ანუ „სასიცოცხლო სხეული“ ადამი-

ანის გარდა აქვთ მცენარეებსაც და ცხოველებსაც. იგი ნივთიერებებს და ფიზიკური სხეულის ძალებს ისე წარმართავს, რომ ზრდის, გამრავლების, წვენთა მოძრაობისა და სხვა პროცესთა სახით გამოავლინოს ისინი. მაშასადამე იგი არის მშენებელი და შემქმნელი ფიზიკური სხეულისა – მისი არქიტექტორი და ამავე დროს მისივე მობინადრეც. ამიტომ ფიზიკურ სხეულს შეიძლება ეწოდოს ეთერული სხეულის ანაბეჭდი და გამოხატულება. ფორმისა და სიდიდის თვალსაზრისით ეს ორივე სხეული თითქმის თანხვედრილია, მაგრამ არა იდენტური. ცხოველებისა და განსაკუთრებით მცენარეთა ეთერული სხეულის სიდიდე და ფორმა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ფიზიკური სხეულისაგან.

მესამე წევრი ადამიანის არსებობისა – ესაა ასტრალური სხეული, ანუ გრძნობათა სხეული. იგი მწუხარების, სიხარულის, სწრაფვათა, სურვილთა და სხვათა მატარებელია. სხეულები, რომლებიც მარტოოდენ ფიზიკური და ეთერული სხეულებისაგან შედგებიან, არა აქვთ გრძნობიერების უნარი, მცენარე არ გრძნობს. ზოგიერთ სწავლულს, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი მცენარეების მოძრაობით, ან სხვა ნიშნებით პასუხობს გარკვეულ გამაღიზიანებლებს – არასწორი დასკვნა გამოაქვს, თითქოს მცენარეს რამდენადმე მოეპოვებოდეს შეგრძნების უნარი. მაგრამ ეს გაუგებრობაა და შეგრძნებათა ბუნების ჭეშმარიტ

ცოდნას არ ეყრდნობა. მთავარი ის კი არ არის, ესა თუ ის არსება პასუხობდეს გამაღიზიანებელს, არამედ არის თუ არა ეს გაღიზიანება სიხარულის, მწუხარების, სწრაფვისა თუ სურვილის შინაგან პროცესთა ანარეკლი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ისიც კი შესაწყნარებელი იქნებოდა, თითქოს ცისფერი ლაკმუსის ქაღალდიც განიცდიდეს გარკვეულ შეგრძნებას ზოგიერთ ნივთიერებათაგან – იგი ხომ წითლდება მათთან შეხებისას.

გრძნობის სხეული (ასტრალური სხეული) ადამიანს საერთო აქვს მხოლოდ ცხოველთა სამყაროსთან. მას შეიძლება ეწოდოს ყოველნაირ შეგრძნებათა სამყაროს მატარებელი.

შეცდომა იქნებოდა წარმოგვედგინა, თითქოს ეთერული და ასტრალური სხეული ფიზიკურ სხეულზე უფრო ფაქიზ ნივთიერებებისაგანაა ორგანიზებულიო.

ეს ადამიანის ბუნების უმაღლეს წევრთა მატერიალიზების ტოლფასი იქნებოდა. ეთერული სხეული ძალთა წარმომქმნელია, თავადაც ქმედით ძალთაგან შედგება და არა მატერიისაგან. ასტრალური სხეული კი მოძრავ, ფერადოვან, ელვარე სახეთაგან არის წარმომდგარი.

სიდიდითა და ფორმით ასტრალური სხეული არ ჩამოჰგავს ფიზიკურ სხეულს, ადამიანის ასტრალური სხეული წაგრძელებული კვერცხის ფორმისაა, მასში ფიზიკური და ეთერული სხეულები ერთმანეთში განფენილად მდებარეობენ. ასტრალური

სხეული ყოველმხრივ აღემატება ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს და გამოირჩევა თავისი ელვარებით.

და ბოლოს, ადამიანს გააჩნია თავისი ბუნების შემადგენელი მეოთხე წევრი, რომელიც სხვა მიწიერ არსებებს არ გააჩნიათ. ესაა ადამიანის „მე„–ს მატარებელი წევრი. „მე" ყველა სხვა სახელებისაგან განსხვავებული სახელია. დანარჩენი სახელები შეიძლება განურჩევლად მიესადაგოს შესაბამის საგნებს. ყველას ძალგვიძს მაგიდის „მაგიდად", ან სკამის „სკამად" სახელდება, მაგრამ იგივეს ვერ ვიქმთ „მე„–ს მიმართ. სახელით „მე" – ვერავინ განსაზღვრავს სხვა საგანს საკუთარი თავის გარდა. სახელი „მე" ვერასოდეს გაიჟღერებს ჩემს გარეშე. არსება, რომელსაც აქვს უნარი თავის თავის „მე„–დ სახელდებისა, სამყაროა თავისსავე თავში... სულიერ მეცნიერებაზე აგებული რელიგიები ნიადაგ გრძნობდნენ ამას. ისინი აღიარებდნენ, რომ „მე„–სთან ერთად ადამიანის წიაღიდან გამოვლენას იწყებს ღვთაება, მაშინ როდესაც დაბალ არსებათათვის იგი მხოლოდ გარედან, და მხოლოდ გარემომცველ მოვლენებში ვლინდება. ასეთი უნარის მატარებელს ჩვენს „მე–სხეულს" ვუწოდებთ. იგი ადამიანის ბუნების მეოთხე წევრია.

სწორედ ეს „მე–სხეული" შეიცავს ადამიანის უკვდავ სამშვინველს. იგი გარდააქცევს ადამიანს ქმნადობის გვირგვინად. თანამედროვე ადამი-

ანის „მე“ მარტივი შინაარსით არ ხასიათდება.

ამ არსის ბუნება ყველაზე ნათლად ადამიანის განვითარების განსხვავებულ საფეხურთა შედარებისას ვლინდება. ავიღოთ ველური და საშუალო დონის ერვოპელი და ეს უკანასკნელიც მაღალ იდეალისტს შევადაროთ. თვითოეულ მათგანს გააჩნია „მე„–დ დასახელების უნარი. სამთავეს გააჩნია „მე–სხეული“. მაგრამ განუვითარებელი ველურის „მე“ თითქმის ცხოველის მსგავსად ექვემდებარება ვნებათაღელვას, სურვილებსა და გულისთქმას. შედარებით განვითარებული ადამიანი უკეთ ერკვევა თავის სურვილებში, ზოგ მათგანს აღვივებს, ზოგისგან თავს იკავებს, ან ახშობს კიდევაც. იდეალისტებმა კი არსებული მიდრეკილებისა და ვლნებების გარდა მაღალი მისწრაფებებიც განავითარეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ადამიანის „მე„–მ იმუშავა სხვა სხეულებზე. ადამიანის „მე„–ს მოვალეობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რათა იმუშაოს ადამიანის არსების სხვა შემადგენელ წევრებზე, გაანაყოფიეროს და განწმინდოს ისინი.

ასე რომ, ადამიანს, რომელიც უკვე გამოვიდა გარე სამყაროს ზეგავლენებიდან, „მე„–ს მოქმედებამ უკვე რამდენადმე შეუცვალა დაბალი სხეულები იმ სტადიაში, როდესაც ადამიანი ეს–ესაა ცხოველურზე მაღლა დგომას იწყებს, როდესაც მისი „მე“ მხოლოდ ხანმოკლე ელვარებით გამოკრთის, მისი დაბალი სხეულები ჯერ კიდევ არ კარ-

გავენ ცხოველებთან მსგავსებას. მისი ეთერული სხეული მხოლოდ ზრდისა და გამრავლების, სიცოცხლის წარმომქმნელ ძალთა მატარებელია, ასტრალური სხეული კი გარე სამყაროს მეოხებით აღძრულ სურვილთა, მოთხოვნილებათა და ვნებათა გამომხატველია, როდესაც ადამიანი, განსხეულებათა თანმიმდევრობის გზით, განვითარების ამ დონიდან უფრო მაღალ საფეხურზე ადის, იმ დროს მისი „მე“ დაბალი სხეულების გარდაქმნაზე მუშაობს.

ამრიგად ასტრალური სხეული ხდება კმაყოფილებისა და დაკმაყოფილებლობის უფრო განწმენდილ ფორმათა, უფრო ფაქიზ სურვილთა და სწრაფვათა მატარებელი. ამავე დროს მიმდინარეობს ეთერული სხეულის გარდაქმნაც. იგი ჩვევების, მყარი მიდრეკილებების, ტემპერამენტისა და მეხსიერების მფარველი ხდება. ადამიანი, რომლის „მე„–ს მის ეთერულ სხეულზე არ უმუშავია, ვერ ინახავს ხსოვნას განცდილის შესახებ და მხოლოდ ბუნების მითითებით ცხოვრობს.

ადამიანისათვის მთელი კულტურული ევოლუცია დაიყვანება „მე„–ს მუშაობაზე მისი დაბალი სხეულების მიმართ, თვით ფიზიკური სხეულის ჩათვლითაც. „მე„–ს ზეგავლენით იცვლება ადამიანის ფიზიონომია, ჟესტიკულაცია, მოძრაობა და ფიზიკური სხეულის მთლიანი გამომეტყველებაც.

შეიძლება განვასხვავოთ ისიც, თუ როგორ სხვადასხვანაირად მოქმედებენ სხვადასხვა კულტუ-

რული და აღზმრდელობითი საშუალებები ადამიანური არსების ცალკეულ სხეულებზე. ჩვეულებრივი კულტურული ფაქტორები მოქმედებენ გრძნობის (ასტრალურ) სხეულზე. ისინი მასში ახალი სახის სიხარულს, მწუხარებას, სურვილსა და მისწრაფებას იწვევენ. ხელოვნების ნაწარმოებში ჩაღრმავება კი ეთერულ სხეულზე მოქმედებს. მხატვრული ქმნილებების მეოხებით ადამიანი ივითარებს ისეთ მაღალ წინათგრძნობას, რომელიც გრძნობად სამყაროზე უფრო ამაღლებული და კეთილშობილურია; სწორედ ამით ახდენს იგი თავისი ეთერული სხეულის გარდაქმნას. ეთერული სხეულის განწმენდისა და გაკეთილშობილების კარგ საშუალებას რელიგია წარმოადგენს. აი რატომ აქვთ რელიგიურ იმპულსებს ეგზომ დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარებისათვის.

სინდისი სხვა არაფერია, თუ არა ეთერულ სხეულზე „მე„–ს მუშაობის შედეგი მთელ რიგ გარდასხეულებათა მანძილზე, როდესაც ადამიანს ესმის, რომ არ უნდა ჩაიდინოს ესა თუ ის საქციელი, და თუ ეს შეგნება იმდენად ძლიერი და ღრმაა, რომ ეთერულ სხეულში იბეჭდება, სინდისიც მაშინ იბადება.

„მე„–ს შეგნებული მუშაობა დაბალ სხეულებზე შეიძლება იყოს როგორც საერთო მთელი კაცობრიობისათვის, ასევე ინდივიდუალური. პირველი სახის გარდაქმნაზე გარკვეულ საფეხურამდე მთელი კაცობრიობა მუშაობს. ინდივიდუალური

მუშაობა კი მხოლოდ საკუთარი „მე„–ს პირად ზემოქმედებას ემყარება.

თუ „მე“ იმდენად გაძლიერდება, რომ საკუთარი ძალებით შეძლებს ასტრალური სხეულის გარდაქმნას, მაშინ ის, რაც „მე„–ს მიერ ასტრალური სხეულის ასეთი გადამუშავებით მიიღწევა, მიიღებს თავადი სულის (Geistselbst), ანუ Manasის სახელწოდებას.

ეს გარდაქმნა, არსებითად, მაღალი იდეებითა და შეხედულებებით შინაგან განსწავლას და განვითარებას ეფუძნება. მაგრამ ჩვენს „მე„–ს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნამუშევრების კვალი შეუძლია დააჩნიოს არსს. ეს ხდება მაშინ, როდესაც მდიდრდება არა მარტო ასტრალური სხეული, არამედ როცა ეთერული სხეულიც განიცდის გარდაქმნას. ადამიანი ბევრ რამეს ითვისებს ცხოვრებიდან. მას შეუძლია უჩვეულოდ გაიმდიდროს ცნობიერება, მაგრამ მიწიერ ცხოვრებაში ნაკლებად ძალუძს იმოქმედოს საკუთარი ტემპერამენტისა და ხასიათის შეცვლაზე, მეხსიერების გაუმჯობესებაზე, ანდა მისი გაუარესების წინააღმდეგ. განსწავლა ასტრალური სხეულის საქმეა, ხოლო ტემპერამენტი, ხასიათი და მეხსიერება კი ეთერულ სხეულთანაა დაკავშირებული. ამას შეესაბამება თვალსაჩინო შედარება ასტრალური სხეულის სახეცვლილებისა საათის დიდი ისრის მოძრაობასთან, ხოლო ეთერული სხეულის გარდასახვისა – პატარა ისრის სიჩქარესთან.

როდესაც ადამიანი უმაღლეს, ეგრთწოდებულ საიდუმლო მეცნიერებას უახლოვდება, მაშინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ეთერული სხეულის ამგვარი გარდაქმნა საკუთარი „მე„–თი გამომდინარეობდეს ისეთი ძალებისაგან, რომლებიც ცხოვრებაში დამოუკიდებლობისადმი სწრაფვით არიან გამოწვეულნი. მან სავსებით შეგნებულად და დამოუკიდებლად უნდა იღვაწოს თავისი ჩვევების, ტემპერამენტის, ხასიათის, მეხსიერებისა და სხვათა გარდასაქმნელად იმისდამიხედვით, თუ როგორ იმუშავებს თავის ეთერულ სხეულზე, იგი გარდაქმნის მას სიცოცხლის სულად (Lebensgetat), რომელსაც აღმოსავლური გამოთქმით budhi–ს უწოდებენ.

უღრო მაღალ საფეხურზე ადამიანს თავისი ფიზიკურის ხეულის გარდაქმნაზე მუშაობაც ძალუძს. მაგალითად სისხლის მიმოქცევის და პულსის შეცვლა. ადამიანის ამ სახის მოღვაწეობა მის უმაღლეს არსთანაა დაკავშირებული, რასაც სულის ადამიანს (Geistmensch), აღმოსავლურად Atma–ს უწოდებენ.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ადამიანში შეიძლება გავარჩიოთ მისი არსების შემადგენელი ოთხი წევრი: ფიზიკური სხეული, ეთერული სხეული, ასტრალური სხეული და მე–სხეული". შეგრძნებათა (ანუ შემგრძნობი) სამშვინველი, განსჯითი სამშვინველი, ცნობიერი სამშვინველი და ადამიანური ბუნების უფრო მაღალი სულიერი ტრიადა. სული,

სიცოცხლის სული და სულის ადამიანი. როდესაც საუბარი გვაქვს ადამიანური თვისებების მატარებელზე, ყოველთვის ადამიანის რთული ორგანიზაციის ეს ოთხი წევრი უნდა ვიგულისხმოთ.

აღმზრდელს დღენიადაგ უხდება ადამიანური არსების ამ ოთხ ნაწილზე მუშაობა. მაგრამ ამ მუშაობაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია ოთხივე მათგანის ბუნებათა გამოკვლევა. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს ნაწილები ადამიანში ერთდროულად ვითარდებიან. პირიქით, მათი განვითარება სხვადასხვა ასაკში მიმდინარეობს და განსხვავებული სახითაც. მხოლოდ ადამიანური ბუნების განვითარების კანონთა მყარ ცოდნას შეიძლება დაეფუძნოს აღზრდის ჭეშმარიტი ბალავერი და განსწავლის საქმეც.

ხორციელ შობამდე ჩანასახი სხვა ფიზიკური სხეულითაა გარემოცული და გარე სამყაროსთან უშუალო კონატქტში არ იმყოფება. დედის ფიზიკური სხეული ყოველმხრივ გარემოიცავს და მოქმედებს მასზე. ადამიანის ფიზიკური შობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფლდება დედის ფიზიკური გარსიდან და უშუალოდ ეხება გარე სამყაროს. მისი გრძნობები იშლებიან ამ სამყაროსათვის და უკანასკნელიც ისევე იწყებს ზემოქმედებას ადამიანზე, როგორც უწინ დედობრივი გარსი მოქმედებდა მასზე.

სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, დედისგან გამოყოფის ჟამს მხოლოდ ფიზიკური სხეული

იბადება და არა ეთერული. ისე როგორც დაბადებამდე იყო გარემოცული ადამიანი დედის ფიზიკური სხეულით, ასევე კბილთა ცვლამდე ე. ი. დაახლოვებით შვიდ წლამდე იგი ეთერული და ასტრალური გარსებითაა შემოსალტული მხოლოდ კბილთა ცვლის პერიოდში თავისუფლდება ეთერული გარსიდან ეთერული სხეული. რჩება მხოლოდ ასტრალური გარსი, რომელიც სქესობრივი სიმწიფის მოწევამდე გარემოიცავს ასტრალურ სხეულს. სქესობრივი მომწიფებისას ასტრალური სხეულიც იმგვარადვე თავისუფლდება, როგორც დაბადებისას ფიზიკური სხეული, ხოლო კბილთა ცვლის ჟამს ეთერული.

ასე რომ, სულიერი მეცნიერება ადამიანის სამგზის დაბადებაზე უნდა მიუთითებდეს. ის შთაბეჭდილებები, რომელნიც თავისი თვისებებით კბილთა ცვლამდე ეთერულ სხეულზე უნდა მოქმედებდნენ, ისეთივე უმნიშვნელო ოდენობით აღწევენ მასთან, როგორც ფიზიკური სამყაროს შემადგენელი ჰაერისა და სინათლის მოქმედება აღწევს დედის საშოში მყოფ ფიზიკურ სხეულამდე.

კბილთა ცვლამდე ეთერულ სხეულს დამოუკიდებელი მუშაობა არ ძალუძს. ისე ვით ფიზიკური სხეული საზრდოობს გარეშე ძალებით დედის წიაღში ყოფნისას და დედის გარსით დაცული თანდათან თავის საკუთარ ძალებსაც აღვივებს, იგივეს განიცდიან ზრდის ძალებიც კბილთა ცვლის ჟამამდე. ნაანდერძევ ძალებთან შეერთებული ეთერუ-

ლი სხეული ამავე დროს საკუთარ ძალებსაც ანვითარებს. ეთერულის ხეულის განვითარებისას დამოუკიდებელი ხდება ფიზიკური სხეულიც. განვითარებული ეთერული სხეული ამუშავებს იმას, რაც ფიზიკურ სხეულს ესაჭიროება. ამ მუშაობის საბოლოო შედეგია საკუთარი კბილები, რომლებიც ნაანდერძევ კბილებს ცვლიან.

ამ მომენტიდან მოყოლებული ეთერული სხეული დამოუკიდებლად მუშაობს ადამიანის ზრდაზე, მაგრამ ჯერ ისევ ნაანდერძევი ასტრალური გარსის გავლენის ქვეშ იმყოფება. ასტრალური სხეულის გამოთავისუფლების ჟამს ეთერული სხეულის განვითარების პერიოდიც მთავრდება. ამ პერიოდის დასრულება სქესობრივ მომწიფებაში გამოიხატება. სქესობრივი ორგანოები დამოუკიდებლობას იძენენ, რადგანაც ასტრალური გარსიდან გამოთავისუფლებული ასტრალური სხეული უშუალო კონტაქტებში შედის გარე სამყაროსთან.

როგორც ჯერაც არშობილ ბავშვს ვერ დავუქვემდებარებთ გარესამყაროს გავლენას, ასევე შეუწყნარებელია შვიდი წლის ასაკამდე ეთერულ სხეულში ისეთი ძალების მიშვება, რომლებიც ისევე მოქმედებენ მასზე, როგორც ფიზიკურ შთაბეჭდილებებს შეეძლოთ ემოქმედათ ჯერ კიდევ არდაბადებული ჩვილის სხეულზე. მსგავსად ამისა, შესაბამის ზემოქმედებათა მიშვება ასტრალურ სხეულზე მხოლოდ სქესობრივი სიმწიფის მომენტიდანაა მიზანშეწონილი. ზოგად ფრაზებს, რო-

გორიცაა მაგალითად „ყველა ძალთა და უნართა ჰარმონიული განვითარება“ და სხვა ამგვარს, არ შეუძლია აღზრდის ჭეშმარიტ საფუძველთა შექმნა. ამისათვის საჭიროა ადამიანის ბუნების უშუალო გაცნობა. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვსურს, თითქოს ზემოთმოყვანილი ფრაზები არ შეესაბამებოდნენ სიმართლეს, როგორც ვთქვათ იმის მტკიცებით, რომ საჭიროა მანქანის ყველა ნაწილთა ჰარმონიულ მოქმედებაში მოყვანა, მხოლოდ იგი შესძლებს მანქანის ნამდვილად მართვას, ვინც ზოგადი ფრაზებით კი არ მიდის მასთან, არამედ მისი შემადგენელი ნაწილების ჭეშმარიტი ცოდნით, აღზრდის ხელოვნებაც ასევე მოითხოვს ადამიანის ყველა შემადგენელი ნაწილის ცოდნას, იმის ცოდნას თუ როგორ ვითარდება დამოუკიდებლად თვითეული მათგანი. აუცილებელია ვიცოდეთ, თუ ადამიანური არსების რომელ ნაწილზე უნდა ვიმოქმედოთ გარკვეულ ასაკში და როგორ წარვმართოთ ეს ზემოქმედება მიზანშეწონილად.

მაგრამ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ აღზრდის ჭეშმარიტად რეალისტური ხელოვნება, როგორიც აქაა მოცემული, მხოლოდ ძალიან ნელა გაიკვლევს გზას. ამის მიზეზია თანამედროვე მსოფლმხედველობა, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ჩათვლის სულიერი სამყაროს ფაქტებს უგუნური ფანტაზიის შედეგად, მაშინ როდესაც საკუთარი უმართებელი დასკვნები მას ფხიზელი, რეალური მსოფლმხედველობის შედეგი ჰგონია.

ასე რომ, ფიზიკური შობის მომენტიდან ადამიანის სხეული გარესამყაროს ფიზიკური ზემოქმედების საფრთხის ქვეშ ვარდება. მანამდე მას დედის სხეული ინახავდა და მფარველობდა. იმ როლს, რომელსაც მისთვის ადრე დედის ძალები და უნარი ასრულებდა, ახლა გარე სამყაროს ძალები და ელემენტები ისაკუთრებენ. კბილთა ცვლამდე, მეშვიდე წელშიგადადგომისას, ადამიანის სხეულის ამოცანა სხვა ცხოვრებისეულ მომენტთა ამოცანებისაგან არსებითად განსხვავდება. ამ დროისათვის ფიზიკურმა ორგანოებმა გარკვეული მიმართულება და მიდრეკილებანი უნდა მიიღონ. ამის შემდეგ იწყება ზრდა, მაგრამ ეს ზრდა ყოველთვის იმ მიმართულებით წარიმართება, რომელიც უკვე პირველი შვიდი წლის მანძილზე გამომუშავდა. თუ ამ ხნის განმავლობაში სწორი ფორმები ჩამოყალიბდნენ, ისინი ასევე სწორად განაგრძობენ განვითარებას. უსახური ყალიბის მიცემის შემთხვევაში კი ისინი ასევე უსახურად გაიზრდებიან. ის რაც შვიდ წლამდე დაიკარგა,შემდგომში აღარ გამოსწორდება. როგორც ბუნება უმზადებს ფიზიკურ სხეულს დაბადებამდე მისთვის აუცილებელ პირობებს, ასევე აღმზრდელიც უნდა გაისარჯოს ბავშვისათვის სასურველი ფიზიკური გარემოცვის მოსაწყობად. მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლიათ ფიზიკურ ორგანოებს სწორ ფორმებად ჩამოსხმა.

არსებობს ორი მაგიური სიტყვა, რომლითაც ამოიწურება ადამიანის ყოველგვარი დამოკიდებულება გარემოსთან. ეს ორი სიტყვაა მიბაძვა და მაგალითი. ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ადამიანს ყველა ცხოველზე უფრო მიმბაძველ არსებად მიიჩნევს. განსაკუთრებით ეს შეეხება ბავშვობის ხანას კბილების გამოცვლამდე ბავშვი ბაძავს ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდება და ამ მიბაძვის პროცესში მისი ფიზიკური ორგანოები საბოლოოდ ყალიბდებიან ფორმებად. ბავშვზე ზემოქმედი ფიზიკური გარემოცვა რაც შეიძლება ფართო გაგებით უნდა განვსაზღვროთ. იგი შეიცავს არა მარტო ბავშვის გარემომცველ ნივთიერ სამყაროს, არამედ ყოველივე იმასაც, რაც მის გარშემო ხდება, რაც მის გრძნობათა ორგანოებში აირეკლება და რასაც შეუძლია ფიზიკურად მის სულიერ ძალებზე იმოქმედოს. მასში შედის აგრეთვე მისი თანდასწრებით მომხდარი ყველა ზნეობრივი და უზნეო. ყველა უგუნური და გონივრული ქმედება.

ზნეობრივი შეგონებები და კეითლგონივრული სიტყვები კი არ მოქმედებენ ბავშვზე, არამედ მხოლოდ ის, რასაც მის გარშემო მყოფნი უფროსნი მის თვალწინ სჩადიან. შეგონებები მარეფორმირებლად მოქმედებენ არა ფიზიკურ სხეულზე, არამედ ეთერულზე; ეს უკანასკნელნი კი, შვიდი წლის ასაკამდე მისი დამცველი ეთერული გარსითაა გარემოცული, ისე ვით ფიზიკური სხე-

ული იყო დაბადებამდე მშობლის გარსით მოსილი. ყოველივე ეს, რაც შვიდ წლამდე ყლაიბდება ეთერულ სხეულში, წარმოდგენების, ჩვევების, მეხსიერებისა და სხვათა სახით, „თავისით“ უნდა გაღვივდეს, ისე როგორც თვალნი და ყურნი ვითარდებიან დედის წიაღში გარეგანი სინათლისა და ბგერების ჩაურევლად. ჭეშმარიტად სწორი აზრია გამოთქმული ჟან პოლის წიგნში „აღზრდის სწავლების შესახებ“, რომ დედამიწის ირგვლივ მოგზაური თავის ძიძისაგან უფრო მეტს სწავლობს ცხოვრების პირველ წლებში, ვიდრე შემდეგში ერთად აღებული ყველა თავისი მოგზაურობიდან. ბავშვი სწავლობს არა სიტყვებზე, არამედ მაგალითებზე. ჯანსაღი მხედველობა მას მაშინ უვითარდება, როდესაც ფერებისა და განათლების სათანადო გარემოცვას შეუქმნიან. ასევე ტვინისა და სისხლის მიმოქცევის სისტემაში უვითარდება მას ჯანსაღი ზნეობრივ შეგრძნებების ფიზიკური საწინდარი, თუ კი ბავშვი თავის გარშემო მაღალზნეობრივ მაგალითებს ხედავს. თუ შვიდ წლამდე ბავშვი მხოლოდ უგუნურ ქმედებებს ამჩნევს, მაშინ მისი ტვინი ისეთ ფორმებს იღებს, რომლებიც მხოლოდ ასეთივე უგუნური ქმედებებისათვის იქნებიან მომარჯვებულნი.

როგორც ხელის კუნთები ძლიერდებიან და მაგრდებიან თავის ძალთა შესაბამისი მუშაობის შესრულებისას, მსგავს პირობებში იგივეს განიცდიან ფიზიკურის ხეული ყველა ორგანოები ტვი-

ნის ჩათვლით. გავაშუქოთ ჩვენი აზრი მაგალითის მეშვეობით.

ბავშვისათვის, ძველი ხელსახოცისაგან შეიძლება თოჯინის გაკეთება, თუ მისი ორი კიდისაგან დავგრაგნით ხელებს, ხოლო ორი დანარჩენისაგან კი ფეხებს, გამოვნასკვავთ თავის მსგავს კვანძს, ხოლო თვალების, ცხვირისა და პირის მიდამოებში დავსვამთ მელნის წერტილებს. ან ბავშვს ასევე შეიძლება უყიდონ და მისცენ ე. წ. „მშვენიერი თოჯინა“ ნამდვილი თმებითა და ღაჟღაჟა ლოყებით. რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ასეთი „ლამაზი თოჯინა“ მართლაც რომ საშინელია, იგი ცხოვრებაში ბავშვის ესთეტიკურ გემოვნებას ძლიერ აჩლუნგებს. მოზარდი, რომელსაც ხელთ უპყრია გაკვანძული ხელსახოცი, თავისი საკუთარი ფანტაზიით უმატებს იმასაც, რაც ხელსახოცს აკლია იმისათვის, რომ იგი ადამიანს დაემსგავსოს. ფანტაზიის ასეთი ამუშავება ტვინის ფორმირებაზე მოქმედებს. ტვინი ისევე ფართოვდება, როგორც ფართოვდებიან კუნთები შესაფერისი მუშაობის შესრულებისას. „მშვენიერი თოჯინის“ მიწოდების შემთხვევაში ბავშვის ტვინი უმოქმედოდ რჩება. უმოქმედობით კი განვითარების ნაცვლად იგი ძაბუნდება. ადამიანები ნათელმხილველი ოკულტისტის მსგავსად რომ ხედავდნენ ტვინის ფორმირების პროცესს, ისინი თავიანთ ბავშვებს მხოლოდ ისეთ სათამაშოებს მიაწვდიან, რომლებიც ტვინის შემოქმედებით მუშაობას ეწევიან.

ყველა სათამაშო, რომელიც მკვდარი მათემატიკური ფორმირების მიხედვითაა აგებული, ახშობს და ჰკლავს ბავშვის შემოქმედებით ძალებს. ჩვენს მატერიალურ დროში ცოტაა კარგი სათამაშოები. კარგი სათამაშოები, როგორიცაა მაგალითად ჯოხების საშუალებით მოძრავი ორი ჩაქუჩოსანი მჭედელი, იშვიათად გვხვდებიან. ჩინებულია აგრეთვე დასურათებული წიგნები, რომელთა ფიგურები ძაფების მეშვეობით მოდიან ქმედებაში, ისე, რომ სურათსაც მოძრაობაში ხედავს ბავშვი. ასეთი სათამაშოები ორგანიზმში შინაგან მოძრაობას იწვევენ. შინაგანი მოძრაობა კი ორგანოებს სწორ ფორმას ანიჭებს. ამ საკითხებს ჩვენ აქ, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ გაკვრით შევეხებით, მაგრამ ოკულტიზმის მომავალი ამოცანაა დაწვრილებით დაამუშაოს აღზრდის ახალი საშუალებანი და იგი კიდევაც შესძლებს ამის განხორციელებას, რადგან ფლობს ყველა იმ უხილავ ხაზს, რომელთაგანაც ხილული აიგება.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი: ოკულტური მეცნიერების თვალსაზრისიდან გამომდინარე უნდა შევქმნათ ერთი გარემოცვა ნერვიული, აგზნებადი ბავშვისათვის და საკმაოდ განსხვავებული პირობა დუნე და მოუქნელისათვის. აქ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ: ოთახის შეფერილობიდან და ბავშვის გარემომცველი საგნებიდან დაწყებული მისი ტანსაცმლის ფერებამდე. ოკულტური მითითების უგულვებელყოფას ხშირად

საჭიროების საპირისპირო ქმედებამდე მიყვანა შეუძლია. ასე მაგალითად, ადვილად აგზნებადი ბავშვი წითელი და ნარინჯოვანი ელფერით უნდა გარემოვიცვათ და იმავე შეფერილობის ტანსაცმლითაც მოვრთოთ. დუნეთათვის კი ცისფერი და ცისფერ–მომწვანო ფერია მიზანშეწონილი. საქმე ის არის, თუ რომელი დამატებითი ფერი გამოიწვევა ამ დროს ბავშვში. წითლის დამატებითი ფერი იქნება მწვანე, ხოლო ცისფრისა – ნარინჯისფერი, რაშიც ადვილად დავრწმუნდებით, თუ გულდასმით დავაკვირდებით ამა თუ იმ ფერს, შემდეგ კი სწრაფად გადავიტანთ მზერას თეთრი საგნის ზედაპირზე. დამატებითი ფერი ბავშვის ფიზიკური ორგანოების მიერ წარმოიქმნება და ივწევს ბავშვის შინაგან მოთხოვნილებათა შესაბამისი ორგანოების ფორმირებას.

აღგზნებადი ბავშვის გარემოცვა წითელი ფერის საგნებით მასში მწვანე ანარეკლს გამოიწვევს. მწვანე ფერის ეს შინაგანი ზემოქმედება დამაწყნარებლად მოქმედებს. თავად ორგანოებიც სიმშვიდისადმი მიდრეკილებას იძენენ.

ძალზე მნიშვნელოვანია ამ ასაკში შემდეგ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება: ფიზიკური სხეული თავად აწესებს წონასწორობას იმისადმი, რაც მისთვის სასარგებლოა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ჯანსაღ ფიზიკურ სხეულს სურს ის, რაც მისთვის მარგებელია და სანამ საქმე მოზარდის ფიზიკურ სხეულს შეეხება, ყურადღებით

უნდა ვადევნოთ თვალი იმას, თუ რა აღვივებს მის მოთხოვნილებას და სურვილს, რა ჰგვრის მას სიხარულს.

კმაყოფილება და სიხარული. – ეს ისეთი ძალებია, რომლებიც ფიზიკური ორგანოების სწორ ფორმირებას განაპირობებენ. განსაკუთრებით მიზანშეწონილია ეს გარემოება მხედველობაში ვიქონიოთ კვების დროს. სხვადასხვა საკვებით შეიძლება ისე ჭარბად ვკვებოთ ბავშვი, რომ სავსებით დავაკარგვინოთ ჯანსაღი ინსტიქტი. ამ მიმართულებით, სწორედ დაყენებული კვებით კი შესაძლოა შევუნარჩუნოთ იგი იმ ზომამდე, რომ ბავშვი მოითხოვდეს მხოლოდ იმას, რაც მისთვის სასარგებლოა, ხოლო საზიანოს უგულვებელყოფდეს.

როდესაც სულიერი მეცნიერება (ანთროპოსოფია) მოწოდებული იქნება აღზრდის ხელოვნების ხელმძღვანელად, იგი ამ სფეროშიც შეძლებს ძვირფასი მითითებების მოწოდებას, რადგანაც მისთვის ცნობილია საგანთა რეალური ურთიერთდამოკიდებულება. მაშასადამე ფიზიკური სხეულის მაფორმირებელ ძალებს ეკუთვნიან: სიხარული, გარშემო მყოფთა კმაყოფილება, აღმზრდელთა მხიარული სახეები და რაც მთავარია გულწრფელი, უანგარო სიყვარული, სიყვარული, რომელიც თავისი გამათბობელი სხივებით მთლიანად მსჭვალავს ბავშვის გარემოცვას და ფიზიკური ორგანოების ფორმირებისათვის ისეთივე როლს თამაშობს, როგორსაც კრუხის სითბო ასრულებს

კვერცხის მიმართ. თუ კი სიყვარულით გაჟღენთილ ასეთ ატმოსფეროში მისაბაძი მაგალითებიც გაგვაჩნია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბავშვი ჩინებულ გარემოცვაში იმყოფება. ამიტომ მკაცრი მეთვალყურეობაა საჭირო, რათა ბავშვის თანადასწრებით არ გაკეთდეს ისეთი რამ, რაც მისაბაძად არასასურველია, ისეთი რამ უნდა მოვიმოქმედოთ, რომ შემდგომში დაგვჭირდეს ბავშვისთვის თქმა: შენ ეს არ უნდა გააკეთო. თუ რაოდენ დიდია ბავშვი მიბაძვისადმი სწრაფვა, ადვილად დავრწმუნდებით თუ დავაკვირდებით როგორ ცდილობს იგი ასოების გადმოხატვას მანამ, სანამ მათ მნიშვნელობას გაეცნობოდეს. კარგია, როდესაც ბავშვი ჯერ ასოებს იხატავს და მხოლოდ შემდეგ ეცნობა მათ შინაარსს, რადგან მიბაძვის ნიჭი ფიზიკური სხეულის განვითარების პერიოდთანაა დაკავშირებული, მაშინ როდესაც მოვლენათა შინაარსი ეთერულ სხეულს შეესაბამება. მასზე მოქმედება კი მართებულია არაუადრეს კბილთა ცვლის ჟამისა, როდესაც იგი თავისუფლდება მისი გარემომცველი ეთერული გარსიდან. მიმბაძველობის ამ პერიოდში განსაკუთრებით ადვილია ენების შესწავლა. ყურის გდებისას ბავშვი იოლად ეჩვევა სწორ გამოთქმას; წესების ხელოვნური შესწავლა კი ამაო შრომაა ამ ასაკში. ბავშვობის ადრეულ წლებში დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც აღზრდის ისეთი საშუალება, როგორიცაა მაგალითად საბავშვო სიმღერები, გრძნობაზე რაც შეიძლება

ლამაზ რიტმულ შთაბეჭდილებას ახდენენ. სიმღერის სიტყვიერი შინაარსი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც მისი ჰანგის სილამაზე.

რაც უფრო მეტ გამაცოცხლებელ ზეგავლენას განიცდის თვალი და ყური, მით უკეთესი, არც ცეკვების როლი უნდა შევამციროთ. რიტმული მოძრაობას მუსიკის თანხლებით ფიზიკურ განვითარებაზე კეთილად მოქმედებს.

კბილთა ცვლასთან ერთად ეთერული სხეულიც იცილებს ეთერულ გარსს და ამ მომენტიდან იგი მისაწვდომი ხდება გარე სამყაროს აღმზრდელობითი გავლენისათვის. გავარკვიოთ, თუ სახელდობრ რა მოქმედებს გარედან ეთერულ სხეულზე. ეთერული სხეულის სახეცვლილებისა და ზრდის ქვეშ ჩვევების, სინდისის, ხასიათის, მეხსიერების და ტემპერამენტის სახეცვლილება და განვითარება უნდა ვიგულისხმოთ. ეთერულ სხეულზე სასურველია მოქმედება სახეებით, მაგალითებით, ფანტაზიის შეგნებული წარმართვით. თუ კი შვიდ წლამდე მისაბაძად ბავშვს ფიზიკური მაგალითები უნდა მიეცეს, ყრმის გარემომცველ სამყაროში შეტანილ უნდა იქნას ყოველივე ის, რასაც თავისი შინაგანი არსებითა და ღირსებით მისი სწორი გზებით წარმართვა ხელეწიფება. ამ დროისათვის მიზანშეწონილი ის, რაც სურსათისა და სიმბოლოს მეშვეობით მოქმედებს. ეთერული სხეული მაშინ ძლიერდება, როდესაც ბავშვის ფანტაზია იკვებება ცოცხალი სახეებიდან და შედარებები-

დან მიღებული შთაბეჭდილებებით, იმით, რასაც ეთერული სხეულის ხელმძღვანელობა ხელეწიფება. განყენებული, აბსტრაქტული გაგებები კი არ მოქმედებენ ჯეროვანი სახით მზარდ ეთერულ სხეულზე, არამედ მხოლოდ თვალსაჩინო ფაქტები, ამასთან არა გრძნობადი თვალსაჩინოება, არამედ სულიერი თვალსაჩინოება.

ამ ასაკისთვის ყველაზე სწორი აღმზრდელობითი საშუალებაა სულიერი თვალსაჩინოება. ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის გარემოცვას ისეთი აღმზრდელობით, რომლებიც თავიანთი თვისებებით თვალსაჩინოდ იმოქმედებენ და ანარეკლის სახით გამოიწვევენ მასში სასურველ ინტელექტუალურ და ზნეობრივ ძალებს. როგორც ადრეულ წლებში ყრმისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა წაბაძვა და მაგალითი, ასევე ამ ასაკში დაჯერება და ავტორიტეტი წარმოადგენს აღზრდის მაგიურ საშუალებას. ბუნებრივია, ნებაყოფლობით ავტორიტეტად ჭაბუკის გარემომცველი ის სულიერი თვალსაჩინოება უნდა ჩაითვალოს, რომლის მიხედვითაც მას ძალუძს თავისი სინდისის, მიდრეკილების, ჩვევების გამომუშავება, რომელთა მეოხებითაც მისი ტემპერამენტი ნორმალურ კალაპოტში მოექცევა. ამ თვალსაჩინოებით იგი მსოფლიო მოვლენებს დაინახავს. სწორედ ამ ასაკს შეესატყვისება პოეტის შესანიშნავი სიტყვები: ყველამ უნდა ამოირჩიოს თავისი გმირი და მის კვალდაკვალ გადოს გზა

ოლიმპოსაკენ". მოკრძალება და მოწიწება" – ეს ისეთი ძალებია, რომელთა მეოხებითაც ეთერული სხეულის განვითარება სწორად წარიმართება და ვისაც ამ ასაკში გარკვეული პიროვნებისადმი უსაზღვრო მოწიწება არ განუცდია, იმისათვის მთელი შემდგომი შინაგანი ცხოვრება მეტად ღარიბი იქნება. სადაც არ არის მოწიწების გრძნობა, იქ იხშობიან ეთერული სხეულის მაცოცხლებელი ძალები. წარმოვიდგინოთ მოზარდის სამშვინველზე მოქმედი ამგვარი ეპიზოდი: რვა წლის ბიჭი ისმენს ამბებს გარკვეული პიროვნების უჩვეულო, საკვირველ თვისებებზე. ყოველივე, რასაც იგი მის შესახებ იგებს. წმინდათაწმინდა, მთრთოლვარე გრძნობას უნერგავს მას. და აი, მოატანს ჟამი, ოდეს ყმაწვილმა პირველად უნდა იხილოს მისი სათაყვანებელი ადამიანის სახე. მოწიწების ჟრუანტელი დაივლის მასში, როდესაც მისწვდება იგი იმ კარის სახელურს, რომლის მიღმა დგას ის, რომელიც ესა–ესაა უნდა გამოჩნდეს. ასეთ მომენტში განცდილი ეს შესანიშნავი გრძნობები მთელი ცხოვრების მანძილზე არ იკარგება და ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც არა მარტო ცხოვრების საზეიმო წუთებში, არამედ დღენიადაგ შეუძლია თვისთა აღმზრდელთა და მასწავლებელთა მზერა, როგორც ბუნებრივი ავტორიტეტებისა. ამ ცოცხალ ავტორიტეტებს ისტორიული ავტორიტეტები უნდა მიემატოს. დიად ისტორიულ სახეებს, თავდადებულ მამათა და დედათა საქმეებს სინდისისა

და გონების უფრო სწორი წარმართვა შეუძლიათ, ვიდრე ზნეობის განყენებულ წესებს, რომელთა ზემოქმედება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სქესობრივ სიმწიფეს მიწეული ასტრალური სხეული თავის დამცველი ასტრალური გარსისაგან თავისუფლდება. სასურველია, რომ ისტორიის შესწავლა სწორედ ამ მიმართულებით გაიმიზნოს. კბილთა ცვლის ჟამამდე, ის ზღაპრები და მოთხრობები, რომლებსაც ბავშვებს ვაწვდით, მხოლოდ კმაყოფილებას, სიხარულსა და მხიარულებას უნდა იწვევდნენ. შემდეგ პერიოდში უნდა ვისწრაფოდეთ იმსაკენ, რათა წარმომსახველი სურათები ახალგაზრდა სამშვინველში მიბაძვის სურვილს აღვივებდნენ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალი უხამსი ჩვევის ამოძირკვა შეიძლება, თუ მას დროზე წარმოვაჩენთ შემაზრზენი სურათების სახით. რამდენადაც ნაკლებად გვშველიან შეგონებები მიდრეკილებებისა და ჩვევების დროს, იმდენადვე იოლია ჭაბუკის ფანტაზიაზე უხამსი ადამიანის ცოცხალი მაგალითით ზემოქმედება, რათა მას შეექმნას წარმოდგენა იმის შესახებ, თუ სადამდე შეუძლიათ მიიყვანონ იგი ასეთმა ჩვევებმა. ეთერული სხეულის განვითარებაზე განყენებული წარმოდგენები კი არ მოქმედებენ, არამედ თვალსაჩინოდ გამოხატული ცხოვრებისეული სურათები ახდნენ გავლენას. მაგრამ მთელი ეს ზემოქმედება დიდ ტაქტს მოითხოვს და ამიტომაც თხრობის დროს ყველაფერი

მთხრობელზეა დამოკიდებული. ამის გამო თანაბარმნიშვნელოვნად არ შეიძლება ჩაითვალოს კითხვა და თავგადასავალი და შეუწყნარებელია ერთის მეორით შეცვლა. არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა წარმოდგენა კბილთა ცვლიდან სქესობრივი სიმწიფის პერიოდამდე სურათებისა და სახეების მეშვეობით იქნეს მოცემული. აუცილებელია, რომ მოზარდმა ადამიანმა ბუნების საიდუმლოებანი და ცხოვრების კანონები თავის თავში მიიღოს არა განსჯითი მცნებების საშუალებით, არამედ სიმბოლოების სახით. სულიერი ურთიერთდამოკიდებულებანი სამშვინველის წინაშე ისეთი მსგავსებებით უნდა მიედინებოდნენ, რომ ამ მიმსგავსებათა მიღმა ყოფიერების კანონზომიერება უნდა იყოს უფრო ამოსაცნობი და შესაგრძნობი, ვიდრე განსჯითი მცნებების საშუალებით აღსაქმელი რამ: „ყოველივე წარმავალი (გარდამავალი) არის მხოლოდ სიმბოლო“ – ასეთი უნდა იყოს აღზრდის ძირითადი გეზი ამ ასაკში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როდესაც ადამიანი ყოფიერების საიდუმლოებებს მსგავსებათა საშუალებით შეიგრძნობს, სანამ იგი ბუნების კანონების სახით შეაღწევდეს მის შეგნებაში. წარმოვიდგინოთ, რომ ბიჭუნას, ან გოგონას სამშვინველის უკვდავების და მისი სხეულიდან გასვლის შესახებ ელაპარაკებიან. საუბარი ამის შესახებ შედარების გამოყენების საშუალებით უნდა წარიმართოს მაგალითად, სამშვინველი შევადაროთ ჭუპრიდან

ამომავალ პეპელას. როგორც პეპელა გამოფრინდება ჭუპრიდან, ასევე სამშვინველიც თავისუფლდება სხეულიდან სიკვდილის შემდგომ.

ვერავინ ჩაწვდება განყენებული მცნებების ჭეშმარიტ არსს, თუ ისინი პირველ ხანებში ასეთი სახეებით არ აქვს მიღებული. ასეთი სიმბოლოებით მოქმედებენ არა მარტო გონებაზე, არამედ გრძნობაზე და მთელ სამშვინველზედაც ადამიანი, რომელსაც ბავშვობისას ასეთი გეზით წარმართავდნენ, ამ საკითხებთან სულ სხვა განწყობილებით მიდის, ვიდრე მაშინ, როდესაც მათ განყენებული მცნებების სახით ეცნობა. ამიტომ აუცილებელია, რომ აღმზრდელმა ბუნების ყველა კანონსა და სამყაროს საიდუმლოებებს შესაბამისი შედარება გამოუნახოს.

ასეთ შემთხვევაში დღესავით ნათელია, თუ რა ნაყოფიერად შეუძლია მოქმედებას სულიერ მეცნიერებას პრაქტიკულ ცხოვრებაში ვინმემ რომ ეს შედარებები თავისი მატერიალისტური განსჯითი შეხედულებებიდან აიღოს და ახალგაზრდებს ასე მიმართოს, იგი ალბათ ვერ მოახდენს მათზე სათანადო კარგ გავლენას.

ასეთი შედარებები ხელოვნურ და ნაწვალებ შთაბეჭდილებას ტოვებენ. როდესაც ადამიანი სახეებით ლაპარაკობს, მსმენელზე მარტო მისი ნათქვამი როდის მოქმედებს. მისგან თითქოს მსმენელთა განმსჭვალავი უხილავი სულიერი დენიც გამოდის. თუ მოსაუბრე თავისი შედარებებისადმი

თავად არ არის გაჟღენთილი ღრმა, გამათბობელი რწმენით, იგი მსმენელზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. სხვებზე ზემოქმედებისათვის საჭიროა ისევე განვიმსჭვალოთ ჩვენი შედარებებით, როგორც ცოცხალი სინამდვილით. ეს კი მხოლოდ სულიერი მეცნიერებისთვისაა შესაძლებელი, როდესაც შედარებანი თვით ამ სულიერი მეცნიერებიდან იკვებებიან. ნამდვილი ოკულტისტისათვის არ არის ძნელი სამშვინველის სხეულიდან გამოსვლის შესახებ ზემოხსენებულ შედარებათა პოვნა, რადგან ეს მისთვის ჭეშარიტებაა. მისთვის ჭუპრიდან პეპლის გამოსვლა ყოფიერების დაბალ საფეხურზე იმავე პროცესს წარმოადგენს, რომელიც მაღალ საფეხურზე, მაღალი განვითარებისას სხეულიდან სამშვინველის გამოსვლის სახით მეორდება. იგი ღრმადაა ამაში დარწმუნებული. ეს მძლავრი რწმენა მოუბარიდან იდუმალ ჩქერებად მომდინარე, დამაჯერებელი ძალით შედის მსმენელში. ამ დროს, სიცოცხლე უშუალოდ იღვრება აღმზრდელიდან აღსაზრდელში და პირიქით. მაგრამ ასეთი ცხოველმყოფელი ზემოქმედების მისაღწევად, აღმზრდელი ღრმა ოკულტური წყაროებიდან უნდა იკვებებოდეს, რათა მისი სიტყვები და ყოველივე მისგან წარმონადენი განმსჭვალოს გრძნობით, სითბოთი და ჭეშმარიტი სულიერი მეცნიერების შუქით. მაშინ აღმზრდელობითი საქმის წინაშე დიადი, სხივმომფინარი პერსპექტივები გადაიშლებიან. იგი ნათელი, გააზრებული

ცხოვრებით აღივსება და აღსრულდებიან ის ქმედებანიც, რომელნიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენენ ამ სფეროში.

სამშვინველისეული ნიჭი, რომელსაც ადამიანის განვითარების ამ პერიოდში უნდა მიექცეს ყურადღება – არის მეხსიერება. მეხსიერების გაღვივება ერთეული სხეულის ფორმირებასთანაა დაკავშირებული, რადგანაც იგი კბილთა ცვლისა და სქესობრივ სიმწიფეს შორის მდებარე პერიოდში ყალიბდება. ამიტომ სწორედ ამ დროსაა მიზანშეწონილი მეხსიერების განვითარებაზე რაც შეიძლება სრული ზემოქმედება გარედან. ამ პერიოდში დაკარგულის შემდგომი ანაზღაურება შეუძლებელია.

აღზრდის შესახებ განსჯისმიერ მატერიალისტურ შეხედულებას უამრავ შეცდომათა დაშვება ძალუძს, მასზე დაფუძნებული აღმზრდელობითი სისტემა ადვილად მიდის ცრუ რწმენამდე და ამასთანავე ეწინააღმდეგება მარტოოდენ მეხსიერების საშუალებით ოპერირებას. იგი თავგამოდებით იბრძვის მეხსიერების უბრალო წვრთნის წინააღმდეგ და იგონებს, რაც შეიძლება დახვანჯულ მეთოდებს, რათა ყმაწვილმა არას გზით არ შეითვისოს მეხსიერებით ის, რაც მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელია. როგორაა გამჯდარი მათში ეს აზრი. განსჯითი მატერიალისტური შეხედულება ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ საგანთა არსში ჩაწვდომა მხოლოდ განყენებულ მცნებათა

მეშვეობით შეიძლება. იგი ძნელად თუ შეიგნებს, რომ საგანთა წვდომისათვის გონების გარდა სხვა სამშვინველისეული ძალებიც ასევე აუცილებელია. არ უნდა მივიჩნიოთ უბრალო ფიგურალურ გამოთქმად, როდესაც ამბობენ, რომ არა მარტო გონებით შეიძლება წვდომა, არამედ გულით, გრძნობითაც და სამშვინველითაც. მცნება მხოლოდ ერთ–ერთი საშუალებათაგანია გარე სამყაროს წვდომისათვის. მხოლოდ მატერიალისტებს მიაჩნიათ იგი ერთადერთად, თუმცა საკმარისად იპოვებიან ისეთი ადამიანებიც, რომელნიც თავს მატერიალისტებად არ მიიჩნევენ, და მაინც არ ცნობენ შემეცნების სხვა საშუალებას გარდა განსჯის მიერისას. ასეთ ხალხს თავისი მსოფლმხვედველობა შეიძლება იდეალისტური, ან უფრო მეტიც, სპირიტუალისტური ჰგონია, მაგრამ სულის სიღრმეში კი მის მიმართ მატერიალისტურ დამოკიდებულებას იჩენს. განსჯა – სამშვინველის ისეთი იარაღია, რომელიც მხოლოდ მატერიალური საგნების შესაცნობად გამოდგება.

ამ იდეის უფრო ღრმა საფუძვლების მისათითებლად ჟან პოლის ზემოხსენებული წიგნიდან მოვიყვანთ ერთ ადგილს აღზრდის შესახებ. საერთოდ, ეს წიგნი ძვირფას შეხედულებებს შეიცავს აღზრდასთან დაკავშირებით და უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე მისდამი იჩენენ. ზემოხსენებული ადგილი მიგვითითებს: „მთელი წინადადებაც რომ ვერ გაიგონ, ნუ შეშინდებით: თქვენი სახის გამო-

მეტყველება, თქვენი ინტონაცია და სურვილი, მოსწავლის წინასწარჭვრეტიდან აღმოცენებული სურვილი გაგებისა გააშუქებს ნათქვამის ერთ ნაწილს და ამ ნაწილის მეშვეობით დროთა ვითარებაში დანარჩენი ნაწილიც გასხივოსნდება. ინტონაცია ბავშვებისათვის, ასევე ჩინელებისათვის და მაღალი საზოგადოების ადამიანებისათვის მეტყველების ნახევარია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბავშვები, ისევე როგორც მოზრდილნი, ბერძნულს, ან სხვა ნებისმიერ ენას ჯერ ისმენენ, ხოლო შემდეგ იწყებენ მასზე ლაპარაკს, დროისა და საგანთა ურთიერთკავშირებს უფრო მეტად უნდა მივენდოთ. ისინი დაეხმარებიან ბავშვს გაგონილის შეცნობაში. ხუთი წლის ბავშვს ესმის სიტყვები: „მაგრამ“, „თუმცა“, „ოლონდ“, „რასაკვირველია“, მაგრამ სცადეთ აუხსნათ ისინი არა თუ ბავშვს, არამედ მამამისს! ერთ სიტყვაში „თუმცა“, უკვე მთელი ფილოსოფიაა. თუ რვა წლის ბავშვის გამართული მეტყველება კარგად ესმის სამი წლის ბავშვს, მაშინ რატომ უნდა დაიყვანოს მოზრდილმა ეს მეტყველება ბავშვის ნახევრად გაუგებარ მეტყველებამდე. ლაპარაკის დროს ბავშვს რამოდენიმე წლით წინ უნდა გავუსწროთ. ხომ გველეპარაკებიან ჩვენ თავიანთ წიგნებში გენიოსები, რომლებიც რამოდენიმე ასწლეულით გვისწრებენ. ერთი წლის ჩვილთან საჭიროა მეტყველება როგორც ორწლიანთან, უკანასკნელთან როგორც ექვსწლიანთან, რადგან განვითარებისას განსხვავებანი წლების უკუპროპორციულად

კლებულობენ. სასურველია აღმზრდელმა, რომელსაც სწავლის საქმე მხოლოდ მასწავლებელზე დამოკიდებული ჰგონია, არ დაივიწყოს, რომ ბავშვი საკუთარ თავში უკვე ატარებს თავისი სულიერი სამყაროს ნახევარს – მაგალითად დასრულებულ და შეთვისებულ ზნეობრივ და მეტაფიზიკურ წარმოდგენებს, და ამიტომაც, მხოლოდ სხეულებრივი შედარებებით მომარაგებულ მეტყველებას არ შეუძლია სულიერ მცნებათა მიწოდება, იგი მხოლოდ გადაკვრით მიუთითებს მათზე.

ბავშვებთან ლაპარაკის დროს თვით მათივე საკუთარი განსაზღვრულობიდან და უშუალობიდან უნდა ვისესხოთ მეტყველების გამჭვირვალება და განსაზღვრულობა. მათგან შეიძლება მეტყველების სწავლა ზუსტად ისევე, როგორც შეიძლება მათივე განსწავლა მეტყველების საშუალებით. ისინი ხშირად გაბედული და სავსებით სწორი სიტყვის მწარმოებლები არიან – მაგალითად: მამალი, მამალიკო, მამლაყინწა, მამლუკა და ა. შ. თუმცა ის ადგილი, რომელიც ბავშვის უნარს შეეხება და მიუთითებს გაგებაზე მანამ, სანამ მისი გონება მომწიფდებოდეს, ჩვენი საუბრის სფეროში არ შედის, მაგრამ ყოველივე, რაც ჟან პოლმა თქვა ენის შესახებ, მთლიანად შეიძლება მივუსადაგოთ ჩვენს საკითხს. ისე ვით ბავშვი ითვისებს ენის წყობას თავისი მშვინვიერი ორგანიზმით, ასევე ყმაწვილმაც, მეხსიერების განსავითარებლად უნდა შეისწავლოს საგნები, რომლებსაც გონებრივად მხოლოდ მოგვიანებით

შეიმეცნებს. დროთა ვითარებაში უფრო ადვილი გასაგები ხდება ის, რასაც ამ ასაკში მეხსიერებით ითვისებენ; ზუსტად ისევე, უფრო იოლად შეისწავლიან იმ ენის წესებს, რომელზედაც უკვე ლაპარაკობენ. ის აზრი, რომ მეხსიერებითი ათვისება საზიანოდ მოქმედებს, მხოლოდ მატერიალისტური ცრურწმენაა. მაგალითად, ყმაწვილს რამოდენიმე მაგალითი უნდა ვუჩვენოთ გამრავლების ყველაზე უფრო აუცილებელი კანონები, რისთვისაც არავითარი გამომთვლელი მანქანა არაა საჭირო, არამედ საჭიროა მხოლოდ თითების გამოყენება. შემდეგში კი მან საფუძვლიანად უნდა დაიზეპიროს გამრავლების ტაბულა. ასეთი მიდგომით ჩვენ მოზარდი ადამიანის ბუნების შესაბამისად ვიმოქმედებთ და პირიქით: მის საზიანოდ ვცოდავთ, როდესაც მეხსიერების განვითარებისათვის საჭირო პერიოდში მეტისმეტად ვძაბავთ მის გონებას.

გონება მშვენიერი ძალაა. იგი იბადება მხოლოდ სქესობრივი მომწიფებისას და ამ დრომდე დაცული უნდა იქნას გარეშე ზეგავლენებისაგან. ამ დრომდე ყმაწვილმა მეხსიერებით უნდა აითვისოს ის საუნჯე, რომელზედაც კაცობრიობას უფიქრია და მხოლოდ შემდგომში დაუდგება მას ჟამი ყოველივე იმაში გონებით ჩაწვდომის, რაც წინასწარ, საფუძვლიანად ჩაბეჭდილა მეხსიერებაში.

ამრიგად, ადამიანმა არა თუ უნდა დაიმახსოვროს ის, რაც გაიგო, არამედ ბოლომდე უნდა ჩაწვდეს იმ საგნებს, რომლებიც უკვე გაიცნო. ე. ი. რომლე-

ბიც მას ისევე აქვს მეხსიერებით შეთვისებული, როგორც ბავშვს სალაპარაკო ენა. ამ აზრს რაც შეიძლება ფართო მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. მაშასადამე, ჯერ ისტორიულ მოვლენათა უბრალო დამახსოვრება, ხოლო შემდგომ მათი შეგნებული აღჭურვა ცნებებით. ჯერ გეოგრაფიული მონაცემების კარგი მეხსიერებითი ათვისება, ხოლო შემდეგ მათ ურთიერთდამოკიდებულებებში გარკვევა და ა. შ. ცნებათა განვითარება გარკვეული მიმართებით უნდა წარიმართოს მეხსიერების მიერ დაგროვებული სიმდიდრის მეშვეობით. მით უკეთესია, რაც უფრო მეტი იცის მოზარდმა მეხსიერებით მანამ, სანამ მცნებათა ჩამოყალიბებას შეუდგებოდეს. თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველივე რაც ზემოთ ითქვა, შეეხება ჩვენს მიერ ნაგულისხმევ ასაკს და არა მოგვიანოს.

ცოდნის შეძენაში დაგვიანებულისათვის, რომელიც სიმწიფის ასაკში იწყებს სწავლას, ცხადია პირუკუ სავალი გზა იქნება სწორი და სასურველი. თუმცა აქაც ბევრი რამაა დამოკიდებული მოსწავლის სამშვინველის თვისებებზე.

მაგრამ ამასთანავე მხოლოდ გრძნობად შთაბეჭდილებებზე დაფუძნებული მეტისმეტად თვალსაჩინო სწავლებაც მატერიალისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. ამ ასაკში ყოველგვარი თვალსაჩინო სწავლება გასულიერებულ უნდა იქნას. არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმით, რომ ბავშვს ვაჩვენოთ მცენარე, თესლი ან ყვავი-

ლი. ყველაფერი უნდა იყოს სულიერი სახეების სიმბოლო. თესლი არ წარმოადგენს მხოლოდ იმას, რითაც იგი წარმოუჩინდება თვალს, მასში უხილავადაა მოცემული მომავალი მცენარე და რაკიღა ეს ფაქტი თვალით დანახულზე მეტია, ამიტომ ეს აღქმული უნდა იქნეს გრძნობის, ფანტაზიისა და სულის მიერ. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ბუნების საიდუმლოებებში წვდომა წმინდა გრძნობიერ თვალთახედვას აბუნდოვანებს. პირიქით, გარეგანი თვალთახედვით, შეზღუდული ვერასოდეს ჩაწვდება საგანთა ჭეშმარიტ არსს. ყოველი საგნის ჭეშმარიტი შინაარსი ხომ სულისა და მატერიისაგან წარმოდგება და ამიტომ, არანაკლები მონდომებით უნდა ვაწარმოო დაკვირვება მაშინაც, როდესაც გრძნობადი ფიზიკური მოვლენების გარდა, სხვა მშვინვიერი ძალებიც მოქმედებენ. ადამიანები რომ ხედავდნენ ისე, როგორც ამას ოკულტისტი ხედავს, თუ რამდენი რამ იხშობა სამშვინველსა და სხეულში მხოლოდ გარეგანი თვალსაჩინოების შესწავლით, ისინი ამ მეთოდს ასე აღარ ჩააცივდებოდნენ. მაღალი გაგებით აბა რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ყმაწვილისათვის ყოველივე იმას, რასაც იგი ხედავს სხვადასხვა მინერალში, მცენარეში, ცხოველში, ფიზიკურ ექსპერიმენტში, თუკი ისინი მათივე გამასულიერებელი სიცოცხლის საიდუმლოებათა წვდომაში არ ემსახურებიან მას, როგორც გრძნობიერი სიმბოლოები. მატერიალისტური მსოფლმხედველობის ადამიანს

ცხადია, არ შეუძლია საქმის იმგვრად წარმართვა, როგორც ჩვენ მივუთითეთ. ოკულტისტისთვის ეს სავსებით ნათელია, მაგრამ მას ისიც ესმის, რომ აღზრდის ჭეშმარიტი სასიცოცხლო ხელოვნება ვერ წარიმართება მატერიალისტური შეხედულებებით. რაოდენ პრაქტიკულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, სინამდვილეში ის სრულებით ვერ აღწევს პრაქტიკულ შედეგებს. მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება სიცოცხლის გარეგამოვლენას მთელი თავისი ცხოვრებისეული სისავსით. ჭეშმარიტი ყოფიერების. წინაშე მატერიალისტური მსოფლმხედველობა – ფანტაზიაა. მაგრამ გასაგებია ისიც, რომ მატერიალისტსაც ფანტაზიად უნდა წარმოუდგეს სულიერი მეცნიერების შესაბამისი განმარტებანი.

მიუხედავად ამისა, რადგან ამ განმარტებათა საფუძველი ჭეშმარიტებაა. ისინი გამსჭვალავენ კულტურას და მიანიჭებენ მას ახალსა და უფრო მაღალ შინაარსს. მხოლოდ იმის ნათელი შეგნება, თუ როგორ მოქმედებენ აღზრდის მოცემული ხერხები ჭაბუკზე, აღმზრდელს სწორი ტაქტით აღჭურვავს, რათა ამა თუ იმ შემთხვევისას აირჩიოს შესაბამისი მეთოდი. ამრიგად, აუცილებელია შეგნებულად მივუდგეთ მშვინვიერ ძალებს: აზროვნებას, გრძნობას და ნებას, ისე, რომ მათი განვითარება ანარეკლის სახით მოქმედებდეს ეთერულ სხეულზე, სანამ ეს უკანასკნელი გარეშე ზეგავლენების მეშვეობით თანდათან უფრო მკაფიოდ ყალიბდება კბილთა ცვლის პერიოდიდან სქესობრივ სიმწიფემდე.

ზემოხსენებული აღმზრდელობითი პრინციპების სწორი გატარებით, საფუძველი ძლიერი ნების განვითარებისათვის პირველი შვიდი წლის განმავლობაში უნდა ჩაიყაროს. ასეთი ნება უპირველეს ყოვლისა ფიზიკური სხეულის კარგად განვითარებულ ფორმებს უნდა ემყარებოდეს. კბილთა ცვლასთან დაკავშირებით მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ დროს, განვითარებაში მყოფი ეთერული სხეული ფიზიკურ სხეულს აწვდიდეს ისეთ ძალებს, რომელთა შემწეობითაც იგი შეძლებდა თავისი ფორმების გაძლიერებასა და გამაგრებას. ის, რაც შთამბეჭდავად მოქმედებს ეთერულ სხეულზე, უფრო და უფრო ამაგრებს ფიზიკურ სხეულსაც. ყველაზე მძლავრ იმპულსებს ეთერულ სხეულს ის გრძნობები და წარმოდგენები აწვდიან, რომელთა მეოხებით ადამიანი განიცდის და ადგენს თავის ნამდვილ დამოკიდებულებას სამყაროს მარადიულ პირველსაწყისებთან. მაშასადამე დანარჩენი იმპულსებიდან ყველაზე მძლავრ ზემოქმედებას რელიგიური განცდები ახდენენ. ადამიანის ნება და ხასიათი ვერ ეღირსება ჯანსაღ განვითარებას, თუ მას ამ ასაკში არ შესწევს უნარი განიცადოს ღრმადგამსჭვალავი რელიგიური იმპულსები.

ადამიანური ნების ხასიათში ნათლად ვლინდება, გრძნობს თუ არა თავს იგი მთელს სამყაროსთან კავშირში. თუკი იგი არ გრძნობს თავს მჭიდრო კავშირში ღვთივსულიერთან, მაშინ მისი ხასიათი და სოფმხედველობა მერყევი დარჩება.

ყრმის გრძნობათა სამყარო სწორი გზით ვითარდება, თუ იგი უხვად იკვებება ზემოჩამოთვლილი შედარებებითა და სიმბოლოებით და ყოველივე იმითაც, რის მოცემაც შეუძლია ისტორიას და სხვა წყაროებს, რომლებიც მის წინაშე წარმოაჩენენ ადამიანთა კეთილშობილ და ღირსეულ ხასიათებს. ასევე მნიშვნელოვანია გრძნობათა გასაღრმავებლად ბუნების იდუმალებასა და სილამაზეში წინსვლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მიზანშეწონილია სილამაზის შეგრძნების განვითარება და ხელოვნებისადმი სიყვარულის გაღვივება. მუსიკალურობა რიტმის გრძნობას უღვივებს ეთერულ სხეულს, რომელიც სამუდამოდ ანიჭებს მას საგნებში დაფარული რიტმის პოვნის უნარს. ახალგაზრდას ბევრი რამ დააკლდება ცხოვრებაში შემდგომ, თუ ამ ასაკში არ ცდილან მისი მუსიკალურობის განვითარებას. სამყაროს ცხოვრების ბევრი სფერო სამუდამოდ დაიხურება მისთვის, ვინც სავსებით მოკლებულია მუსიკალურობას. სასურველი არ არის სხვა ხელოვნებათა უგულვებელყოფაც. აღზრდის სწორ სისტემაში უნდა შედიოდეს როგორც არქიტექტურის სტილებისა და ფორმებისადმი, ასევე პლასტიკური სახეებისადმი, ნახატის ხაზთა სილამაზისადმი და ფერთა ჰარმონიისადმი გემოვნების გაღვივებაც. არახელსაყრელი პირობების შემთხვევაში, როგორადაც არ უნდა მოგვიხდეს ამ გეგმის განმარტება, სწორი არ იქნება ის აღმზრდელი, რომელიც იტყვის, თითქოს ამ მიმართუ-

ლებით არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდეს. თუ უმარტივესი საშუალებითაც შეიძლება მრავლის მიღწევა, თუ აღმზრდელს ამისათვის სათანადო უნარი გააჩნია. სიცოცხლისადმი სიყვარული, მჩქეფარება, შეუპოვარი შრომა – ყოველივე ეს ხელოვნებისა და სილამაზისადმი მართებულად განვითარებული გემოვნებიდან აღმოცენდება. როგორ ამშვენებს და აკეთილშობილებს სილამაზის ეს ფაქიზი გრძნობა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას. განვითარებაში მოცემული ცხოვრებისეული სურათების და იდეალური ავტორიტეტების მეოხებით, ამავე წლებში აღმოცენებული ზნეობის გრძნობაც ძალ–ღონით აივსება, როდესაც სილამაზის მომწიფებული შეგრძნება სიკეთის მცნებას მშვენიერებად ითვისებს, ხოლო ბოროტების გაგებას – შემაზრზენ შთაბეჭდილებად.

წმინდა აზროვნება, როგორც განყენებულ მცნებათა შინაგანი დინება ამ ასაკისათვის უადგილოა. იგი თავისთავად მაშინ უნდა ჩამოყალიბდეს, როდესაც სამშვინველი შედარებების და ცოცხალი სახეების მეშვეობით ითვისებს ბუნების საიდუმლოებებს. ამრიგად, შვიდი წლის ასაკიდან სქესობრივ სიმწიფემდე სხვა სამშვინველისეულ განცდებთან ერთად თანდათან აზროვნებაც უნდა განვითარდეს. მსჯელობის უნარი ამ პერიოდის ბოლოსათვის იმდენად უნდა მომწიფდეს, რომ ადამიანმა სავსებით დამოუკიდებელი აზრი იქონიოს ცხოვრებისა და ცოდნის საკითხებზე. ამ დრომდე სხვა სამშვინ-

ველისეული ძალების განვითარებით რაც უფრო ნაკლებ ზემოქმედებას მოვახდენთ უშუალო განსჯით უნარზე, მით უფრო კარგ შედეგს მივიღებთ ადამიანის მთელ შემდგომ ცხოვრებაში. ეზოტერული ცოდნა სწორ მითითებებს გვალძევს არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური აღზრდის სფეროშიც. მაგალითად, იგი რეკომენდაციას უწევს გიმნასტიკისა და ახალგაზრდული თამაშების სხვადასხვა სახეებს. ისე ვით სიყვარულის გრძნობა და სიხარული უნდა აღავსებდნენ ბავშვობის პირველ წლებს, ასევე ეთერული სხეულიც უნდა გამყარდეს და განვითარდეს ფიზიკურ ვარჯიშთა შემწეობით.

გიმნასტიკური ვარჯიშები ისე უნდა წარიმართოს, რომ ყოველ მოძრაობაზე. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ყმაწვილის შიგნით იბადებოდეს განცდა: „ჩემი ძალა იზრდება". იმ განცდამ უნდა მოიცვას სამშვინველი, აღავსოს იგი კეთილდღეობის ჯანსაღი მხიარული განწყობილებით. ასეთი გიმნასტიკური ვარჯიშებით ხელმძღვანელობისათვის ადამიანის სხეულის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზუსტი ცოდნა არ არის საკმარისი. აქ აუცილებელია ინტიმური წვდომა და ინსტუიციურად შენაგრძნობი ცოდნა ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ, რომელიც არსებობს ადამიანის სხეულის გარკვეულ მდგომარეობათა, გარკვეულ მოქმედებათა და კმაყოფილების გრძნობას შორის. გიმნასტიკური ვარჯიშების ხელმძღვანელმა თავად უნდა განიცადოს ადამიანის სხეულის გარკვეული მდგო-

მარეობით გამოწვეული სიხარულის მომგვრელ ძალთა შეგრძნება და იცოდეს, თუ რომელი მოძრაობები იწვევენ ძალების კარგვას და ა. შ. ფიზიკური ვარჯიშების ამ მიმართულებით წარმართვისათვის აღმზრდელი უნდა ფლობდეს მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნით შეძენილ განწყობილებას. ვინც დაიწყებს მათ მართებულ გამოყენებას, მას ცხოვრება თვითონ დაუმტკიცებს მათსავე სისწორეს ყოველგვარ თეორიებზე და ლოგიკურ საფუძველებზე უკეთესად, რადგან სულიერი ჭეშმარიტებები ყველაზე კარგად მათივე ნაყოფით შეიცნობიან.

სქესობრივი სიმწიფის მიღწევისას იბადება ასტრალური სხეული. უკანასკნელის განთავისუფლებასთან ერთად დგება ჟამი ადამიანის „მე„–ზე ყოველივე იმის ზემოქმედებისა, რაც მოცემულია განყენებულ იდეათა სამყაროში, განსჯისა და თავისუფალ დასკვნათა გამოტანის უნარში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს სამშვინველისეულნი უნარნი უნდა განვითარებულიყვნენ მათზე პირდაპირი ზემოქმედების გარეშე, მხოლოდ ირიბი აღმზრდელობითი ზეგავლენის მეშვეობით, ისევე როგორც დედის ორგანიზმში ვითარდებიან თვალნი და ყურნი სინათლისა და ბგერის უშუალო გავლენის გარეშე. სქესობრივ სიმწიფესთან მიახლოვებისას დგება ჟამი, როდესაც ადამიანი მზადდება საკუთარი შეხედულების გამოსამუშავებლად იმის შესახებ, რაც ადრე შეუსწავლია. არაფერია უფრო მეტად მავნებელი, ვიდრე ნაადრევად გამოწვეული საკუთარი

შეხედულება. განსჯა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯელობისა და შედარებისათვის წინასწარაა მასალა მომზადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუსაბუთებელ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. ცოდნის ნამცეცებზე დაფუძნებული ცალმხრივობა და ცარიელი „მმოსავობა“, რომლის თვალსაწიერიდან ქარაფშუტულად მსჯელობენ კაცობრიობის უმაღლეს განცდებზე, აღზრდაში ამ მიმართულებით დაშვებული შეცდომის მიზეზით წარმოიშობა. სანამ აზროვნებისათვის მომწიფდებოდე, საჭიროა ისწავლო პატივისცემა სხვათა ნააზრევისა. წარმოუდგენელია ჯანსაღი აზროვნება, თუ მას წინ არ უსწრებდა რწმენაზე და ეჭვმიუტანელ ავტორიტეტებზე დამყარებული ჯანსაღი გრძნობა სინამდვილისა. ეს იდეა აღზრდის დროს რომ ტარდებოდეს, ჩვეულებრივ მოვლენად არ გადაიქცეოდა ის ფაქტი, რომ ჭაბუკნი, რომელნიც თავს მომწიფებულად თვლიან დამოუკიდებელი მსჯელობისათვის, ხელს უფრო უშლიან ცხოვრების დიად გამოცდილებას იმოქმედოს მათსავე ცნობიერებაზე. ადამიანის ყოველ აზრს, რომელიც სამშვინველის გამოცდილების ბუნებრივ საძირკველს არ ეყრდნობა, შეუძლია მხოლოდ მისი ცხოვრების გაფუჭება. რამდენადაც აზრი წინასწარ შექმნილია, ადამიანი სამუდამოდ რჩება მისი გავლენის ქვეშ და ცხოვრებისეულ მოვლენებს ისე ნათლად და თავისუფლად აღარ ღებულობს, როგორც მათ გახსნილი გონების შემთხვევაში მიიღებდა. გარემოს შესახებ დასკვნები უნდა

ჩამოყალიბდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა დანარჩენი მშვინვიერი ძალა გამოვლინდება. დასაწყისისათვის ჭკუა მხოლოდ დამაკავშირებლის როლს უნდა ასრულებდეს, იგი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ წარმონაჩენი და შენაგრძნობი აღვიქვათ ისე, როგორც ის გვეძლევა. არ უნდა ვეცადოთ მის დაქვემდებარებას ჩვენი მოუმწიფებელი მსჯელობისადმი. ამიტომ, ამ ასაკის ჭაბუკისათვის უმჯობესია, თუკი ის ჯერჯერობით არ გაეცნობა გონებით განჭვრეტილ თეორიებს. ამ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრებამ მთელი თავისი სისავსით იმოქმედოს მასზე და რაც შეიძლება მთლიანობაში იქნას იგი აღქმული ახალგაზრდა სამშვინველის მიერ. ცხადია, შეიძლება გავაცნოთ ყმაწვილს ის, რაც ხალხს სხვადასხვა მოვლენების შესახებ უფიქრია, მაგრამ ამასთანავე საჭიროა იგი დავიცვათ იმისაგან, რომ ნაადრევი მსჯელობის წყალობით ვიწრო ჩარჩოებში არ მოაქციოს თავისი აზრი. მას უნდა შეეძლოს ძალზე მრავალფეროვანი შეხედულებების სმენა, ისე, რომ დავაჟკაცებამდე არც ერთ პარტიას არ მიემხროს, ასეთი სისტემის ბოლომდე გატარება მასწავლებლების და აღმზრდელების მხრიდან დიდ ტაქტს მოითხოვს. და სახელდობრ, სულიერ მეცნიერებაზე დაყრდნობილ ასეთ ღრმა მსოფლმხედველობას შეუძლია ამ ტაქტის შემუშავება.

სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, აღზრდის შესახებ ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე შეხედუ-

ლების ჩამოყალიბება შევძელით. ჩვენი ამოცანაც იმაში მდგომარეობდა, რომ მიგვეთითებინა მის კულტურულ მნიშვნელობაზე აღზრდის საქმეში. მისმა შემოქმედებამ შედეგს რომ მიაღწიოს, ამისათვის მისი რაც შეიძლება ფართო წრეებში გავრცელებაა აუცილებელი. ეს რომ შესაძლებელი გახდეს, ამისათვის ორი პირობაა საჭირო. უპირველეს ყოვლისა უარი უნდა ვთქვათ ცრუ შეხედულებებზე სულის მეცნიერებასთან დაკავშირებით. ვინც კი სულიერ მეცნიერებას მიენდობა, დარწმუნდება, რომ ეს არ არის ფანტაზიორობა, როგორც ჯერ კიდევ ბევრნი ფიქრობენ. ეს არ არის საყვედურით თქმული, იმიტომ, რომ ასეთი დამოკიდებულება სავსებით ბუნებრივია განვითარების თანამედროვე პირობებისათვის. უმრავლესობა ანთროპოსოფოსებს ალბათ უყურებს როგორც ფანტაზიორებს და მეოცნებეებს, ზედაპირული შეხედულებით სხვაგვარ დასკვნას ვერც გამოიტან, რადგან სულის მეცნიერების როლში მყოფი ანთროპოსოფია და ყოველივე ის, რასაც თანამედროვე კულტურა ჯანსაღი მსოფლმხედველობის საფუძვლად მიიჩნევს, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და მხოლოდ უფრო ღრმა განხილვისას ირკვევა, თუ რამდენად გარდუვალია თანამედროვე შეხედულებათა წინააღმდეგობანი და რარიგ უიმედოა მათი მორიგება იმ შემთხვევაში, თუ სულიერი მეცნიერება არ იქცევა მსოფლჭვრეტის საფუძვლად.

მეორე აუცილებლობა – ეს არის თვით ანთრო-

პოსოფიის სწორი განვითარება. ანთროპოსოფიის ზემოქმედებისათვის ცხოვრების სხვადასხვა სფეროები მხოლოდ მაშინ გაიხსნება, როდესაც ანთროპოსოფიულ წრეებს ყველგან გამსჭვალავს ნათელი შეგნება იმისა, რომ ანთროპოსოფიის ნამდვილი არსი მისივე სწავლების ყველა სასიცოცხლო მოვლენებთან მისადაგებაში მდგომარეობს და არა თეორეტიზირებაში. სხვაგვარად, ანთროპოსოფიაზე ექნებათ წარმოდგენა, როგორც ცალკეულ უცნაურ მეოცნებეთა რელიგიურ სექტანტობაზე. მხოლოდ სასარგებლო, ცხოვრებაში გატარებული სულიერი მუშაობა შეძლებს ანთროპოსოფიული მოძღვრების ფრთოდ გავრცელებას, რომელიც გააჯანსაღებს და გაასულიერებს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს.

გვაწუხებს სინდისი, გვაფორიაქებს... ეს ყველაფერი რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, შეშფოთება კი არა, უფრო დამშვიდება, ადამიანის „განკურნება“, მისთვის დარდის შემსუბუქება მიყვარს... ყველა სტუდენტთა გონივრულ გადატვირთვაზე წუხს... ფსიქოლოგიური გადატვირთვა კი არავის ახსოვს...

ამას წინათ, ჩემს ყოფილ სტუდენტს შევხვდი, ვთქვით აქაურიც, იქაურიც... გავიხსენეთ წარსული... უცებ თხოვნა: – თქვენს ლექციაზე დასწრება შეიძლება? – რასაკვირველია, შეიძლება! – ეკა აფორიაქებულია, ცხოვრება არეული აქვს, ლექციაზე შემოსვლა ჩვეულებისამებრ საკუთარი თავის

შესაცნობად მოენატრა... რას იზამ უნდა გარდავიქმნა–მეთქი, – ვიფიქრე (პედაგოგიკისათვის ასეთი რამ ჩვეულებაა) მაგრამ ერთისათვის? ისიც ყოფილი სტუდენტისათვის? – რატომ ერთისათვის, – ყველასთვის! ოღონდ ერთის მისამართით, ისე, როგორც ყველა კარგ, მრავლისმთქმელ ლექციაზე... დიახ, სწორედ რომ მაშინ გამოდის ყველაზე კარგი ლექცია! აუდიტორია უსახო მასაა, თუ, მასში „ერთი“ მაინც არ არსებობს განსაკუთრებული მსმენელი, საკუთარ მესთან უხმოდ მოსაუბარე...

ბაგრატიონს უბრძანებენ, ჩამოხტეს ცხენიდან და მანევრები სხვებივით ფეხით გაიაროს, მას კი რევმატიზმისგან ფეხები დასიებული აქვს... „არმიაში ინვალიდების ადგილი არ არის!“ – გაკვესა მყვირალა ზემდგომის შეძახილმა! ბაგრატიონმა აღვირი მოქაჩა, ახლა გამოუსწორებელი რამ შეიძლება მოხდეს... არა! არაფერი არ მოხდება! ბაგრატიონი ცხენიდან ჩამოხტა, სახსრებში მწვავე ტკივილის ძლია და ბატალიონის მარჯვენა ფლანგისაკენ გაემართა! – ვითომ მარტო სახსრები სტკიოდა? არა! სული, სულიც სტკიოდა! სიმწარეც ცრემლის მომგვრელი იყო: – მას ომის წარჩინებულს უხეშად მიმართავდნენ! ბაგრატიონისნაირებს შეეძლო გაცეცხლებაც, მაგრამ არა! ამიტომაც ნებისყოფის დაძაბვით მიემართებოდა მარჯვენა ფლანგისაკენ, რათა არავის ეგდო ხელთ „მარჯვენა ფლანგი“! შეძლებ კი შენ! – (მივმართავ ყოფილ სტუდენტთან ერთად სხვებსაც, მთელ აუდიტორიას) აი ასე,

ბაგრატიონივით ამაყად ატარო შენი ტკივილი და შეურაცხყოფა, რათა მწყობრში დარჩე! – არ დაჰკარგო ადამიანის, ცხოვრების რწმენა მაშინ, როცა ბედი ასეთ „მყვირალა ჩინოსანს“ შეგახვედრებს! – თუკი შესძლებ, მაშასადამე შენ ყოფილხარ ნამდვილი ადამიანი! ჩვენი, ჩემი, დღევანდელი დღის თანამედროვე! თუკი წყენა მოთმინების ფიალას აავსებს და გადმოლახავს? და შენ, ხატოვნად რომ ვთქვათ ცხვირში მუშტს ამოირტყავ? ვინ დაზარალდება? მხოლოდ შენ? არა! ისინი, ვინც შენშია და ისინიც, ვინც შენს უკან დგას! დაზარალდება საქმე, რომელსაც ემსახურები და სამართალი, რომლისთვისაც შენ გმირი კი არა, მსხვერპლი აღმოჩნდი! წყენამ, სიფიცხემ რამდენ დიდ ადამიანს შეუშალა ხელი, ღირსეული ადგილის დაკავებაში! ამიტომაც ბაგრატიონის თავშეკავება ჩვენთვის სოციალურ ხასიათს იძენს, იმ ხასიათს, რომელიც პედაგოგიკისათვის უცხო არ არის და უფრო მეტიც, მისი ამომავალი წერტილია! ამიტომაც ღირსებათა განსაკუთრებულ ღირებულებებზე გვექნება საუბარი ორმოცდაათტომეულის მომდევნო წიგნში „პედაგოგიკის ფორმულა“.

გამოყენებული ლიტერატურა

გურამ აბესაძე „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება“, თბ. 1998.

შალვა ამირანაშვილი „როდესაც მამა სკოლაში მიდის“, თბ. 1985.

ანზორ ბრეგაძე „რა არის ადამიანი“, თბ. 1997.

ანზორ ბრეგაძე „შეიცან თავი შენი“, თბ. 1994.

დავით გეგეშიძე „ადამიანთა სულის სატკივარი“, თბ. 2000.

დავით გეგეშიძე „ეთნიკური პრობლემები“, თბ. 2002.

დავით გეგეშიძე „სიკვდილის აპოლოგია“, თბ. 1999.

დავით გეგეშიძე „დიალოგი სიკვდილთან“, თბ. 2003.

მამია დარჩია „საზოგადოებრივი ინსტიტუტი“, თბ. 2000.

ალექსი დუბროვსკი „ღია წერილი მასწავლებელს“, თბ. 1989.

ნინო ზურაბიშვილი – „პედაგოგი წარმატების თვითანალიზი“, თბ. 2010 წ.

ჯენი თეიჩმანი „ფილოსოფია“, თბ. 2000.

ევგენი ილინი „გაკვეთილის – გაკვეთილი“, თბ. 1987.

ალექსანდრე ლოპუზინი „ბიბლიური ისტორია“, თბ. 1990.

ალექსი ლოსევი „პედაგოგიკა“, თბ. 1986.

შოთა მალაზონია „პედაგოგიკა“, თბ. 2001.

ევგენი მედინსკი „პედაგოგიკის ისტორია“, თბ. 1964.

გივი მერაბიშვილი „ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკა“, თბ. 1999.

ჯერარდ ნიერენბერგი, მოსკ. 1987 წ.

არტურ პეტროვსკი „კიდევ ერთი პედაგოგიური პოემა„– თბ. 1984.

სიმონ სოლოვეიჩიკი „აღ და ბუა“, თბ. 1987.

ვასილ რეზომლინსკი „ეკოლოგიური აღზრდა“, თბ. 2001.

ვასილ რეზომლინსკი „დედისადმი სიყვარულის აღზრდა“, თბ. 2001.

დალი ქედიშვილი „რთული პედაგოგიური სიტუაციები ოჯახში“ თბ. 1990 წ.

სერგო ყურაშვილი „პოლიტიკა“, თბ. 1998.

იან შჩეპანსკი „სოციოლოგია“, თბ. 1997.

რუდოლფ შტაინერი „ბავშვის აღზრდა“, თბ. 1990.

გარი ჩაფიძე „სიკვდილის ეპიცენტრი“, თბ. 2004.

გარი ჩაფიძე „პედაგოგიკის ისტორია“, თბ. 2003.

გარი ჩაფიძე „მე მოსწავლის ჩინით ვარ და მასწავლებელს მოვთხოვ!“, თბ. 2003.

გარი ჩაფიძე „დემოკრატიის მოდელები“, თბ. 1999.

გარი ჩაფიძე „ფრთხილად მოზარდია!“, თბ. 2003.

ვლადიმერ ჭანუყვაძე „პოლიტიკური დიალოგი“, თბ. 2000.

ილია ჭავჭავაძე ტ.4, თბ. 1995 წ.

გარი ჩაფიძე „პედაგოგიური დიალოგები“, წიგნი I, თბ. 2004წ.

გარი ჩაფიძე – „პედაგოგიური დიალოგები“ წიგნი II თბ. 2005 წ.

გარი ჩაფიძე „პედაგოგიკა“ თბ. 2012 წ.

მარიამ თაბორიძე, „დიდი მამულიშვილური საზრუნავი“, თბ. 1986 წ.

შოთა ქურდაძე, „ცნება სწავლა“, თბ. 1980 წ.

სოციოლოგია დღეს, მ. 1991 წ.

ახალი მიმართულებანი სოციოლოგიაში, მ. 1992 წ.

ვლადიმერ დიმოვი, მ. განათლების სოციოლოგია, ჟურნ. „სოციალნო–პარტიჩესკოე ნაუკი", 1991 წ.

„განათლების სოციოლოგიურ–კულტუროლოგიური შინაარსი", თბ. 1991 წ.

ბრაიამ საიმონი, საზოგადოება და განათლება, მ. 1989 წ.

განათლების საზოგადოებრივ–სოციალური დაკვეთა, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", 1991 წ. №4.

ჟურნალი „პერსპექტივები", !987 წ. №3.

ჟურნალი „კულტურა", 1984 წ. №7.

„ლექციების კურსი პედაგოგიკაში", თბ. 1997 წ.

რევაზ ბალანჩივაძე, ვიქტორ ასათიანი: – „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", თბ. 1997 წელი.

Абдулатипов Р. „Обшество" М. 1991.

Алексеев С. „Опыт комплексеого исследования" М. 1999.

Алмонд Г. Верба С. „Гражданская культура" М. 1994.

Ащев Г. „Свободная мысль" М. 1993

Белов Г. „Политология" М. 1994.

Бердяев Н. „Философия свободного духа" М. 1992.

Багатуров А. Комочин М. „Идеология" М. 1992.

Бойцева В. „Правовой институт омбундсмена" М. 1993.

Борисенков А. „Политическая жизнь общества" М. 1991.

Вебер М. „Политика как призвание и профессия" М. 1993.

Вятео Е. „Социология политических отеощений“ М.1979.

Головачев „Штрихи к социальному портрету“ М. 1996.

Гудименко „Политическа култура“ К.1994.

Даминдов А. „Основа политики“ М. 1995.

Евзерев Р. „Глубинные основы иетеграции“ М. 1997.

Ерасов Б. „Религия и цивилизациа“ М. 1980.

Зишмерман Д. „Прямая демократия“ И. 1991.

Ивпщов Л. „Колективная безопасность“ Мю 1998.

Карпухин О. „Социокультурна безопасность“ М. 1998.

Коволер А. „Права человека“ М.1997.

Либминан Г. „Теорий элит“ М. 1997.

Мельников В. „Зачецание“ Минск. 1996.

Ругачев В. „Идеология“ М 1996.

Сахарчук Г.. „Социально-экономические взгляды“ М. 1983.

Сахаров Н. „Соввременная элита“ М. 1994.

Трофилов И. „Лидерство“ М. 1991.

Фетисов А. „Проблемы легитимности“ М. 1995.

Хермин М. „Стили лидерства“ М. 1991.

Чапидзе Г. „Осторожно подросток“ Тб. 2003.

Чапидзе Г. „Политическая жизнь“ М. 1994.

Этингер „Международный опыт“ М. 1993.

GARI CHAPIDZE

Nontraditional lessons

რედაქტორი: დარიკო ონიანი

მხატვრული რედაქტორი: ეკა ქურციკიძე

ტექნიკური რედაქტორი: ნაზიბროლა კაპანაძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი

გამომცემლობა „კოლორი“